პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

წელიწადი მერვე

კომუნისტი

საქ. კომუნისტური პარტიის
ცენტრალური და თბილისის
კომიტეტების
— და —
სრულიად საქართველოს
მუშათა, გლეხთა, წითელარმიელთა
და მეზღვაურთა დეპუტატების საბჭოების
ცაკის ორგანო

რედაქცია
თბილისი, კამოს (ყოფ. დიდი მთავრის) ქ. № 68, მეორე სართული
რედაქციაში საქმისათვის მოლაპარაკება შეიძლება ყოველდღე, გარდა კვირა-უქმეებისა დილის 10 საათიდან ღამის 12 საათამდე.
ტელეფ.) რედაქტორის 14—76
) მდივნის 10—58
) ღამის მორიგე 13—30.

მთავარი კანტორა თბილისი რუსთაველის პროსპექ., № 34, ტელეფონი № 8—81.

ხელისმოწერის ფასი
მუშა-მოსამსახურეთათვის, გლეხებს, წითელ-არმიელების, მოწაფეების და მასწავლებლებისათვის—1 მან., დანარჩენებისათვის—1 მან. და 30 კაპ.

განცხადებები:
საქართველოს ფარგლებში— ტექსტის უკან —80 კ. ნონპარელის სტრიქონი, ტექსტის შიგნით—1 მ. 60 კ.; საქართველოს გარეთ—ტექსტის უკან—1 მ. 50 კ., ტექსტში—3 მ.; განმცხადებელი გარდა განცხადების ფასისა იხდის 10% საქალაქო გადასახადს. თუ განცხადება იბეჭდება ხუთჯერ ტექსტის შეუცვლელად-შეღავათი შეთანხმებით. მთ. კანტორაში განცხადებები მიიღება 9—3½ ს., 3½ ს. შემდეგ განცხადება ძვირდება 20%-ით მეტი. სამგლოვიარო განცხადებები—15 და 20 მ.

სამშაბათი, 14 აგვისტო 1928 წ.

ყოველდღიური გაზეთი

ფასი 5 კაპ. № 187 (2230)

დ ღ ი უ რ ი

— დემონსტრაცია ლეგიონერთა ყრილობის წინააღმდეგ ვარშავაში.
— დაიხურა მეორე ინტერნაციონალის კონგრესი.
— ვენეცუელაში ჩააქრეს ახალი სამხედრო აჯანყება.
— საერთაშორისო უფლების ასოციაციის კონგრესმა მიიღო კონვენცია დამნაშავეთა გაცემის შესახებ.
— ბოლდუინის მიმართვა მრეწველებისადმი.
— ამხ. შმიდტი დაინიშნა საბჭოთა კავშირის სახკომსაბჭოს და შრომის და თავდაცვის საბჭოს თავმჯდომარის მოადგილეთ.
— 12 აგვისტოს მოსკოვში გაიხსნა საკავშირო სპარტაკიადა.

სოციალ-შემთანხმებელთა მანევრები

მეორე ინტერნაციონალის კონგრესმა დაასრულა „მუშაობა". უკანასკნელი სხდომა თითქმის ცარიელ დარბაზში მიმდინარეობდა. საერთოდ მთელი კონგრესი უფეროულად ჩატარდა. ნათლად სჩანდა, რომ შემთანხმებელ პარტიათა ბიუროკრატია მორიგ ყრილობაზე შეიკრიბა მისთვის არა სასიამოვნო მოვალეობის შესასრულებლად: მას ასე თუ ისე პასუხი უნდა გაეცა თანამედროვე ეპოქის საჭირბოროტო საკითხებზე და ძალაუნებურად გამოეჩინა თავისი სახე. კონგრესის გაქნილი ხელმძღვანელები ყოველნაირად შეეცადენ მეორე ინტერნაციონალის მოღალატური ბუნების დაფარვას, მაგრამ ამაოდ— ეს მათ ვერ შესძლეს.

პირველ ყოვლისა აღსანიშნავია, რომ ბრიუსელის კრება იძულებული იყო ერთგვარი თავდაცვის ტაქტიკა ეწარმოებია კომუნიზმის მიმართ. კომინტერნის მეექვსე კონგრესის მუშაობა და მსოფლიო მუშათა კლასის გამემარცხენების პროცესი მას „სიფხიზლისაკენ" მოუწოდებდნენ. აშკარად სჩანდა შიში პროლეტარულ მასების წინაშე, რომელნიც სულ უფრო იგნებენ რეფორმისტების გამცემლობას და კომუნიზმის დროშის ქვეშ იყრიან თავს. ეს შიში, სხვათა შორის, იმაშიც გამოიხატა, რომ კონგრესი გაიმართა ბრიუსელში — რევოლიუციონურ მოძრაობის მხრით შედარებით უვნებელ ქალაქში. მეორე ინტერნაციონალის მესვეურებმა ვერ გაბედეს ყრილობის მოწვევა ისეთ ცენტრებში, სადაც პოლიტიკური ცხოვრება სდუღს: აქ ისინი თავიდან ვერ აიცილებდნენ მუშათა მტრულ დემონსტრაციებს.

საგულისხმოა, რომ ბრიუსელის კონგრესმა გამოსცა მანიფესტი ყველა ქვეყნის პროლეტარებისადმი ეხლანდელ მდგომარეობის შესახებ. ეს მიბაძვაა კომინტერნის პრაქტიკისადმი და ისეთი შთაბეჭდილების შექმნის ცდა, ვითომ მეორე ინტერნაციონალიც რაღაცას აკეთებს.

ადლერი თვალთმაქცურათ ლაპარაკობს, რომ „განხეთქილება მუშათა კლასში, რომელიც მთლიანია თავის მისწრაფებით საბოლოო მიზნებისადმი, გამოწვეულია არა თეორიული და პრინციპიალური უთანხმოებით, არამედ კონკრეტული მდგომარეობის სხვადასხვა შეფასებით", ბაუერი კი ცდილობს დაარწმუნოს „ბოლშევიზმის მომხრე საუკეთესო ადამიანები", რომ „ამჟამად არავითარი საფუძველი არ არსებობს განხეთქილებისათვის". ხოლო ინგლისის დამოუკიდებელ მუშათა პარტიის დელეგაციის „გულუბრყვილობა" უფრო შორს მიდის: ის იმედს გამოსთქვამს რომ მეორე ინტერნაციონალის შემდეგ კონგრესში საბჭოთა დელეგაცია მიიღებს მონაწილეობასო.

ამგვარად ბაუერები ვითომ გამოდიან მუშათა მოძრაობის მთლიანობის მომხრეებად. თუ როგორია ეს „მთლიანობა", სჩანს თუნდაც იმ ცვლილებიდან, რომელიც შეტანილ იქნა მეორე ინტერნაციონალის წესდებაში: „ინტერნაციონალის მომხრე პარტიები ვალდებულნი არიან თვალყური ადევნონ იმას, რომ მათი წევრების მუშაობა საერთაშორისო დარგში მიმდინარეობდეს ინტერნაციონალის ფარგლებში და რომ პარტიის წევრებმა თავი შეიკავონ ისეთ პოლიტიკურ გაერთიანებებში შესვლისაგან, რომელთა ტენდენციები ეწინააღმდეგებიან ინტერნაციონალის პროგრამას და ტაქტიკას". არ იფიქროთ, რომ აქ ერთა ლიგაზე და სხვა ასეთ ორგანიზაციებზე იყოს ლაპარაკი. იქ მუშაობა სოციალისტებს შესაძლებლად მიაჩნიათ. ადლერი პირდაპირ ამბობს, რომ ეს ცვლილება მიმართულია „მთლიანი ფრონტის კომუნისტური ტაქტიკის წინააღმდეგ" და ისეთ ორგანიზაციათა წინააღმდეგ, როგორიცაა: რემედასი, კოლონიალურ ერების ჩაგვრასთან მებრძოლი ლიგა და სხვა. თვით სოციალისტი მუშები იბმებიან კომუნისტების ხელმძღვანელობით შექმნილ ასეთ ორგანიზაციებში და ამგვარად ხორციელდება მუშათა კლასის ერთიანი ფრონტი, რასაც ასე ებრძვიან ადლერები. ამ ვაჟბატონებს მთლიანი ფრონტი თავისებურად ესმით: კომუნისტებმა იარაღი უნდა დაყარონ მათ წინაშე, უსიტყვოდ დაექვემდებარონ მათ მოღალატურ პოლიტიკას. ჩვენ კი მუშათა ერთიანი ფრონტი გვესაჭიროება მასების მობილიზაციისათვის ბურჟუაზიისა და მისი აგენტების — სოციალ-შემთანხმებელთა წინააღმდეგ რევოლიუციონური ბრძოლისათვის.

განა ღირს შეჩერება ბაუერ-ადლერების მტკიცებაზე, რომ განხეთქილებას მეორე და მესამე ინტერნაციონალებს შორის პრინციპიალური საფუძველი არ ედოს. რა შეიძლება ჰქონდეს საერთო კომინტერნს იმ ორგანიზაციასთან, რომელიც ორივე ფეხით კაპიტალისტურ წყობილების ნიადაგზე დგას და ბურჟუაზიასთან „თანამშრომლობას" ატარებს, ე. ი. ამტკიცებს მუშათა კლასზე კაპიტალის ბატონობას.

ყველაფერი ეს მანევრია მეორე ინტერნაციონალის მხრივ, რომელიც ცდილობს უფრო მოხერხებულად მოატყუოს მუშათა კლასი და გააძლიეროს ბრძოლა კომუნიზმის გავლენასთან.

აღსანიშნავია ბრიუსელის კონგრესის დამოკიდებულება საბჭოთა კავშირთან. რა თქმა უნდა უფრო შებლმაგარმა რეფორმისტებმა თავი ვერ შეიკავეს შრომის რესპუბლიკის წინააღმდეგ მთელი რიგი პროვოკაციულ გამოსვლებისაგან და ცილისწამების კამპანიისაგან. მაგრამ იყვნენ „მემარცხენენიც", რომელთაც ასეთი გამოსვლები თავისთვის სახიფათოდ მიიჩნიეს. მაგ., ბაუერი ამბობს: „არ უნდა შეიქმნას შთაბეჭდილება, თითქო ჩვენი უთანხმოებები ბოლშევიკებთან ამაგრებენ ინგლისის მუშების მტრულ პოზიციებს საბჭოთა კავშირის მიმართ"-ო. მაგრამ ხომ უდავოა, რომ მსოფლიო იმპერიალიზმს საბჭოთა კავშირთან ბრძოლაში მეორე ინტერნაციონალის და მისი პარტიების სახით ერთგული მოკავშირეები ჰყავს. ამასთან, რა თქმა უნდა, ჩვენ რაიმე სერიოზულ მნიშვნელობას ვერ მივაკუთვნებთ ინგლისის დამოუკიდებელ მუშათა პარტიის დელეგაციის „მემარცხენე" პოზიციას საბჭოთა კავშირთან დამოკიდებულების საკითხში: ეს ჩვეულებრივი მანევრია, მოკლებული რეალურ ღირებულებას.

ბრიუსელის კონგრესს არ შეეძლო გვერდი აეხვია ეხლანდელი ხანის ძირითადი პრობლემისათვის — ომის საფრთხისათვის. ომის საშიშროების მიჩქმალვა, თვითეულ დელეგაციის მიერ თავის „მშობლიურ" იმპერიალიზმის ინტერესების დაცვა, განიარაღების საბჭოთა პროექტის უარყოფა, მთელი იმედების დამყარება ერთა ლიგაზე მშვიდობიანობის განმტკიცების საქმეში—ასეთია მეორე ინტერნაციონალის „მოღვაწეობა" ამ დარგში. ამის დაფარვას ბაუერები ვერ შესძლებენ ვერავითარი ბუნდოვანი „რადიკალური" ფრაზეოლოგიით.

ბრიუსელის კონგრესმა „უყურადღებოდ" არ დასტოვა კოლონიების საკითხიც. კოლონიებში განმანთავისუფლებელი ბრძოლა ძლიერდება. საჭიროა ამ საფრთხისაგან იმპერიალიზმის ხსნა. აქედან გამომდინარეობს მეორე ინტერნაციონალის მისწრაფება დაეუფლოს მუშათა მოძრაობას კოლონიებში და დაჩაგრულ ხალხთა მიმართ ცარიელი, ისიც უმეტეს შემთხვევაში ძალზე შეკვეცილი დაპირებებით მოადუნოს მათი ლტოლვა უცხოელ მოძალადეთა მონობის უღლის დამსხვრევისაკენ. ამას კარგად ხვდებიან დამონებულ ხალხთა მასები და მათი წარმომადგენლები აშკარად აცხადებენ, რომ მაკდონალდები ისეთივე მტრებია აღმოსავლეთის დაჩაგრულ ერების, როგორც ჩემბერლენები.

ასეთია ზოგადად ბრიუსელის კონგრესის საქმიანობა, რომლის კრიტიკული გაცნობა ევროპის მუშათა მასების მიერ დააჩქარებს მათ განთავისუფლებას რეფორმიზმის გავლენისაგან, რაც პროლეტარიატის გამარჯვების ძირითადი პირობაა.

კელოგის ხელშეკრულების გარშემო

სულ რამდენიმე დღე გავიდა მას შემდეგ, რაც კელოგის ხელშეკრულების შესახებ ამხ. ჩიჩერინის ინტერვიუ გამოქვეყნდა და ეს ინტერვიუ უკვე საერთაშორისო პოლიტიკური პრესის „საჭირბოროტო" საკითხად იქცა. პროლეტარულ სახელმწიფოს დიპლომატიის მეთაურის განცხადებამ აუარებელი სხვადასხვაგვარი გამოძახილი და მითქმა-მოთქმა გამოიწვია. მართალია, არ შეიძლება იმის თქმა, რომ ეს მითქმა-მოთქმა საკმაოდ გარკვეული და დამაჯერებელი იყოს; პირიქით, მეტ წილად საწინააღმდეგო მდგომარეობას აქვს ადგილი. კაპიტალისტური „სახელმწიფოები", როგორც მათი პრესის „განწყობილება" გვიჩვენებს, უხერხულ მდგომარეობაში ჩააყენა ამხ. ჩიჩერინის განცხადებამ: არავის წარმოუდგენია ოდნავ მაინც გარკვეული კონტრ-არგუმენტაცია ამხ. ჩიჩერინის ინტერვიუზე.

ინტერვიუ პირდაპირ შეეხო „მშვიდობიანობის მოციქულ" იმპერიალისტების მტკივან ადგილს. „პაციფიზმის" ახლად მოვლენილ ბურჟუაზიულ ჯადოსნების, ხელშეკრულების ინიციატორების მიერ დიდი მზრუნველობით მოქსოვილი ქსელი, რომელიც 15 სახელმწიფოს შეკავშირების მეტად რთულ კომბინაციას წარმოადგენს, უბრალო, გარკვეულ და დამაჯერებელ საბჭოთა საბუთების პირველ შეხებისთანავე თავიდან ბოლომდე დამპალი აღმოჩნდა.

ხელშეკრულება — იმპერიალისტების მიერ საბჭოთა კავშირის იზოლიაციის იარაღია; ჩვენ განგებ და შეგნებულად არ გვაძლევენ საშუალებას მონაწილეობა მივიღოთ მოლაპარაკებაში. ვის შეუძლია ამ აშკარა და ამავე დროს ხელშეკრულების ავტორებისათვის მომაკვდინებელ თეზისის უარყოფა? ინგლის - საფრანგეთის „შენიშვნები" ისევე ამაგრებენ „მშვიდობიანობის ანგელოსს", როგორც „თოკი— ჩამოხრჩობილს". ვინ გაბედავს სერიოზულად ამ დებულების უარყოფას!

თანდათან უფრო საძნელო ხდება კელოგის ქმნილების მოთავსება იმ „მესიანისტურ მოღვაწეობის" ფარგლებში, რომელმაც ტანჯული კაცობრიობა ომის საფრთხისა, ცეცხლისა, მახვილისა და სისხლის ღვრისაგან უნდა გაანთავისუფლოს. არ შეიძლება ფარსის აყვანა მსოფლიო-ისტორიული ამბების კვარცხლბეკზე. მშვიდობიანობის ნამდვილი საქმის თვალსაზრისით მეტად არა სუფთა ფაქტები აშკარავდება კულისებიდან და აფუჭებს ვაშინგტონის რეჟისორების მიერ შეთითხნილ ხუხულას. რაც უფრო მეტს ლაპარაკობენ და სწერენ ხელშეკრულებაზე, რაც უფრო ბრაზმორეული ეხმაურებიან ამხ. ჩიჩერინის ინტერვიუს, მით უფრო ცხადათ აშკარავდება ხელშეკრულების იმპერიალისტური შინაარსი ყალბი პაციფისტური პარაგრაფებიდან.

არაა საჭირო მეათასეჯერ გავიმეოროთ ხელშეკრულების ჩვენი ურყევი კრიტიკული შეფასება. ჩვენ მაგიერ ამჟამად ამ საქმეს აკეთებენ ისინი, რომელთაც ინტერვიუს ზეგავლენით ცოტა ენა აიდგეს.

ასეთი გამოთქმები, როგორიცაა:

„ხელშეკრულების ტექსტი შედგენილია იმგვარად, რომ სულ სხვადასხვანაირად შეიძლება მისი განმარტება".

„არ შეიძლება აიძულოთ რომელიმე მხარე დაიცვას ხელშეკრულება".

„სულ უფრო და უფრო იზრდება გამონაკლისთა რიცხვი, რომლებზედაც არ ვრცელდება ხელშეკრულება".

„ხელშეკრულება მომავალ საფრთხეთა წყარო იქნება".

„რა სარგებლობა მოაქვს ომის კანონს გარეშე გამოცხადებას, თუ ყოველ ერს შეუძლია თვითონ გადასწყვიტოს საკითხი — მოითხოვენ თუ არა ესა თუ ის პირობები მიმართოს ომს, როგორც თავდაცვის საშუალებას".

„ყოფილა თუ არა ოდესმე ისეთი შემთხვევა, რომ სახელმწიფოს, რომელმაც ომი გამოაცხადა, არ დაეწყოს მტკიცება, რომ იგი ომს მიმართავს მხოლოდ და მხოლოდ როგორც თავდაცვის საშუალებას"?

ასეთ და სხვა მსგავს მრავალ განცხადებას შეხვდებით ამ ჟამად ამერიკის ბევრ ბურჟუაზიულ გაზეთშიაც.

საბჭოთა კავშირის პოზიცია ხელშეკრულების საკითხში ბევრისთვის მოულოდნელი აღმოჩნდა და მან სხვადასხვაგვარი მითქმა-მოთქმა გამოიწვია იმპერიალისტურ ბანაკში. ინტერვიუ და ხელშეკრულებაში საბჭოთა კავშირის მონაწილეობის საკითხის დასმა ხან სიბრაზესა და გააფთრებულ კამპანიას იწვევს საბჭოთა კავშირის მიმართ (რაც ხელშეკრულების სწორედ ჩვენს შეფასებას ადასტურებს სავსებით), ხან მიკიბულ-მოკიბული გზით სიარულსა და ცდას ერთ დაფაზე მოათავსონ საბჭოთა კავშირი და ესპანეთი და „შემდეგი" დროისათვის გადასდონ საკითხი (ამ მიკიბულ-მოკიბული გზით სიარულიც და დაბრკოლებების შექმნის ტაქტიკის გამოაშკარავება მეტად ადვილია), ხან კიდევ განცხადებას, რომ სასურველია საბჭოთა კავშირის მონაწილეობა ხელშეკრულებაშიო, მაგრამ ამ განცხადებიდან პრაქტიკული და რეალური დასკვნები კი არ გამოჰყავთ. მიკიბულ-მოკიბული ფორმულა — „ერთი მხრით არ შეიძლება არ განვაცხადოთ, ხოლო მეორე მხრით არ შეიძლება არ ვაღიაროთ"— ეს ფორმულა ოფიციალური და ნახევრად ოფიციალური საშუალებაა იმისათვის, რომ თავი დააღწიონ საბჭოთა კავშირისა და ხელშეკრულების შესახებ საკითხის „არასასიამოვნო" დასმას. დამახასიათებელია, რომ ხელშეკრულების მთავარი მონაწილე სახელმწიფონი — ინგლისი, საფრანგეთი, ჩრ.-ამერ. შეერთებული შტატები—ცდილობენ ერთმანეთს დააკისრონ პასუხისმგებლობა საბჭოთა კავშირის მიუწვევლობის გამო.

ამგვარად, მოვლენათა მიმდინარეობა და სახელმწიფოების პოზიცია საუკეთესოდ ადასტურებს ჩვენი დებულების სისწორეს იმის შესახებ, რომ მსოფლიო სისტემის ცენტრალურ წინააღმდეგობას წარმოადგენს წინააღმდეგობა საბჭოთა კავშირისა და კაპიტალისტური მსოფლიოსი, წინააღმდეგობა, რომელიც მოქმედებს საბჭოთა კავშირთან ბრძოლისა, მისი იზოლიაციისა და მასზე სამხედრო თავდასხმის ხაზით.

თვით ხელშეკრულების ხასიათი და მის გარშემო გამართული ოფიციალური და არაოფიციალური მოლაპარაკება სავსებით ადასტურებს ჩვენს დებულებას იმის შესახებ, რომ იმპერიალისტური ბანაკის შიგნით ძირითად სპეციფიკურ წინააღმდეგობას წარმოადგენს ანტაგონიზმი ჩრდ. ამერ. შეერთებულ შტატებსა და ინგლისს შორის, რომელიც ცდილობს უკან გაიყოლიოს ევროპის კონტინენტი. ინგლის-საფრანგეთის „შენიშვნათა" უკვე გამორკვეული დედა-აზრი მთლიანად ადასტურებს ხელშეკრულების ასეთ შეფასებას. აღსანიშნავია, რომ ხელშეკრულებას თან მოჰყვა ინგლის-საფრანგეთის სამხედრო კავშირის შექმნა (ეგრეთ წოდებული შეთანხმება საზღვაო შეიარაღებათა საკითხის გარშემო). ეს, რასაკვირველია, ხელშეკრულების დადების მეტის-მეტად სასაცილო „ევროპიული" აკომპანიმენტია, რომელშიაც ადამიანი ადვილად გაარჩევს პარიზისა და ლონდონის თავისებური „რევანშის" ჰანგებს ვაშინგტონის მიმართ.

ამხ. ჩიჩერინის ინტერვიუმ იმპერიალისტები გაჭირვებულ მდგომარეობაში ჩააყენა. ხელშეკრულების ინიციატორები, როგორც სჩანს, „უხერხულად" სთვლიან ჩვენ მიერ დასმულ საკითხებზე ნათელი პასუხის გაცემას: ჰო, თუ არა. ისინი იძულებულნი არიან გვერდი აუხვიონ „ნარ-ეკლიან საკითხს" საბჭოთა კავშირის შესახებ, იტრიალონ ინტერვიუს გარშემო და ეცადონ ხელი არ დაიწვან. ისინი ჯერჯერობით გვიპასუხებენ საქმის გაჭიანურებისა და საკითხის „ღიად" დატოვების ტაქტიკით, მაგრამ ეს ტაქტიკა ვერ შველის და ვერც უშველის იმპერიალისტებს. იგი მათ ფარულ ზრახვებს უფრო და უფრო ააშკარავებს. უკვე ახლა, ინტერვიუს შემდეგ, შეიძლება ითქვას, რომ ცილისწამების ერთ-ერთი ძლიერი იარაღი იმპერიალიზმს ხელიდან გამოეცალა. იმპერიალისტების ეს იარაღი იყო ლეგენდა იმის შესახებ, ვითომც საბჭოთა კავშირი „თვითონ ჩამოსცილდა" ყოველგვარ სამშვიდობო მოლაპარაკებასო. ჟენევაში ამ ლეგენდას უსასტიკესი მახვილი მოხვდა: ჩვენმა წინადადებამ განიარაღების შესახებ იმპერიალისტების მთელი თვალთმაქცური თამაში ჩაფუშა. ახლაც ჩვენი პოზიცია ხელშეკრულებისა და მასში მონაწილეობის შესახებ ხელახლა აქარწყლებს იმპერიალისტური ცილისწამების ერთ-ერთ ძლიერ საშუალებას. ამჟამად უკვე უაღრესად საბრალო შარლატანად გამოჩნდება ის, ვინც იტყვის, რომ „მშვიდობიანობის" წინააღმდეგ მიმართული ბოროტება გამომდინარეობს საბჭოთა კავშირისაგან და ამ ფაქტს გაბრწყინვებული სახით შეიტანს მსოფლიო პოლიტიკის „მატიანეში". ახლა ბევრი წვრილი ბურჟუაც კი დაინახავს, რომ საბჭოთა ქვეყნის იზოლიაციას ახდენენ განზრახ, შეგნებით, სისტემატიურად და გეგმაშეწონილად. ანტი-საბჭოთა ინტრიგა თანდათან აშკარა და საზიზღარ ხასიათს იღებს.

ყოველი დღე უფრო და უფრო მეტად აშკარავებს იმპერიალისტების სულისკვეთებას. ეს არის მიზეზი, რომ იმპერიალისტებს ასე ეშლებათ ნერვები და ბრაზი ახრჩობთ.

ჩვენ კი განვაგრძობთ ბრძოლას მშვიდობიანობისათვის და დამშვიდებით დავიცდით, თუ რას იტყვიან ბატონი იმპერიალისტები ხელშეკრულების საკითხში და რა გადაწყვეტილებას დაადგებიან; ჩვენ შეგვიძლია დაწყნარებით ვადევნოთ თვალყური მათს ნერვიულობას და ერთმანეთის მხილებას.

„პრავდა", 12 აგვისტო.

12 აგვისტოს ვილნოში გაიხსნა პოლონეთის ლეგიონერთა ყრილობა

ი ა პ ო ნ ი ი ს უ ლ ტ ი მ ა ტ უ მ ი ჩ ჟ ა ნ-ს ი უ ე-ლ ი ა ნ ს

იაპონია წინააღმდეგია ნანკინის მთავრობის ცნობისა მუკდენის მიერ

საფრანგეთი თანახმაა მოლაპარაკება დაიწყოს საფრანგეთ-ჩინეთის ხელშეკრულების გადასასინჯად

პოლონეთის ლეგიონერთა ყრილობა

ვარშავა, 12 აგვისტო. პოლონეთის სააგენტო იუწყება: „12 აგვისტოს, დილით ლეგიონერთა წლიური დღესასწაულის გამო ვილნოში დაწყებულმა ზეიმმა ბევრი მონაწილე მოუყარა თავი მთელი პოლონეთიდან. მოვიდა მრავალი უცხოელი ჟურნალისტი, მათ შორის 7 ლიტველი ჟურნალისტი, რომლებმაც პოლონეთის ხელისუფლების ნებართვით ავტომობილით გადმოიარეს პოლონეთ-ლიტვის საზღვარი ლოძიანის მახლობლად. ვილნოს ვოევოდამ განკარგულება გასცა, რომ ლიტველ ჟურნალისტებს ყოველგვარი დახმარება აღმოეჩინოთ (ადს).

ვარშავა, 12 აგვისტო. ვილნოში ლეგიონერების ყრილობა გაიხსნა პარაკლისით. წინასწარი ცნობებით, მოსულია 10.000 კაცამდე. ყრილობას ესწრებიან მთავრობის წევრები პილსუდსკის მეთაურობით და 22 უცხოელი ჟურნალისტი. ზეიმზე ყოველ ნაბიჯზე ის აზრი გაისმოდა, რომ ვილნო პოლონეთის მხარეა და პოლონეთისაგან განუყრელი კუთხე. მიტინგზე რატუშის დარბაზში ილაპარაკეს ლეგიონერთა კავშირის თავმჯდომარემ პოლკოვნიკმა პესტრჟინსკიმ, ვილნოს ვოევოდამ რაჩკევიჩმა და გენერალმა რიძ-სმიგლიმ. ყველა ორატორმა აღნიშნა შემდეგი მომენტები: უყოყმანოდ მორჩილება პილსუდსკისადმი, ლეგიონერების ერთობის საჭიროება, ვილნოს კავშირი პოლონეთთან, შინაური რეფორმებისა და აგრეთვე სახელმწიფო წყობილების გადათვალიერების საჭიროება. პილსუდსკის გამოსვლას უდიდესი ინტერესით ელოდნენ, მაგრამ პილსუდსკიმ თავიდანვე განაცხადა, რომ თავის სიტყვაში გვერდს აუქცევს ყველაფერს, რაც კი გაღიზიანებას გამოიწვევს. პილსუდსკიმ თავისი სიტყვა მოანდომა მხოლოდ მოგონებას პოლონელი ლეგიონერების ბრძოლის პერიოდიდან და ომის დროიდან. პილსუდსკი არა ერთხელ შეეხო თავის სამშობლო ქალაქ ვილნოს და მის შესახებ დიდის სიყვარულით ილაპარაკა, მაგალითად: „ვილნო ჩემი უნდა იყოს. მე მინდა მოვკვდე ჩემს ჯარისკაცთა შორის, რომლებმაც მე ვილნო მომიძღვნეს და ამისათვის სიცოცხლე გასწირეს. მე ამის შესახებ ვფიქრობ ხოლმე, როდესაც სიკვდილის საკითხს უტრიალებს ჩემი გონება".

პილსუდსკის სიტყვამ იმედის გაცრუება და გაოცება გამოიწვია, რადგან მოელოდნენ, რომ ის სერიოზულ საპროგრამო-პოლიტიკურ სიტყვას წარმოსთქვამდა.

საღამოთი ლეგიონერთა ზეიმის მონაწილენი ვოევოდასთან შეიკრიბებიან და ზეიმი ამით დასრულდება. ყრილობის ზოგი მონაწილე ვილნოდან 12 აგვისტოს წავა. (ადს).

ვარშავა, 13 აგვისტო. პოლონეთის დეპეშათა სააგენტო იუწყება: ვილნოში ლეგიონერთა საზეიმო დღესასწაულს მოაწყდნენ დიდძალი ყოფილი ლეგიონერები, სხვადასხვა საზოგადოებისა და ორგანიზაციის წარმომადგენელნი და აგრეთვე 100-ზე მეტი უცხოელი კორესპონდენტი. დღესასწაული დაიწყო დილის 10 საათზე. შუადღის 1 საათზე რატუშაში გაიმართა კრება, რომელზედაც სიტყვა წარმოსთქვა ლეგიონერთა საერთო კავშირის თავმჯდომარემ პესტრჟინსკიმ. მან სხვათაშორის განაცხადა:

„ვილნო პოლონეთისა იყო, არის და მუდამ იქნება, ვილნოსთან ლეგიონერები დაკავშირებულნი არიან თავიანთი ძმებისა და ამხანაგების სისხლით".

საღამოს 6 საათზე გამოვიდა პილსუდსკი. (ადს).

ვარშავა, 12 აგვისტო. პოლონეთის დეპეშათა სააგენტო იუწყება:

„პილსუდსკიმ თავისი სიტყვა ვილნოში შემდეგი განცხადებით დაიწყო:

„როდესაც მე ვილნოში გამოვდივარ, ვცდილობ მოვერიდო ყოველგვარ დისონანსს და ყოველგვარი მწარე გრძნობის გამოწვევას".

მარშალი შეეხო იმ წლებს, რომლებიც მან ლეგიონერთა შორის გაატარა. გაიხსენა რამოდენიმე ეპიზოდი პირადი მოგონებებიდან. მან სთქვა, რომ სამშობლო ქალაქისადმი სიყვარულის გრძნობა სამუდამოდ დაკავშირებულია იმ მოგონებებთან, თუ როგორ იბრძოდნენ ლეგიონერები პოლონეთის დამოუკიდებლობისათვის; ამ გრძნობას განსაკუთრებით მკაფიოდ განიცდიდა პილსუდსკი იმ ტრაგიკულ დროს, როცა ის მაგდებურგის ციხეში ჩაამწყვდიეს.

„მაგდებურგის ტყვეობის შემდეგ რამოდენიმე წელმა განვლო,—სთქვა პილსუდსკიმ,— მე; უკვე როგორც სახელმწიფოს მეთაურმა, ხელახლა გავიხსენე ლეგიონები და 1919 წელს, სააღდგომოდ, კვლავ მოგიწოდეთ თქვენ ვილნოს დასახსნელად, რომელიც ჩვენ უნდა გვეკუთვნოდეს. მე მახსოვს, თუ როგორ გამოეხმაურეთ ჩემს მოწოდებას, მაშინ მტერი ჩვენს ქვეყანას ყოველის მხრით ემუქრებოდა. თქვენ გამოეხმაურეთ ჩემს მოწოდებას და გაილაშქრეთ ვილნოზე: ბატალიონი ბატალიონს მისდევდა, ესკადრონი ესკადრონს. მაშინ თქვენ არ ფიქრობდით, თუ რა მნიშვნელობა აქვს ვილნოს".

საღამოთი ვოევოდას სასახლეში გაიმართა ბალი, რომელსაც დაესწრნენ პილსუდსკი, მინისტრები, ხელისუფლების სხვადასხვა ორგანოების, არმიის, საზოგადოებრივი ორგანიზაციების წარმომადგენელნი და ბევრი ხალხი. (ადს).

პილსუდსკი ვილნოში

ვარშავა, 13 აგვისტო. 11 აგვისტოს ლეგიონერთა ყრილობაზე ვილნოში გაემგზავრა პილსუდსკი. პილსუდსკის თან ახლავან მისი ოჯახი, მთავრობის წევრები და ადიუტანტები (ადს).

ვარშავა, 12 აგვისტო. პოლონეთის დეპეშათა სააგენტოს ცნობით, პილსუდსკი ვილნოში ჩავიდა მონაწილეობის მისაღებად ლეგიონერთა ყოველწლიურ ყრილობაში. (ადს).

დემონსტრაცია ლეგიონერთა ყრილობის წინააღმდეგ

ვარშავა, 12 აგვისტო. 11 აგვისტოს საღამოთი ვარშავაში გაიმართა დემონსტრაცია, რომელიც მოაწყო კომპარტიის ვარშავის კომიტეტმა ლეგიონერთა იმ ყრილობასთან დაკავშირებით, რომელიც უნდა მოხდეს ვილნოში 12 აგვისტოს. დემონსტრაციის მთავარი ლოზუნგი იყო: „ძირს ომი საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ". დემონსტრაციაში მონაწილეობა მიიღო 2.000 კაცმა, თუმცა პოლიციამ ალყა შემოარტყა ახლო-მახლო ქუჩებს და მოედნებს და სცდილობდა მუშების გარეკას. ქვეითი და ცხენოსანმა პოლიციამ მრავალჯერ მიიტანა იერიში დემონსტრანტებზე. მსუბუქად დასჭრეს რამოდენიმე ათეული კაცი. ბევრი დააპატიმრეს. მუშათა უბნებში სახლის კედლებზე გაჩნდა ასეთი წარწერები: „ძირს ომი საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ" (ადს).

ომის საწინააღმდეგო დემონსტრაცია

გერმანია — საფრანგეთის საზღვარზე

ბერლინი, 12 აგვისტო. ქალაქ გროს-როსელნში და კლეინ-როსელნში, გერმანია-საფრანგეთის საზღვარზე, გაიმართა რურის ოლქის ფრონტელთა წითელი კავშირისა და კომპარტიის ლოტარინგიის ორგანიზაციის მიერ მოწყობილი ომის საწინააღმდეგო დემონსტრაცია. დემონსტრანტებმა, 10.000 კაცის რაოდენობით, „ინტერნაციონალის" სიმღერით გაიარეს საზღვრის გასწვრივ. დემონსტრაციის წინ მიდიოდნენ წითელ ფრონტელთა კოლონნები. დემონსტრაციის აღფრთოვანებული მისალმებით შეხვდნენ ფრანგი მუშები, რომლებიც საზღვრის მეორე მხარეზე იყვნენ შეგროვილი. დემონსტრაციის დაწყებამდე გროს-როსელნში და კლეინ-როსელნში შეგროვდა 3.000 ფრანგი ჯარის კაცი და ჟანდარმი. დემონსტრაციის დროს საზღვარს იცავდა გაძლიერებული რაზმი (ადს).

ხორვატია გლოვობს სტ. რადიჩს

ვენა. 12 აგვისტო. ზაგრებიდან მიღებული ცნობებით, მთელ ხორვატიაში გამოცხადებულია გლოვა რადიჩის სიკვდილის გამო.

ქალაქებში და სოფლებშიაც კი გამოფენილია სამგლოვიარო დროშები. გლეხთა დელეგაციები ხორვატიის ყველა კუთხიდან ზაგრებში მიდიან დაკრძალვაში მონაწილეობის მისაღებად. მრავალი ათასი კაცისაგან შემდგარი პროცესია განუწყვეტლივ მიემართება ცხედრის სანახავად.

მიღებული ცნობების მიხედვით, ზაგრებში შიშობენ, რომ ხორვატიის გლეხთა პარტიამ შეიძლება ხელმძღვანელობა ვერ გაუწიოს ანტი-სერბიულ მოძრაობას და მაშინ იგი უფრო რევოლიუციონურ ხასიათს მიიღებს (ადს).

მდგომარეობა ჩინეთში

იაპონიის ულტიმატუმი ჩჟან-სუე-ლიანს

შანხაი, 12 აგვისტო. ნანკინის სააგენტოს გომინის ცნობით, იაპონიის პრემიერის ტანაკას რწმუნებულმა, ბარონმა **ხაიასიმ** ულტიმატუმი წარუდგინა **ჩჟან-სუე-ლიანს** იმის გამო, რომ ჩჟან-სუე-ლიანმა არ მოისურვა ანგარიში გაეწია იაპონიის გაფრთხილებისთვის, რომლითაც ჩჟან-სუე-ლიანს წინადადება მიეცა არ ეცნო ნანკინის ხელისუფლება მანჯურიაში. ნანკინის დირექტივის თანახმად, ჩჟან სუე-ლიანმა განაცხადა, რომ, მიუხედავად იაპონიის ულტიმატუმისა, იგი შეასრულებს ხალხის სურვილს და იცნობს ნანკინის ხელისუფლებას.

უცხოეთის ავტორიტეტული წრეებიდან მიღებული ცნობით, ხაიასიმ განუცხადა ჩჟან სულე-ლიანს, რომ **ნანკინის ხელისუფლების ცნობა მუკდენის მიერ ზიანს მიაყენებს იაპონიის განსაკუთრებულ ინტერესებს და უფლებებს მანჯურიაში. ამიტომ იაპონია მოითხოვს, რომ მუკდენი მოლოდინის პოლიტიკას დაადგეს. ხოლო, თუ მუკდენი იცნობს ნანკინის ხელისუფლებას, იაპონია იმოქმედებს საკუთარი ინიციატივით და საკუთარი შეხედულებით.** დასასრულ, ხაიასიმ იმედი გამოსთქვა, რომ ჩჟან სუე-ლიანი შეასრულებს ამ მოთხოვნას და წინააღმდეგობას გაუწევს ნანკინთან შეთანხმების მომხრეთა გავლენას, თუ საჭირო იქნება, შეიარაღებული ძალითაც. ამ შემთხვევაში იაპონია მზად არის, აღმოუჩინოს მას სამხედრო დახმარება.

ხაიასის ამ განცხადებამ სენსაცია მოახდინა მუკდენის პოლიტიკურ წრეებში (ადს).

შეთანხმების პირობები ნანკინის ინციდენტის მოსაგვარებლად

შანხაი, 12 აგვისტო. ფინ-იუსი-სიანის სააგენტო „ტაჰუნი" იუწყება, რომ ინგლის-ჩინეთის შეთანხმება ე. წ. ნანკინის ინციდენტის მოგვარების შესახებ გულისხმობს შემდეგ პირობებს: პასუხისმგებლობა ნანკინის ამბებისათვის ეკისრება კომუნისტებს, ნანკინის მთავრობა მწუხარებას გამოსთქვამს ინციდენტის გამო და აუნაზღაურებს ინგლისს იმ ზარალს, რომელიც მის მოქალაქეებს მოუვიდათ ნანკინში. ნანკინის მთავრობა კისრულობს ინგლისის ქვეშევრდომთა სიცოცხლის და ქონების დაცვას, ხოლო ინგლისი თანხმობას აცხადებს დაიწყოს მოლაპარაკება ინგლის-ჩინეთის ახალი ხელშეკრულების დასადებად, „სრული თანასწორობისა და ურთიერთ პატივისცემის" საფუძველზე.

სრული გაკოტრება იაპონიის პოლიტიკისა ჩინეთში

ტოკიო, 12 აგვისტო. მინსეიტოს (ოპოზიციონური „კონსტიტუციონურ-დემოკრატიული პარტიის) გენერალურმა მდივანმა კოიძუმმა, პრემიერ ტანაკას სიტყვის გამო, პარტიის სახელით გამოაქვეყნა განცხადება იაპონიის პოლიტიკის შესახებ მანჯურიაში.

კოიძუმის სიტყვით, **ტანაკას გამოსვლა მოასწავებს მთავრობის წინანდელი „დადებითი პოლიტიკის" სრულ გაკოტრებას ჩინეთში.**

ტანაკას მიერ დასახული ახალი პოლიტიკა, კოიძუმის აზრით, უახლოვდება მინსეიტოს მიერ წამოყენებულ მოთხოვნილებებს.

შემდეგ განცხადებაში ნათქვამია: **„იაპონიის მთავრობის პოლიტიკა, მიმართული მუკდენისა და ნანკინის შეთანხმების წინააღმდეგ, სრულიად უნიადაგო აღმოჩნდა. მისი ერთად-ერთი შედეგი იყო მტრული განწყობილების გაძლიერება იაპონიის მიმართ სამხრეთში და იაპონიის ავტორიტეტის დაცემა მანჯურიაში" (ადს).**

ჩინეთ-იაპონიის ინციდენტი

შანხაი, 13 აგვისტო. გაზეთების ცნობით, ჩინეთის სამხედრო ხელისუფლებამ სიუნლიანჩენში დააპატიმრა იაპონელი ოფიცერი და რამდენიმე იაპონელი ჯარისკაცი, რომელთაც ბრალად სდებენ ჯაშუშობას ჩინეთის ტერიტორიაზე.

იაპონიის კონსულმა ტიანცზინში მოითხოვა, დაუყოვნებლივ დასჯილ იქნენ ის პირები, რომელთა განკარგულებითაც იაპონელნი დააპატიმრეს. მოითხოვა აგრეთვე ბოდიშის მოხდა.

ჩინეთის ხელისუფალთ ტზიანცზინში გადასწყვიტეს — „უშედეგოდ დასტოვონ იაპონიის კონსულის პროტესტი". (ადს).

ჩინეთ-საფრანგეთის ხელშეკრულების გადასინჯვა

შანხაი, 12 აგვისტო. როგორც ნანკინის გომინის სააგენტო იუწყება, საფრანგეთის კონსულმა შანხაიში მიიღო პარიზიდან დირექტივა — განაცხადოს, რომ **საფრანგეთის მთავრობა მზად არის გადასინჯოს ჩინეთ-საფრანგეთის ხელშეკრულება (ადს).**

ინგლისის საკონსულო ნანკინში

შანხაი, 12 აგვისტო. ინგლისის ორგანოს „ნორთ ჩაინა დეილი ნიუს"-ის ცნობით, უახლოეს დროში განახლდება ინგლისის საკონსულოს მოქმედება ნანკინში. (ადს).

ინგლის-საფრანგეთის შეთანხმება

ს ა ზ ღ ვ ა ო შ ე ი ა რ ა ღ ე ბ ი ს შ ე ს ა ხ ე ბ

ბერლინი, 12 აგვისტო. „კელნიშე ცეიტუნგ"-ის ლონდონელი კორესპონდენტი გადმოგვცემს დაწვრილებით ცნობებს იმ შეთანხმების შესახებ, რომელიც ინგლის-საფრანგეთ შორის დაიდო საზღვაო შეიარაღების შესახებ.

კორესპონდენტის სიტყვით, ამ შემთხვევაში არ არსებობს შეთანხმება — ამ სიტყვის ნამდვილი მნიშვნელობით, ე. ი. არ არსებობს დოკუმენტი, რომელიც ფორმალურად ხელმოწერილი იყოს ორივე ქვეყნის წარმომადგენელთა მიერ. არის მხოლოდ წერილობითი აღნუსხვა იმ მოლაპარაკების შედეგებისა, რომელიც ინგლისის და საფრანგეთის საზღვაო ექსპერტებს შორის სწარმოებდა. მაგრამ ორივე ქვეყნის მთავრობა დაეთანხმა ამ მოლაპარაკების შედეგებს.

შეთანხმება შეეხება მხოლოდ და მხოლოდ საზღვაო შეიარაღების საკითხს. ამ შეთანხმებით დაწესებულია სამხედრო გემების კატეგორიებად განაწილების პრინციპი. ყოველი კატეგორიის გემისათვის შემდეგში შეიძლება დაწესებულ იქნას ტონაჟის საზღვრითი რაოდენობა. ჯერჯერობით კი შეთანხმება არ განსაზღვრავს ტონაჟს და დაწვრილებითი არ ეხება სხვა მომენტს. შეთანხმების მუხლების დაწვრილებითი განსაზღვრა განზრახულია მაშინ, როცა შეერთებული შტატები, იტალია და იაპონია შესაძლოდ სცნობენ ეს შეთანხმება დაედოს საფუძვლად შემდგომ მოლაპარაკებას საზღვაო შეიარაღებათა შეზღუდვის შესახებ. (ადს).

კომინტერნის VI მსოფლიო კონგრესი

მოსკოვი, 13 აგვისტო. 12 აგვისტოს კომინტერნის პლენარული სხდომა არ შემდგარა. პლენარული სხდომა მოხდება 13 აგვისტოს დილის 8 საათზე. დღის წესრიგშია კამათის გაგრძელება პროგრამის პროექტის მოხსენების გამო. საღამოს სხდომაზე მოელიან ამხ. ბუხარინის საბოლოო სიტყვას.

სამშაბათ დილით განზრახულია მოსმენა ამხ. **კუუსინენის** და **ერგელის** მოხსენებისა კოლონიებში რევოლიუციონური მოძრაობის საკითხის შესახებ.

12 აგვისტოს კომინტერნის დელეგატები დაესწრნენ ფიზკულტურელების აღლუმს წითელ მოედანზე. (ადს).

საბჭოთა კავშირი და კელოგის ხელშეკრულება

შეერ. შტატების სახელმწიფო დეპარტამენტი ვერ ისვენებს

ნიუ-იორკი, 12 აგვისტო. სახელმწიფო დეპარტამენტი მოუსვენრად ადევნებს თვალყურს საბჭოთა კავშირის მიერ კელოგის ხელშეკრულებაზე ხელმოწერის შესაძლებლობას.

„ბალტიმორ სენ"-ში დაიბეჭდა წერილი, რომელიც ამტკიცებს, რომ კელოგი მზად არის შეურიგდეს საბჭოთა კავშირის მონაწილეობას ხელშეკრულებაში. გაზეთის სიტყვით, კელოგს ეს საბჭ. კავშ. ცნობის პირველ ნაბიჯად მიაჩნია. სახელმწიფო დეპარტამენტმა დაუყოვნებლივ უარჰყო გაზეთის ცნობა.

„ბალტიმორ სენ"-მა გამოაქვეყნა ცნობა, რომ, სახელმწიფო დეპარტამენტის აზრით, საბჭოთა კავშირის მონაწილეობა კელოგის ხელშეკრულებაში არ მოახდენს გავლენას ამერიკა-საბჭოთა კავშირის ურთიერთობის ხასიათზეო.

„ბალტიმორ სენ"-ის ვაშინგტონელი კორესპონდენტი იუწყება, რომ სახელმწიფო დეპარტამენტის აზრით, კელოგის პაქტს ხელს ვერ მოაწერენ ახალი სახელმწიფოები იმ დრომდე, ვიდრე პაქტს არ დაამტკიცებენ იმ 15 სახელმწიფოს პარლამენტები, რომელნიც პაქტს პირველ რიგში აწერენ ხელს. ეს გარემოება სულ ცოტა ერთ წელზე ადრე შეუძლებელს გახდის, რომ სხვა სახელმწიფოებიც შეუერთდნენ ხელშეკრულებას (ადს).

„კელოგის ხელშეკრულება — ჩრ.-ამერიკის შეერთებული შტატების მანევრია"

ნიუ-იორკი, 12 აგვისტო. კონსერვატიული გაზეთი „ლა-ნასიონ"-ი, რომელიც ბუენოს-აირესში გამოდის, უსაყვედურებს კელოგს იმის გამო, რომ მან ესპანეთი და საბჭოთა კავშირი არ მიიწვია ხელშეკრულებაში მონაწილეობის მისაღებად. გაზეთის სიტყვით, ეს ხელშეკრულება წარმოადგენს ჩრ.-ამერ. შეერთებული შტატების მანევრს, რომელიც შინაურ პოლიტიკის მიზნებს ისახავს (ადს).

კულიჯი კელოგის ხელშეკრულების შესახებ

ნიუ-იორკი, 12 აგვისტო. როგორც პრესა იუწყება, პრეზიდენტის კულიჯის აზრით, კელოგის ხელშეკრულება არ გამოიწვევს ჩრდილო-ამერიკის შეერთებული შტატების ახალი საზღვაო პროგრამის შეზღუდვას. ეს პროგრამა ითვალისწინებს ყველა კატეგორიის ახალი სამხედრო გემების აგებას მნიშვნელოვანი რაოდენობით (ადს).

კელოგი უარყოფს

ვაშინგტონი, 12 აგვისტო. კელოგი უარყოფს იაპონურ წყაროებიდან მიღებულ ცნობას, რომლის მიხედვითაც ვითომ იაპონია მოითხოვს, იაპონია-ამერიკის ახალ საარბიტრაჟო ხელშეკრულებაში შეტანილ იქნას მუხლი იმის შესახებ, რომ არბიტრაჟი არ ვრცელდება ყველა იმ დავაზე, რომელიც აზიას შეეხება.

იაპონიის წყაროებიდან მიღებული ცნობებით, ეს შენიშვნა ისეთივეა, როგორც არის მონროეს დოქტრინის თეზისი, რომლის მიხედვითაც ევროპიელები არ უნდა ჩაერიონ სამხრეთ ამერიკის კონფლიქტში. კელოგი აცხადებს, რომ მოლაპარაკება იაპონია-ამერიკის ახალი საარბიტრაჟო ხელშეკრულების დადების შესახებ წარმატებით მიმდინარეობს და ხელშეკრულება, ალბად, დაიდება 24 აგვისტოს, როცა გავა ეხლანდელი ხელშეკრულების ვადა.

გარეშე საქმეთა სამინისტრო, უარყოფს რა ცნობას, რომ იაპონია ცდილობს შექმნას „მონროეს მაგვარი იაპონური დოქტრინა" აზიისათვის, აღნიშნავს, რომ ჩრდ. ამერიკის შეერთ. შტატები გაილაშქრებენ იაპონიის ასეთი ნაბიჯის წინააღმდეგ. (ადს).

შტრეზემანი პარიზში მიემგზავრება

პარიზი, 12 აგვისტო „პტი პარიზიენ"-ის ცნობით, შტრეზემანის წასვლა პარიზში გადაწყვეტილად შეიძლება ჩაითვალოს. მაგრამ შტრეზემანი, გაზეთის სიტყვით, ჩავა მხოლოდ და მხოლოდ ხელშეკრულებაზე ხელის მოსაწერად. გაზეთი ხაზს უსვამს, რომ არ მოხდება არავითარი მოლაპარაკება რეინის ოლქის ევაკუაციის შესახებ.

ბოლდუინის მიმართვა მრეწველებისადმი

ლონდონი, 12 აგვისტო. იუწყებიან, რომ 23 აგვისტოს მრეწველებს დაეგზავნებათ 10.000 წერილი, რომელზედაც ბოლდუინს უწერია ხელი. ბოლდუინი ამ წერილებში სთხოვს მრეწველებს, სამუშაო მისცენ რაც შეიძლება მეტ მუშას, განსაკუთრებით ზამთარში, იმ პერიოდის წინ, როცა უნდა მოხდეს არჩევნები პარლამენტში. (ადს).

კონვენცია დამნაშავეთა გაცემის შესახებ

ვარშავა, 12 აგვისტო. პოლონეთის დეპეშათა სააგენტო იუწყება, რომ საერთაშორისო სამართლის ასოციაციის კონგრესმა მიიღო პროექტი კონვენციისა დამნაშავეთა გაცემის შესახებ. კონგრესმა დაადგინა, რომ პოლიტიკური მიზეზით ჩადენილი დანაშაული, უკეთუ იგი საფრთხეს უქადის ადამიანის სიცოცხლეს, წარმოადგენს საფუძველს დამნაშავის გაცემისათვის (ადს).

მ ო ს კ ო ვ ი

(ტელეგრაფით საკუთარი კორესპონდენტისაგან)

ბირჟა ნერვიულობას იჩენს

მოსკოვი, 13 აგვისტო. „იზვესტია"-ს კორესპონდენტი ბორისოვი იუწყება რიგიდან, რომ ლატვიის პრესის ნერვიული მდგომარეობა გადაეცა ბირჟასაც. ბირჟაზე გაძლიერებულთ მოთხოვნილებაა უცხოეთის ვალიუტაზე.

ბარბიუსის მესამე წერილი

მოსკოვი, 13 აგვისტო. „იზვესტია" ათავსებს ბარბიუსის მესამე წერილს ამიერ-კავკასიის და საქართველოს შესახებ. ამ წერილში ბარბიუსი ეხება ბათომს. ის ჩერდება ბათომის წარსულზე და აღნიშნავს ინგლისელებისა და მენშევიკების ბატონობას აჭარისტანში. მწერალი განსაკუთრებით უსვამს ხაზს იმ ჩაგვრას, რომელსაც ადგილობრივი მოსახლეობა განიცდიდა ჯერ ცარიზმის, შემდეგ კი მენშევიკების და ინგლისელების ბატონობის დროს. ბარბიუსი ეხება აგრეთვე ბაქოს და თავის წერილს შემდეგნაირად ათავებს: „120 წლის განმავლობაში ცარიზმი პარპაშებდა ამიერ-კავკასიაში, ხოლო სამი წლის განმავლობაში ის მენშევიკების, დაშნაკების და მუსავატელების სათარეშო მოედანი იყო. ამ ხნის განმავლობაში ამიერ-კავკასია ძმურ ეროვნებათა შორის სისხლის ღვრის, განხეთქილების მუდმივი უთანხმოებისა და შეხლა-შემოხლის არეს წარმოადგენდა. ჯერ მეფისა და შემდეგ მენშევიკ - დაშნაკ-მუსავატელების მთავრობები განზრახ ქმნიდენ მტრობის და უთანხმოების ატმოსფერას ამიერ-კავკასიაში, რათა უფრო მეტად გაეძლიერებიათ და განემტკიცებიათ თავისი ბატონობა. მაგრამ მშრომელთა სოლიდარობისა და ძმობის გრძნობის დახშობა ვერ შესძლო ვერც ერთმა მათგანმა. ამიერ-კავკასიაში ამჟამად ისევე, როგორც მთელ საბჭოთა კავშირში, საბჭოთა დროშა ფრიალებს, რაც ყველა ეროვნებათა სოლიდარობისა და ძმური ერთობის სიმბოლოა".

ამიერ-კავკასიის ფიზკულტუროსნები საკავშირო სპარტაკიადაზე

მოსკოვი, 13 აგვისტო. ამიერ-კავკასიის ფიზკულტუროსნებს საკავშირო სპარტაკიადაზე მეოთხე ადგილი უჭირავთ რიცხვობრივად სხვა რესპუბლიკებისა და ქალაქების წარმომადგენელთა შორის. პირველ ადგილზე იმყოფება მოსკოვი, შემდეგ ლენინგრადი, უკრაინა, ხოლო შემდეგი ადგილი უჭირავს ამიერ-კავკასიას.

დღეს წითელ მოედანზე შესდგა სპარტაკიადაზე მონაწილეთა აღლუმი. ამიერ-კავკასიის ფიზკულტუროსანთა გუნდს წინ მიუძღვოდა ამხ. მიხა ცხაკაია. დღესვე შესდგა პირველი მატჩი ფეხბურთში. მასში შეხვდენ ამიერ-კავკასიისა და ურალის ფეხბურთელთა ჯგუფები. გაიმარჯვეს ამიერ-კავკასიელებმა, შედეგით 8:0. ცურვაში 50 მეტრის მანძილზე მეორე ადგილი დაიჭირა ა. კ. მაკაროვმა. როგორც ამ თავითვე სჩანს, ამიერ-კავკასიელები შეჯიბრში ერთ-ერთ პირველ ადგილთაგანს დაიჭერენ.

როდის დაბრუნდება „კრასინი"

მოსკოვი, 13 აგვისტო. როგორც ჩვენს კორესპონდენტს აცნობეს ნობილეს ექსპედიციის დამხმარე კომიტეტში, ყინულთმჭრელი გემი „კრასინი" რამოდენიმე დღის განმავლობაში [illegible] გაემგზავრება ამუნდსენისა და ნობილეს ექსპედიციის დარჩენილი მონაწილეთა საძებრად. გემი წარმოებს მუშაობას სანამ რაიმე გარკვეულ შედეგს არ მიაღწევს. კომიტეტში ფიქრობენ, რომ „კრასინი" ლენინგრადში დაბრუნდება არაუადრეს ორი თვისა.

უკანასკნელი ცნობები

„კრასინის" შეკეთება

ოსლო, 13 აგვისტო. ნორვეგიის დეპეშათა სააგენტო იუწყება: „კრასინი", როგორც ჩანს, უფრო სერიოზულად არის დაზიანებული, ვიდრე პირველ ხანებში ეგონათ. მუშაობა დღისით და ღამით სწარმოებს. გუშინ „კრასინი" 12.000 კაცმა დაათვალიერა. რადგან დამთვალიერებელთა ასეთი სიმრავლე ხელს უშლის გემის შეკეთებას, ამიტომ დროებით მისი დათვალიერება აკრძალული იქნება". შეკეთებას ერთი კვირა დასჭირდება (ადს).

აღმოსავლეთის ბაზრობა

ბერლინი, 13 აგვისტო. კენიგსბერგში გაიხსნა აღმოსავლეთის მორიგი ბაზრობა და სახოფლო-სამეურნეო გამოფენა. საბჭოთა კავშირის სახოფლო-სამეურნეო გამოფენა, რომელიც ცალკეა მოწყობილი უამრავ მნახველს იზიდავს (ადს).

იარაღის კონტრაბანდათ გატანის ცდა

ხარბინი, 13 აგვისტო. გუშინ აღმოს. ჩინეთის რკინისგზის ხარბინის საბარგო სადგურზე ჩინეთის საბაჟოს აგენტებმა კონფისკაცია მოახდინეს დიდძალი იარაღისა და ვაზნების, რომლებიც 6 აგვისტოს ვლადივოსტოკიდან საქონლის მატარებლით მოვიდა. ტვირთი გამოგზავნილია მომთხოვნის სახელზე, მისი წონა უდრის 15 ტონას (ე. ი. მთელი საბარგო ვაგონია). ტვირთი ვლადივოსტოკიდან გამოუგზავნია ერთ იაპონურ ფირმას. ჩინეთის ოფიციოზი „გუნ ბაო" სწერს: „რადგან ტვირთი შეხვეულია ძველ იაპონურ გაუყიდველ გაზეთებში, რომლებიც, ალბად, პირდაპირ სტამბიდანაა გამოტანილი, შეიძლება დარწმუნებით ითქვას, რომ იარაღი პირველად იაპონიიდან გამოიგზავნა. ამ მოსაზრებას ადასტურებს ისიც, რომ იარაღი დამახასიათებელი იაპონური წესით არის შეხვეული". საბაჟოს აგენტების ყურადღება იმან მიიქცია, რომ ნუმერაცია სხვადასხვა კასრებზე სხვადასხვა საღებავით იყო დაწერილი; ზოგი წითელი ფერით, ზოგი შავით. ყუთებში აღმოჩნდა ბრაუნინგის, ხოლის და მაუზერის სისტემის რევოლვერები და აგრეთვე ვაზნები. საქონლის სადგურში მოვიდა რკინის გზის პოლიციის რაზმი და საბარგო ავტომობილები თითქმის 1.000 ფუთი ტვირთის გადასაზიდად. საბაჟოს აგენტებმა რომ ეჭვი მიიტანეს ტვირთზე,—მისი მიმღები იაპონელი მაშინვე მიიმალა. ჯერ ნამდვილად არ არის გამორკვეული, თუ სახელდობრ რომელმა იაპონურმა ფირმამ გამოგზავნა იარაღი და ვის უნდა მიეღო იგი. მაგრამ, როგორც ჩანს, ეს გამოირკვევა.

ადგილობრივ პოლიტიკურ წრეებში ასეთ დიდძალ კონტრაბანდ იარაღის გამოგზავნას უკავშირებენ იმ გარემოებას, რომ აღმოსავლეთ-ჩინეთის რკინის გზის აღმოსავლეთ რაიონში უკანასკნელ დროს გაძლიერდა ხუნხუზების ბანდების მოქმედება, რომლებშიაც მონაწილეობას იღებენ რუსი თეთრგვარდიელები. (ადს).

ჩჟან სიუე-ლიანის პასუხი

პეკინი, 13 აგვისტო. იუწყებიან ვითომც ჩჟან-სიუე-ლიანმა ბარონ ხაიასის მუქარის პასუხად განაცხადა, რომ „მას არ შეუძლია უყურადღებოდ დასტოვოს ხალხის სურვილი, რადგან ხალხის სურვილი მისი სურვილია; მას იმედი აქვს, რომ იაპონია სათუოდ არ გახდის თავის საკუთარ საერთაშორისო კეთილ განწყობილებას (ადს).

მეორე ინტერნაციონალის კონგრესი

ბრიუსელი, 12 აგვ. 10 აგვისტოს მე-2 ინტერნაციონალის კონგრესის საღამოს სხდომაზე პოლიტპატიმართა დამხმარე კომიტეტის სახელით მოხსენება გააკეთა დებრუკერმა (ბელგია). მოხსენება გაჟღენთილი იყო ჩვეულებრივი ანტიბოლშევიკური ლანძღვა-გინებით.

როგორც ირკვევა, კონგრესის კომისიებში ყველა მნიშვნელოვანი საკითხის განხილვის დროს მომხდარა სასტიკი ბრძოლა სხვადასხვა ჯგუფებს შორის, კერძოდ, ინგლისის დელეგაციებსა და ბელგიის ჯგუფს შორის. განსაკუთრებით გამწვავებული ბრძოლა განიარაღების კომისიაში, სადაც ოფიციალური რეზოლიუციის საწინააღმდეგოდ ინგლისის დამოუკიდებელ მუშათა პარტიას წამოუყენებია საკუთარი რეზოლიუცია. ეს რეზოლიუცია იწყებოდა მისალმებით საბჭოთა მთავრობისადმი განიარაღების პროექტის წამოყენებისთვის. განიარაღების საბჭოთა პროექტი, რეზოლიუციის აზრით, ერთად-ერთი შესაძლებელი საფუძველია განიარაღების ნამდვილი საერთაშორისო პოლიტიკის განსახორციელებლად, იგი ომის წინააღმდეგ მიმართული ერთად-ერთი ღონისძიებაა. რეზოლიუცია მოითხოვდა სამხედრო ბეგარის გაუქმებას, აგრეთვე იმას, რომ ყველა ქვეყნის სოციალისტურმა ფრაქციებმა პარლამენტში გაილაშქრონ სამხედრო ბიუჯეტის წინააღმდეგ, ყოველგვარი პირობის მიუხედავად. დამოუკიდებელი მუშათა პარტიის წინააღმდეგ გამოვიდა დებრუკერი (ბელგია). გამწვავებული ბრძოლა სწარმოებდა აგრეთვე მსოფლიო მეურნეობის საკითხების კომისიაშიც, სადაც ოტო ბაუერსა და ტრეველიანს (ინგლისის მუშათა პარტია) შორის შეტაკებამ მეტად მწვავე კონფლიქტის ხასიათი მიიღო. ოტო ბაუერმა, იმ მიზნით. რომ კომინტერნისათვის კონკურენცია გაეწია, წინადადება მისცა კონგრესს—გამოექვეყნებია მოწოდება მსოფლიო სამეურნეო მდგომარეობის დაწვრილებითი დახასიათებით. ამის საბუთად ოტო ბაუერმა მოიყვანა ის მოსაზრება, რომ კომინტერნის თითქმის ყველა რეზოლიუცია მსოფლიო მეურნეობის მდგომარეობის დახასიათებას შეიცავსო. ამის წინააღმდეგ გაილაშქრეს ინგლისელებმა, რომელთაც მოითხოვეს, რომ კონგრესმა მიიღოს მხოლოდ მოკლე რეზოლიუციები კონკრეტული ფორმულებით. მიიღეს კომპრომისული გადაწყვეტილება: დაადგინეს გამოაქვეყნონ მოწოდება, სადაც მთავარი ყურადღება მაინც კონკრეტულ ფორმულებს მიექცევა.

საფრანგეთის დელეგაციამ წინადადება შეიტანა—შემდეგი კონგრესის დღიურ წესრიგში დაისვას საკითხი სოციალისტების მონაწილეობის შესახებ კოალიციურ მთავრობებში.

ეს წინადადება გადასაწყვეტად გადაეცა აღმასკომს.

ბრიუსელის კონგრესის უკანასკნელ სხდომაზე ვანდერველდემ თითქმის ცარიელ დარბაზში წაიკითხა პოლიტიკური კომისიის მოხსენება და მის მიერ მიღებული მანიფესტი ყველა ქვეყნის მუშებისადმი. მანიფესტმა დამსწრეებზე არავითარი შთაბეჭდილება არ მოახდინა. შემდეგ ილაპარაკა ოტო ბაუერმა, რომელმაც აღნიშნა, რომ მე-II ინტერნაციონალის მარსელის კონგრესის შემდეგ მოხდა ბევრი ისეთი, რამ, რაც მოწმობს, რომ ომით გამოწვეული კრიზისი კაპიტალიზმისა დაძლეულია. იმედის დაკარგვა,—განაგრძო ბეუერმა,—ჰქმნის სასოწარკვეთილების თეორიებს. ამისივე შედეგია ის, რომ კომინტერნი დარწმუნებულია ახალი მსოფლიო ომის აუცილებლობაში. ამიტომ უნდა ვეცადოთ, რომ მუშათა კლასი უფრო მეტის რწმენით უყურებდეს თავის ძალებს. ამის გამო დღევანდელ პირობებში განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს მანიფესტის ფორმასო. შემდეგ ბაუერმა კმაყოფილებით აღნიშნა აღმოსავლეთის ხალხების და აღმოსავლეთის პროლეტარიატის გამოღვიძება. განსაკუთრებით ჩინეთის ხალხის გამოღვიძება. დასასრულ, ბაუერმა სთქვა: „საბჭოთა სისტემის უდიდეს დამსახურებას შეიძლება წარმოადგენს ის გარემოება, რომ მან ხელი შეუწყო აღმოსავლეთის ხალხების გამოღვიძებას. მაგრამ, სამწუხაროდ, მან განაახლა ძველი ნაროდნიკული ილიუზიები, თითქო შესაძლებელი იყოს განვითარების კაპიტალისტურ ფაზაზე გადახტომა. არ უნდა შეიქნეს ისეთი შთაბეჭდილება,—განაგრძო ბაუერმა,—თითქო ჩვენი უთანხმოება ბოლშევიზმთან ზურგს უმაგრებს ინგლისის მთავრობის მტრულ პოზიციას საბჭოთა კავშირის მიმართ. ჩვენმა პოლემიკამ უნდა დაანახოს ყველა საუკეთესო ადამიანს, რომელიც ბოლშევიზმს ემხრობა, რომ ამჟამად აღარ არსებობს არავითარი საფუძველი გათიშვისათვის. მხოლოდ მთლიანობას შეუძლია დაიხსნას საბჭოთა კავშირი რეაქციისაგან".

ინგლისის მუშათა პარტიის წარმომადგენელმა ლენსბერიმ აცნობა კონგრესს, რომ პოლიტიკურ კომისიაში კომუნიზმსა და საბჭოთა კავშირთან დამოკიდებულების საკითხში წარმოიშვა უთანხმოება, ერთის მხრით—ინგლისის მუშათა პარტიის და დამოუკიდებელ მუშათა პარტიის დელეგატებსა, ხოლო მეორეს მხრით—დანარჩენ დელეგატებს შორის.

ლენსბერიმ განაცხადა, რომ ინგლისის დელეგატები სიხარულით ეგებებიან საბჭოთა კავშირის სოციალისტურ მშენებლობასო. მათის აზრით, საბჭოთა კავშირის შინაური მდგომარეობა თვით ადგილობრივი მოსახლეობის საქმეა.

დამოუკიდებელ მუშათა პარტიის წარმომადგენელმა დალტონმა განაცხადა, რომ დამოუკიდებელი მუშათა პარტია მხარს უჭერს ბაუერისა და ლენსბერის დაყენებულ მოწოდებებს; იგი მხოლოდ აღნიშნავს, რომ დამოუკიდებელი მუშათა პარტია არ იზიარებს იმ აზრს, თითქო კომუნისტები თავიანთ იმედს ახალ ომზე ამყარებდნენ. იგი არ იზიარებს არც იმ აზრს, თითქო ეკონომიური კრიზისი საბჭოთა კავშირში საბჭოთა სისტემის შედეგი იყოს. დამოუკიდებელი მუშათა პარტია ფიქრობს, რომ საბჭოთა კავშირის მუშაობა მეურნეობის აღდგენის დარგში არ ჩამოუვარდება დასავლეთ ევროპის სოციალისტური პარტიების მუშაობას. სოციალისტურ მშენებლობას წინ ეღობებიან გარეშე დაბრკოლებანი. დამოუკიდებელი მუშათა პარტია უარჰყოფს აგრეთვე იმ აზრს, თითქო კაპიტალისტური ტერორის მიზეზი ბოლშევიზმი იყოს. პირიქით, კაპიტალისტური ტერორი მუშათა კლასის გაძლიერების და განმტკიცების შედეგია. შემდეგ დამოუკიდებელი მუშათა პარტია, სთმობს რა თავის პოზიციას, უერთდება მანიფესტს და იმედს გამოსთქვამს, რომ შემდეგ კონგრესში საბჭოთა დელეგაციაც მიიღებს მონაწილეობასო.

ამის შემდეგ კონგრესმა მანიფესტი ერთხმად მიიღო.

გენდერსონისა და ვანდერველდეს უკანასკნელი სიტყვების შემდეგ კონგრესი დაიხურა. (ადს).

ამხ. მიქოიანი პურის დამამზადებელი ორგანიზაციების ამოცანების შესახებ

მოსკოვი, 13 აგვისტო. „პრავდა"-ს თანამშრომელი ესაუბრა ამხ. მიქოიანს. ამხ. მიქოიანი შეეხო პურის კონიუნქტურასთან დაკავშირებულ საკითხებს და პურის დამამზადებელ ორგანიზაციების იმ ამოცანებს, რომლებსაც უკარნახებს მათ პურის კონიუნქტურა.

„პურის მიმდინარე კონიუნქტურა,—სთქვა ამხ. მიქოიანმა,—გარდამავალი ხასიათისაა. ამ კონიუნქტურის დადებით მომენტს წარმოადგენს მოსავლის პირის ერთგვარი გაუმჯობესება წრეულს, წარსულ წელთან შედარებით. მოსავალს, შარშანდელთან შედარებით, ცოტაოდენი გაუარესება დაეტყო სამხრეთ უკრაინაში, ხოლო გაუმჯობესება—ვოლგის რაიონში, ციმბირში და კაზაკსტანში.

პურის დამზადების ოპერაციების განვითარებას ამ უკანასკნელ დროს მრავალ რაიონში აბრკოლებენ წვიმები, რომლებმაც შეანელეს პურის აკრეფისა და მოზიდვის ტემპი. მაგრამ, ცნობების მიხედვით, აგვისტოს მეორე ნახევარში უკვე ველით პურის მასიურ მოზიდვას. წელს ვალად გვაწევს დიდი და რთული ამოცანა—მოვაწოდოთ თესლი იმ სამხრეთ რაიონების გლეხობას, სადაც შემოდგომაზე დათესილი ხორბალი დაიღუპა. მიმდინარე წელს გლეხობას უნდა დავურიგოთ 19 მილ. ფუთამდე თესლეული—ხორბალი და ჭვავი, პურის მთელი ეს რაოდენობა უნდა მოვამზადოთ არა უგვიანეს სექტემბრისა. ამ გარემოებამ და აგრეთვე იმ სიძნელემ, რასაც წარმოადგენს პურის მიწოდება მრავალ სამომხმარებლო რაიონისათვის, გვაიძულა შემოგვეტანა საზღვარ-გარეთიდან 15 მილ. ფუთი ხორბალი იმისთვის, რომ ახალი დამზადების ოპერაციების განვითარებამდე უზრუნველვყოთ გლეხობა თესლეულით. ეს პური უკვე შევისყიდეთ და მოდის ჩვენ ნავთსადგურებში.

პურის დამზადების დაწყებასთან დაკავშირებით, მდგომარეობა სამომხმარებლო ბაზარზე ბევრად უფრო გაადვილდა მაისთან და ივნისის დასაწყისთან შედარებით. მაგრამ მომარაგების ბაზარზე მოსალოდნელია ერთგვარი სიძნელე მანამდე, სანამ საკმაოდ გაძლიერდება პურის დამზადება, განსაკუთრებით საბჭოთა კავშირის აღმოსავლეთ რაიონებში.

ახალი კამპანიის შემზადებას მრავალი დაბრკოლება ეღობება. უსათუოდ თავიდან უნდა ავიცილოთ წარსული წლის შეცდომები და დეფექტები. თუმცა უმთავრესი დეფექტები უკვე გამოვასწორეთ, მაგრამ პურის დამამზადებელი აპარატის მუშაობაში მაინც აქვს ადგილი წარსული წლის შეცდომებს. ასეთ შეცდომათა რიცხვს უნდა მივაკუთვნოთ მავნებელი კონკურენცია სახელმწიფო და კოოპერატიულ დამამზადებელთა შორის და აპარატის არა სათანადო აქტივობა პურის დამზადების დროს. ამ დეფექტებს იყენებს კერძო ვაჭარი-სპეკულიანტი. სახელმწიფო და კოოპერატიული დამამზადებლები იმდენად არიან გატაცებულნი კონკურენციით, რომ ხშირად ივიწყებენ მთავარ მიზანს—მთლიანი ფრონტის შექმნას სპეკულიანტების წინააღმდეგ პურის ბაზარზე. ადგილებს უკვე მივეცით დირექტივები პურის დამზადებისა და მიწოდების ყველა საკითხზე, ვაჭრობის სახალხო კომისარიატის ადგილობრივი ორგანოების და პურის დამამზადებელი ორგანიზაციების საკავშირო თათბირი, რომელიც ამ დღეებში დაიწყება, შეიმუშავებს პურის დამზადების მტკიცე წლიურ გეგმას და მოქნილ მეთოდებს პურის დამზადების საქმის მოსაგვარებლად და პურის ბაზრის მოსაწესრიგებლად.

„პურის დამზადების დაგვიანება და მისი ნელი ტემპი,—დასძინა ამხ. მიქოიანმა,—აგრეთვე მრავალი სიძნელე, რომლებიც ძველი კამპანიიდან გადმოგვყვა, ართულებენ მიმდინარე კამპანიის დაწყებას. მაგრამ რადგან წელს საერთოდ კარგი მოსავალია და სამრეწველო საქონელიც მრავლად გვაქვს,—მართალია არა საკმაო რაოდენობით, მაგრამ უფრო მეტი, ვიდრე შარშან გვქონდა,—ამასთან ყველა ჩვენი ორგანოც თავის დროზე მოემზადა, ამიტომ იმედი გვაქვს, რომ შევსძლებთ შემოდგომამდე გავაფართოვოთ პურის დამზადება იმდენად, რომ თავიდან ავიცილოთ მწვავე დაბრკოლებანი პურის დამზადებისა და მიწოდების ბაზარზე. (ადს).

„კრასინ"-ი ნორვეგიაში

„კრასინ"-ი ჩავიდა სტავანგერში

ოსლო, 12 აგვისტო. როგორც ნორვეგიის დეპეშათა სააგენტო იუწყება, 11 აგვისტოს დილით 10 საათზე სტავანგერში ჩავიდა „კრასინ"-ი. საუცხოვო ამინდია. ქალაქი და ნავთსადგური დროშებით არის მორთული. სანაპიროზე დიდძალმა ხალხმა მოიყარა თავი. (ადს).

სამოილოვიჩის განცხადება

ოსლო, 12 აგვისტო. როგორც ნორვეგიის დეპეშათა სააგენტო იუწყება ამ სააგენტოს წარმომადგენელს უსაუბრია სამოილოვიჩთან, რომელიც მას გაჭირვებით უნახავს „კრასინ"-ზე, რადგან სამოილოვიჩს თავმდაბლად ეჭირა თურმე თავი და სადღაც უკანა რიგებში იყო.

სამოილოვიჩმა განუცხადა კორესპონდენტს, რომ იტალიელებმა უეჭველად ყველაფერი გააკეთეს თავიანთი ექსპედიციის გასამარჯვებლად და რომ არ შეიძლება დაეკისროს მათ პასუხისმგებლობა კატასტროფისათვის.

„ამჟამად,—სთქვა სამოილოვიჩმა,—ყველა მხრიდან გვესმის იტალიელების გაკიცხვა. მაგრამ ექსპედიციას რომ გაემარჯვა, მაშინ იტალიელებს ყველა ქება-დიდებას შეასხამდა".

შემდეგ კორესპონდენტი შეეკითხა სამოილოვიჩს—რას ფიქრობს იგი მალმგრენის ბედის შესახებ.

„თქვენ, უეჭველად, მიხვდებით,—უპასუხა სამოილოვიჩმა,—რომ ასეთ შემთხვევაში მეტად ძნელია გარკვეულად რამეს თქმა და ამიტომ არ შემიძლია გიპასუხოთ ამ კითხვაზე".

„კრასინ"-ის შემდგომი მუშაობის შესახებ სამოილოვიჩმა სთქვა: „მე ღრმად ვარ დარწმუნებული, რომ ამუნდსენი ცოცხალია, და ჩვენ განვაგრძობთ ძებნას, რამდენადაც ეს შესაძლებელი იქნება. ნორვეგიიდან ჩვენ პირდაპირ შპიცბერგენის ჩრდილოეთ ნაწილისაკენ გავეშურებით. გავივლით ხინლოპის სრუტეს და გავემართებით ჩრდილო-აღმოსავლეთის კუნძულის აღმოსავლეთ ნაწილისაკენ. ჩუხნოვსკი განაგრძობს დაზვერვას, ჩვენ კი „კრასინ"-ით დავიწყებთ ძებნას შპიცბერგენსა და ფრანც იოსების მიწას შუა მდებარე ადგილებში. ყინულების მდგომარეობა, ალბად, ისეთია, რომ ბევრი დაბრკოლება გადაგველობება, მაგრამ ჩვენ მაინც განვაგრძობთ ძებნას სექტემბრის დამლევამდე და ოქტომბრის დამდეგამდე. თუ „ლატამ"-ის მგზავრები და ალექსანდრის ჯგუფის მონაწილენი ცოცხლები არიან, მაშინ უსათუოდ ვიპოვით მათ". (ადს).

დარბაზობა „კრასინი"-ს ეკიპაჟის პატივსაცემად სტავანგერში

ოსლო, 12 აგვისტო. ნორვეგიის დეპეშათა სააგენტო იუწყება:

12 აგვისტოს საღამოთი სტავანგერის მუნიციპალურმა ხელისუფლებამ „კრასინი"-ს ეკიპაჟის პატივსაცემად გამართა დარბაზობა, რომელსაც დაესწრო ყინულის მჭრელი გემის მთელი ეკიპაჟი, ნორვეგიის ვაჭრობის მინისტრი, საბჭოთა ელჩი ოსლოში კოლონტაი, საფრანგეთის სამხედრო გემების უფროსი, საფრანგეთის, იტალიის, ჩეხო-სლოვაკიის და შვეციის კონსულები, რომლებიც ვიზიტისათვის ჩამოვიდნენ სტავანგერში, და აგრეთვე ნორვეგიის სამოქალაქო და სამხედრო ხელისუფლების წარმომადგენელნი.

სტავანგერის მუნიციპალურ საბჭოს თავმჯდომარემ განაცხადა:

„აღფრთოვანებას, რომლითაც თქვენ გხვდებიან აქ, ადგილი აქვს არა მარტო სტავანგერში. სტავანგერის ფარგლებს იქით თქვენით არის აღფრთოვანებული ნორვეგიის მთელი ხალხი და მთელი განათლებული მსოფლიო. რუსეთის დიდ ხალხს შეუძლია იამაყოს თავისი შვილებით. ეხლა თქვენ შეგიძლიათ დაისვენოთ რამოდენიმე დღე, ვიდრე კვლავ გაემგზავრებით ყინულოვან უდაბნოში. იქ, იმ დიდ, ყინულოვან უდაბნოში არიან ნორვეგიის ხალხის ძვირფასი შვილები. ჩვენ იმედი გვაქვს, რომ ისინი გადარჩენილი იქნებიან, მაგრამ განა შეიძლება ამის ცოდნა წინადაწინ? ჩვენ გთხოვთ გადასცეთ მათ ჩვენი სალამი იმ შემთხვევაშიაც, თუ ეს მისალმება იქნება უკანასკნელი „მშვიდობით". ჩვენ გთხოვთ ამას, ვიცით რა, რომ „კრასინზე" უკეთესი მიმტანი ამბავის არ არსებობს. ჩვენ მადლობელი ვართ ყველა იმისათვის, რაც გააკეთეთ და რასაც გააკეთებთ. გაუმარჯოს რუსეთის ხალხს, ყინულის მჭრელს „კრასინ"-ს და მის ეკიპაჟს"!

სტავანგერის მუნიციპალურ საბჭოს თავმჯდომარის სიტყვა დაფარა საყოველთაო ტაშმა და ხანგრძლივმა შეძახილებმა საბჭოთა კავშირის პატივსაცემად.

საპასუხო სიტყვა წარმოსთქვა საბჭოთა კავშირის ელჩმა ნორვეგიაში ამხ. კოლონტაიმ, რომელმაც საბჭოთა კავშირის მთავრობის სახელით მადლობა გადაუხადა იმ აღფრთოვანებული შეხვედრისა და მორალური დახმარებისათვის, რომელიც „კრასინის" ექსპედიციას გაუწია ნორვეგიის ხალხმა.

საბჭოთა კავშირის მთელი მოსახლეობა,—განაცხადა კოლონტაიმ,—იმედოვნებს, რომ ამუნდსენი გადარჩენილი იქნება.

ამხ. კოლონტაიმ საბჭოთა მთავრობის სახელით გამოსთქვა იმედი, რომ საუცხოვო ურთიერთობა, რომელიც ყოველთვის არსებობდა ნორვეგიასა და საბჭოთა კავშირს შორის, კიდევ უფრო განმტკიცდება „კრასინის" ნორვეგიაში მისვლის შემდეგ; დასასრულ ამხ. კოლონტაიმ სთქვა: „გაუმარჯოს სტავანგერს, ნორვეგიას და ნორვეგიის ხალხს"!

შემდეგ ილაპარაკა საფრანგეთის გემების უფროსმა, რომელმაც კმაყოფილება გამოსთქვა იმის გამო, რომ მას აქვს შესაძლებლობა პირადათ გამოსთქვას აღფრთოვანება საბჭოთა ექსპედიციის ხელმძღვანელთა და „კრასინის" ეკიპაჟის მიმართ ბრწყინვალე მუშაობის შესრულებისათვის.

ორატორმა გამოსთქვა მტკიცე რწმენა, რომ ამუნდსენი და მისი თანამგზავრები ცოცხალნი არიან.

პროფ. სამოილოვიჩმა განაცხადა, რომ „კრასინის" ეკიპაჟმა მხოლოდ თავის მოვალეობა შეასრულა.

„ჩვენ გაოცებული ვართ—სთქვა პროფ. სამოილოვიჩმა,—როცა ვხედავთ, რომ ჩვენი მუშაობა ამგვარ აღფრთოვანებას იწვევს. ჩვენ გვებადება ის აზრი, რომ რადგან ნორვეგიელები ასე აღფრთოვანებული არიან ჩვენით, ჩვენ ალბათ მართლაც რაღაც დიდი საქმე გავაკეთეთ. საქმე იმაშია, რომ ნორვეგიელები იცნობენ პოლიარულ მხარეს. ნანსენმა, ამუნდსენმა და სვერდრუპმა დაუდეს საფუძველი ჩვენს ცოდნას არქტიკის ყინულების შესწავლის დარგში. ამიტომ ჩვენ უფლება გვაქვს ვსთქვათ, რომ ნამდვილად იტალიელები ნორვეგიელებმა გადაარჩინეს".

დაბოლოს პროფ. სამოილოვიჩმა შესძახა: „გაუმარჯოს ნორვეგიის ხალხს"! სამოილოვიჩის სიტყვა მხურვალე ტაშმა დაფარა.

„კრასინის" კომისარმა ამხ. ორასმა საბჭოთა კავშირის თავდაცვა-ავიაქიმის ხელისშემწყობი საზოგადოების სახელით მადლობა გამოუცხადა მისალმებისათვის.

დარბაზობის შემდეგ ქალაქის პარკში გაიმართა სახალხო სეირნობა. მუნიციპალური საბჭოს თავმჯდომარემ სიტყვა წარმოსთქვა იქ შეკრებილი აუარებელი ხალხის წინაშე. საბჭოთა კავშირის ელჩმა კოლონტაიმ მადლობა გადაუხადა ხალხს მისალმებისათვის. შემდეგ მუნიციპალურ საბჭოს თავმჯდომარემ შეკრებილ ხალხს გააცნო პროფესორი სამოილოვიჩი და „კრასინის" კაპიტანი ეგგი, რომლებსაც აღფრთოვანებული მისალმებით შეეგებნენ. ორკესტრი უკრავდა ტუშს. პარკში ანთებული იყო შუშხუნები" (ადს).

მარიანოს ჯგუფი კინოფილმაზე

ოსლო, 12 აგვისტო. კინო-ოპერატორმა ბლიუმშტეინმა, რომელიც ჩუხნოვსკისთან ერთად ფრინავდა, ნორვეგიის დეპეშათა სააგენტოს წარმომადგენელთან საუბრის დროს განაცხადა, რომ მან მარიანოს ჯგუფი გადაიღო ფილმაზე. სულ გადაღებულია 400 მეტრი. ფილმი გაიგზავნა რუმინეთშიდასამზადებლად. ვინაიდან ჩუხნოვსკის აპარატი დიდ სიმაღლეზე იყო (60-დან 200-მდე მეტრის სიმაღლეზე) და დიდი სისწრაფით მიდიოდა, ამიტომ დაბეჯითებით არ შეიძლება ითქვას, ორი თუ სამი კაცი იმყოფებოდა ყინულზე დაკვირვების მომენტში. დაკვირვებას ხელს უშლიდა ნისლიც.

ბლიუმშტეინმა განაცხადა, რომ სულ ექსპედიციის განმავლობაში ლენინგრადიდან გამგზავრების შემდეგ გადაღებული იქნა 8 ათასი მეტრი. იგი კვლავ განაგრძობს გადაღებას.

შვეციის მემადაროების გამარჯვება

მოსკოვი, 13 აგვისტო. შვეციის მემადაროებმა 8 თვის ბრძოლის შემდეგ გამარჯვება მოიპოვეს. მათ შესძლეს ხელფასის გადიდების მიღწევა. გარდა ამისა ახალი ხელშეკრულებით ერთი წლის განმავლობაში ექვსი დღის შვებულება ეძლევათ. მემადაროების ც. კ.-მა განაცხადა, რომ შვეციის მემადაროთა გამარჯვება ნაწილობრივ იმ დახმარებითაც აიხსნება, რომელიც საბჭოთა მემადაროებლებმა გაუწიეს გაფიცულ ამხანაგებს. მიღებული ცნობებით, მემადაროები მუშაობას შეუდგებიან მხოლოდ შუა აგვისტოს შემდეგ, ამიტომ მემადაროთა ც. კ.-მა შვეციის მემადაროებს გაუგზავნა უკანასკნელი დახმარება—16.000 მანეთი. გაფიცვის განმავლობაში საბჭოთა მემადაროებმა შვეციის მემადაროებს დასახმარებლად გაუგზავნეს 489.000 მანეთი. (ადს).

საბჭოთა კავშირში

ინდუსტრიალიზაციის მეორე სესხი

ლენინგრადი, 13 აგვისტო. ინტერესი ინდუსტრიალიზაციის მეორე სესხისადმი დღითი-დღე იზრდება. 9 და 10 აგვისტოს განმავლობაში ლენინგრადის წარმოებებში გასაღებულ იქნა 3 მილიონი მანეთის ობლიგაციები. (ადს).

ლენინგრადი, 13 აგვისტო. საოლქო აღმასკომის დიდმა პრეზიდიუმმა დაამტკიცა ინდუსტრიალიზაციის მეორე სესხის საორიენტაციო თანხა ლენინგრადის ოლქისათვის. ეს თანხა განსაზღვრულია 37 მილიონი მანეთის რაოდენობით. აქედან კოლექტიური ხელისმოწერით თვით ლენინგრადში გასაღებულ იქნება 23 მილიონი მანეთის ობლიგაცია. (ადს).

ლენინის მავზოლეის დათვალიერება

მოსკოვი, 13 აგვისტო. ლენინის მავზოლეი მნახველთათვის ხელახლა გაიხსნება 20 აგვისტოს. მავზოლეი ღია იქნება ყოველდღე, გარდა ოთხშაბათობისა, 5 საათ. 6 საათამდე, ხოლო უქმე და დასვენების დღეებში—12 საათიდან 2 საათამდე. (ადს).

შვეციის მემადაროების გამარჯვება

ნორვეგიის კომუნალურ მუშაკების დელეგაციის დაბრუნება

მოსკოვი, 13 აგვისტო. საბჭოთა კავშირში მოგზაურობის შემდეგ მოსკოვში დაბრუნდა ნორვეგიის კომუნალურ მუშაკების დელეგაცია. დელეგაციამ გზაში დაჰყო 8 კვირა და დაათვალიერა ხარკოვი, როსტოვი, პიატიგორსკი, კისლოვოდსკი, ბაქო, თბილისი; ბათომი; იალტა და სევასტოპოლი. როგორც დელეგაციის თავმჯდომარემ დეგორმა სთქვა, ნორვეგიელმა სტუმრებმა მოგზაურობის დროს ისეთი შთაბეჭდილება გამოიტანეს, რომ საბჭოთა კავშირის მუშათა მდგომარეობა უკანასკნელ წლებში საგრძნობლად გაუმჯობესდა. სამშობლოში დაბრუნების შემდეგ დელეგაცია ნორვეგიის დიდი ცენტრების მუშებს მოხსენებას გაუკეთებს საბჭოთა კავშირში მგზავრობისა და ნახულის შესახებ.

14 აგვისტოს დელეგაცია სამშობლოში მიემგზავრება. (ადს).

ტრამვაის კატასტროფა

ხარკოვი, 13 აგვისტო. მოხდა ტრამვაის კატასტროფა, რომლის დროსაც დაშავდა 25 კაცი. როცა მგზავრებით გაჭედილი ტრამვაის ვაგონი მოდიოდა ხოლოდნაია გორადან, გაფუჭდა მუხრუჭი. კუზინის ხიდთან მოხვევის დროს ვაგონი გადაბრუნდა და ინერციით გაქანდა 14 მეტრის მანძილზე.

მძიმეთ არის დაჭრილი ათი კაცი. ყველა ისინი უგრძნობ მდგომარეობაში გაგზავნეს საავადმყოფოში. 11 დაშავებულს აღმოუჩინეს საექიმო დახმარება საავადმყოფოში, რის შემდეგაც გაგზავნეს სახლში. დანარჩენ მსუბუქად დაშავებულთ იქვე აღმოუჩინეს დახმარება. (ადს).

ფიზიკოსების საკავშირო ყრილობა

ყაზანი, 13 აგვისტო. 11 აგვისტოს ნიჟნიდან ჩამოვიდნენ ფიზიკოსთა მე-6 საკავშირო ყრილობის მონაწილენი. იმავე დღეს გაიხსნა ყრილობის ყაზანის ციკლი. ფიზიკოსებს მიესალმნენ ადგილობრივი მეცნიერნი, მთავრობა და უმაღლესი სასწავლებლების წარმომადგენელნი. უცხოეთის დელეგატებმა მადლობა განაცხადეს შეხვედრისათვის. ყრილობაზე მოვიდა 100-ზე მეტი მონაწილე.

პირველ სხდომაზე მოხსენება წაიკითხა აკადემიკოსმა იოფემ.

12 აგვისტოს შესდგა ფიზიკოსების ყრილობის საბოლოო სხდომა. [illegible] იქნა რამდენიმე რუს და უცხოელ [illegible] მოხსენება. ზოგიერთი მეცნიერი გამოვიდა მუშათა კლუბებში გამართულ კრებებზე.

ღამე დელეგატები წავლენ სარატოვში, სადაც ყრილობა ოფიციალურად დაიხურება (ადს).

ამხ. შმიდტის დანიშვნა

მოსკოვი, 13 აგვისტო. საბჭოთა კავშირის ცაკის პრეზიდიუმმა შრომის სახალხო კომისარი ამხ. შმიდტი დანიშნა საბჭოთა კავშირის სახალხო კომისართა საბჭოს და შრომისა და თავდაცვის საბჭოს თავმჯდომარის მოადგილედ. (ადს).

ინდუსტრიალიზაციის მეორე სესხი

ინდუსტრიალიზაციის მეორე სესხი და პროფკავშირები

საქართველოს პროფსაბჭომ ყველა პროფორგანიზაციებს დაუგზავნა საკავშირო პროფსაბჭოს ცირკულიარული წერილი, რომელშიაც ნათქვამია:

1-ლ სექტემბერს დაიწყება ს.ს.რ.კ. სახალხო მეურნეობის ინდუსტრიალიზაციის მეორე სესხის რეალიზაცია. სესხი გამოშვებულია ხუთასი მილიონ მანეთის რაოდენობით იმ თანხების გასაძლიერებლად, რომელიც ხმარდება მრეწველობისა და სასოფლო-მეურნეობის დარგში კაპიტალურ მშენებლობას.

ქალაქისა და სოფლის მშენებლობის ძალღონით უახლოეს დროში უნდა განხორციელდეს უდიდესი სამეურნეო და კულტურული ამოცანები, ს.ს.რ.კ. მტკიცეთ შეუდგა ინდუსტრიალიზაციას, სასოფლო-მეურნეობის განვითარებას, რკინის გზის, წყლის ტრანსპორტის, გზატკეცილების ქსელის გაფართოებას და განახლებას, მშრომელთა კულტურულ დონის ამაღლებას და მატერიალურ კეთილდღეობის გაუმჯობესებას.

ყველა ეს ღონისძიებანი აუცილებელ პირობას წარმოადგენს სოციალისტურ მშენებლობის დამთავრებისათვის და პროლეტარიატის დიქტატურის განმტკიცებისათვის, მხოლოდ ამ გზით მოვიპოვებთ კაპიტალისტურ ქვეყნებიდან დამოუკიდებლობას, გადავლახავთ ჩვენს სამეურნეო მშენებლობაში ყველა სიძნელეებს და ყოველმხრივ განვამტკიცებთ სოფელსა და ქალაქს შორის კავშირს.

ჩვენი სოციალისტური მშენებლობის მთელი პროგრამის ცხოვრებაში გატარებას დასჭირდება მრავალი ათეული მილიარდი მანეთი, თვითეულმა მუშამ თავისი წვლილის გაღებით ხელი უნდა შეუწყოს საჭირო თანხების მოგროვებას.

თავისთავად ამ სესხის ობლიგაციის შეძენა ფულის შენახვის მეტისმეტად ხელსაყრელი საშუალებაა და ამიტომ პირადი ინტერესები მუშებისა და მოსამსახურეებისა, რომელნიც იძენენ ინდუსტრიალიზაციის მეორე სესხს, სრულებით ეთანხმება საბჭოთა ხელისუფლების საერთო-კლასობრივ ამოცანებს.

ინდუსტრიალიზაციის მეორე სესხზე ხელის მოწერა კავშირის ყველა წევრის კლასობრივი მოვალეობაა.

კავშირის ყოველმა წევრმა თვითონ უნდა მოაწეროს ხელი სესხს და მოაგროვოს ხელისმომწერნი თავის მეგობრებს შორის.

სესხზე ხელისმოწერა სრულებით ნებაყოფლობითია, იძულებას არავითარ შემთხვევაში ადგილი არ უნდა ექნეს, ამიტომ უფრო ენერგიულად უნდა ჩატარდეს აგიტაცია, ამიტომ აქვს მნიშვნელობა, რომ კავშირის ყოველი შეგნებული წევრი ხელისმომწერთა პირველ რიგებში იდგეს, რათა მის მაგალითს წაბაძოს მუშათა მასამ.

ჩვენი ლოზუნგია—ერთი თვის ხელფასი უნდა მიეცეს პროლეტარულ სახელმწიფოს სოციალისტურ მშენებლობისათვის.

თავის მხრივ საქართველოს პროფსაბჭომ წინადადება მისცა ყველა პროფესიონალურ ორგანიზაციებს—აქტიური მონაწილეობა მიიღონ ინდუსტრიალიზაციის მეორე სესხის კამპანიის ჩატარებაში.

კამპანიის ჩატარების წესების შესახებ საკითხი დასმული უნდა იქნეს ც. გამგეობათა სხდომებზე.

კამპანიის ჩატარების ხელმძღვანელობა უნდა დაეკისროს ც. გამგეობის ან პროფბიუროს ერთ-ერთ პასუხისმგებელ მომუშავეს.

წარმოება-დაწესებულებებში მოწვეულ უნდა იქნეს მუშა-მოსამსახურეთა საერთო კრებები, სადაც მათ უნდა განემარტოს სესხის საერთო შეძენის პირობები, სესხის სარგებლიანობა და მისი უდიდესი მნიშვნელობა ჩვენი სახალხო მეურნეობისათვის.

ამ კრებებზე მომხსენებლად მოწვეული უნდა იქნენ ფინანსთა სახ. კომისარიატის წარმომადგენელნი.

კავშირებმა ხელი უნდა შეუწყონ წარმოება-დაწესებულებებში სესხის გავრცელების ხელის შემწყობ კომიტეტების დაარსებას და მუშაობას.

მიღებული უნდა იქნეს ზომები, რომ ყველა წარმოება-დაწესებულებებში ჩატარდეს ინდუსტრიალიზაციის მეორე სესხის გავრცელების კამპანია და ყველა მუშა-მოსამსახურე გაეცნოს საკ. პროფკავ. ცენტრ საბჭოს ცირკულიარს ამ საკითხზე.

სესხის ქრონიკა

წინასწარი მუშაობა

ამიერ-კავკ. ფინანსთა სახალხო კომისარიატის ცნობით, წინასწარი მასიური ხელის მოწერა ინდუსტრიალიზაციის მეორე სესხზე როგორც საბჭოთა კავშირის მსხვილ სამრეწველო ცენტრებში, ისე ამიერ-კავკასიაშიაც, და განსაკუთრებით ბაქოში თანდათან ფართო ხასიათს ღებულობს. ეს გარემოება აიძულებს ფინანსთა სახ. კომისარიატის აპარატს მოსამზადებელი მუშაობა იმ ვარაუდით აწარმოოს რომ ტეხნიკური მუშაობა არ ჩამორჩეს საგიტაციო მუშაობას, რომ ყოველი წინასწარი ხელის მოწერა და ავანსის შემოტანა თავის დროზე და დაუგვიანებლად იქნეს სათანადოთ ჩამოყალიბებული.

მოსკოვიდან მიღებულია ყოველგვარი საგიტაციო მასალა (ბროშიურები, პლაკატები, აფიშები და სხ.). ამჟამად დაჩქარებით სწარმოებს ბროშიურების გადმოთარგმნა ადგილობრივ ენებზე.

ცენტრიდან მიღებული პლაკატები იმდენათ კარგათაა შედგენილი, რომ საჭირო აღარ იქნება ადგილობრივ შედგენა ახალი პლაკატებისა, რითაც აცდენილი იქნება ზედმეტი ხარჯი.

ფინანსთა სახ. კომისარიატები და სახ. ბანკის თბილისის კანტორა ამჟამად აწარმოებენ მომხსენებელთა კადრების მომზადებას, როგორც ადგილობრივი საჭიროებისათვის, ისე პროვინციისათვისაც.

საგიტაციო კამპანიისათვის მეტი გეგმაშეწონილი ხასიათის მიცემის მიზნით 15 აგვისტოს შესდგება თბილისის ფინორგანოების და საკრედიტო დაწესებულებათა წარმომადგენლების თათბირი, რომელზედაც შემუშავებული იქნება კამპანიის ჩატარების გეგმა და პრაქტიკული ღონისძიებები. 21 აგვისტოს შესდგება უფრო გაფართოებული თათბირი, რომელშიაც მონაწილეობას მიიღებენ ამიერ-კავკასიის რესპუბლიკების ფინანსიურ ორგანოების, საკრედიტო დაწესებულებების, საბჭოთა, პროფესიონალურ და საზოგადოებრივ დაწესებულებათა პასუხისმგებელი წარმომადგენლები

სახ. ბანკის თანამშრომელთა შორის.

სახ. ბანკის თბილისის კანტორის თანამშრომელთა საერთო კრებამ დაადგინა თვითეული თანამშრომელმა ინდუსტრიალიზაციის მეორე სესხს ხელი მოაწეროს ერთი თვის ხელფასის რაოდენობით.

ერთი თვის ხელფასი

ამიერ-კავკ. ფინანსთა სახ. კომისარიატში შესდგა კომისარიატის თანამშრომელთა საერთო კრება, რომელზედაც ამიერ-კავკ. ფინანსთა სახ. კომისარმა ამხ. გუსეინოვმა გააკეთა საინფორმაციო მოხსენება ინდუსტრიალიზაციის მეორე სესხის ამოცანებისა და მნიშვნელობის შესახებ.

მოხსენების შემდეგ კრებამ ერთხმად დაადგინა ინდუსტრიალიზაციის მეორე სესხზე ხელი მოაწეროს ერთი თვის ხელფასის რაოდენობით. პირველსავე საღამოს გამართულ ხელისმოწერამ მიაღწია 17.500 მანეთამდე.

შვებულებიდან დაბრუნებულ თანამშრომლების ხელის მოწერის შემდეგ ეს თანხა გადააჭარბებს 25.000 მანეთს.

სრულიად საკავშირო სპარტაკიადა

ფიზკულტუროსნების აღლუმი

მოსკოვი, 13 აგვისტო. საკავშირო სპარტაკიადის საზეიმო გახსნის დღეს, 12 აგვისტოს, წითელ მოედანზე გაიმართა აღლუმი, რომელშიაც მონაწილეობა მიიღო საბჭოთა კავშირის 30.000 ფიზკულტუროსანმა, მათ შორის 600 მუშა-სპორტსმენმა, რომლებიც უცხოეთიდან ჩამოვიდნენ სპარტაკიადაზე.

აღლუმი მიიღეს საკავშირო ცაკის მდივანმა და სპარტაკიადის საორგანიზაციო კომიტეტის თავმჯდომარემ ამხ. ენუქიძემ და საკავშირო ცაკის თავმჯდომარემ ამხ. ცხაკაიამ. აღლუმს უფროსობდა ქალაქ მოსკოვის კომენდანტი ამხ. ტკალუნი.

ამხ. ენუქიძემ, მიხა ცხაკაიამ და ტკალუნმა დაათვალიერეს ფიზკულტუროსნების რიგები, რის შემდეგაც გაიმართა მიტინგი. ფიზკულტუროსნებსა და უცხოეთიდან ჩამოსულ სპორტსმენებს პირველად მიესალმა ამხ. ენუქიძე. (ადს).

მოსკოვი, 13 აგვისტო. პირველი საკავშირო სპარტაკიადის საზეიმო გახსნაზე 12 აგვისტოს ამხ. ენუქიძემ თავის სიტყვაში, სხვათა შორის, სთქვა:

„პირველი საკავშირო სპარტაკიადა გამოაშკარავებს ჩვენი და საზღვარგარეთის მუშა-ფიზკულტუროსნების მიღწევებს ფიზიკური კულტურის დარგში და განამტკიცებს ძმურ კავშირს საბჭოთა კავშირის მშრომელთა და სხვა ქვეყნების მუშათა მასებს შორის. ჩვენ აქ შევიკრიბეთ იმისათვის, რომ ჯამი გაუკეთოთ ჩვენს მიღწევებს ფიზიკური კულტურის დარგში, რომლის მნიშვნელობაც უდიდესია, ვინაიდან იგი აძლიერებს პროლეტარიატის კლასობრივ ძალას".

საკავშირო პროფსაბჭოს და ფიზიკური კულტურის უმაღლეს საბჭოს სახელით მისასალმებელი სიტყვა წარმოსთქვა ამხ. მიხაილოვმა. წითელი სპორტინტერნის სახელით სიტყვა წარმოსთქვა ამხ. აკსამიტმა. მოსკოვის საბჭოს სახელით ამხ. პოლონსკიმ, სპარტაკიადაზე ჩამოსულ უცხოეთის სასპორტო გუნდების სახელით სიტყვა წარმოსთქვა მიულერმა (გერმანია). საკავშირო კომპარტიის (ბ) ცაკის წარმომადგენელი ამხ. იაროსლავსკი თავის სიტყვაში შეეხო ომის საფრთხეს:

„მე მივმართავ აქ მყოფ უცხოელ სპორტსმენებს,—სთქვა ამხ. იაროსლავსკიმ,—დამოუკიდებლად იმისა, არიან ისინი კომუნისტები, სოციალ-დემოკრატები თუ უპარტიოები. ამ საზეიმო დღეს, როცა ჩვენ ვამოწმებთ ჩვენს ძალებს, უნდა მოვიგონოთ, რომ კვლავ წარმოიშვა ომის საფრთხე. თუ ომი მოხდა, ახალგაზრდობა უნდა დაიღუპოს მსოფლიო ბურჟუაზიის გულისათვის. მოგიწოდებთ—არ დაუშვათ ასეთი საზიზღრობა. მოგიწოდებთ—მთლიანი ფრონტით დადგეთ კომუნიზმის დროშის ქვეშ".

სიტყვების დამთავრების შემდეგ დაიწყო აღლუმის მონაწილეთა ცერემონიალური მარში. საუცხოვო სანახაობას წარმოადგენდა ფერად ტანისამოსში გამოწყობილი ფიზკულტუროსნების სვლა. უცხოეთის სასპორტო გუნდების გამოსვლას მხურვალე ოვაციებით შეხვდა მრავალრიცხოვანი ხალხი. სპარტაკიადის მონაწილეთა რიგებს შემდეგ ცერემონიალური მარშით ჩაიარა 20.000 მოსკოველმა ფიზკულტუროსანმა. მათ მიესალმნენ კომინტერნის კონგრესის და საკავშირო კომპარტიის (ბ) წევრები, რომლებიც ტრიბუნაზე იმყოფებოდნენ. (ადს).

მოსკოვი, 13 აგვისტო. მსუბუქ ძლიოსნობაში შეჯიბრების მეორე დღეს, 12 აგვისტოს, ამიერ-კავკასიელმა ამხ. მაციბლევმა მეორე ადგილი დაიჭირა სიმაღლეზე გარბენით ხტომაში; იგი 175 სანტიმეტრის სიმაღლეზე გადახტა.

პირველი შეჯიბრებები

მოსკოვი, 13 აგვისტო. 11 აგვისტოს დაიწყო 1928 წლის სრულიად საკავშირო სპარტაკიადის პირველი შეჯიბრება.

ღრუბლიანი და ქარიანი ამინდის მიუხედავად, შეჯიბრებებს მრავალი ხალხი დაესწრო. სტადიონი სავსეა. სტადიონის ირგვლივ ქუჩებში არაჩვეულებრივი გამოცოცხლებაა. მოსკოვის ყველა სტადიონი და სასპორტო ორგანიზაციის ყველა შენობა მორთულ-მოკაზმულია.

მოხდა შეჯიბრებები მსუბუქ ძლიოსნობასა, კალათბურთსა, ფეხბურთსა, ხტომასა და რბენაში. სწარმოებს მხოლოდ წინასწარი შეჯიბრებები.

შვეციიდან, ლატვიიდან და ესტონიიდან მოსული სპორტსმენები განთავისუფლებულ იქნენ წინასწარ გარბენაში მონაწილეობისაგან.

11 აგვისტოს დაიწყო შეჯიბრებანი ცურვაში. საომარი წესის მიხედვით (ტანისამოსში) ცურვაში 50 მეტრის მანძილზე საუკეთესო შედეგს მიაღწიეს კორობიანმა (ყირიმი), მაკაროვმა (ამიერ-კავკასია), ალიოშინმა (შორეული აღმოსავლეთი) და პოპოვმა (ვოლგა). სულ ცურვაში მონაწილეობას იღებდა 80 კაცი.

საბჭოთა მოსამსახურეების სტადიონზე დაიწყო შეჯიბრებანი კალათბურთში.

იმავე საბჭოთა მოსამსახურეების სტადიონზე მოხდა ფეხბურთელთა პირველი შეხვედრა.

მოსკოვის საგუბერნიო პროფკავშირთა საბჭოს სტადიონზე შეხვდნენ ერთმანეთს ფეხბურთელთა შემდეგი ჯგუფები: ამიერ-კავკასია—ურალი და მოსკოვი—ინგლისი. მატჩი ამიერ-კავკასია-ურალი დამთავრდა ამიერ-კავკასიის გამარჯვებით: 3—0. მატჩი მოსკოვ-ინგლისი დამთავრდა მოსკოვის გამარჯვებით: 4—0.

მოსკოვში სპარტაკიადაში მონაწილეობის მისაღებად ჩამოვიდნენ ნორვეგიის, შვეციისა და ესტონიის გუნდები, სულ 80 კაცი. ჩამოვიდა აგრეთვე გერმანიის გუნდი 175 კაცის შემადგენლობით, მათ შორის 5 მძლეოსანი, 88 ძალოსანი, 16 მსროლელი, 13 გიმნასტი, 6 მოტოციკლისტი, 6 ველოსიპედისტი, ფეხბურთის და ხელბურთის გუნდები. ავსტრიის გუნდი ჩამოვიდა 74 კაცის შემადგენლობით, ჩეხიის—16 კაცის შემადგენლობით.

ამიერ-კავკასიის ფეხბურთელთა გუნდი

მოსკოვი, 13 აგვისტო. ფეხბურთში შეჯიბრებას პირველ დღეს ამიერ-კავკასიის გუნდი ეთამაშება ურალის გუნდს.

ამიერ-კავკასიელები გამოვიდნენ შემდეგი შემადგენლობით: მეკარე—პოპკოვი, დამცველი—ფრუიძე და ფოჩხუა, ნახევრად დამცველნი—ფეოდოროვი, ჟორდანია და პარამანოვი, შეტევა—ქორაგა, თურქია, ვაჩნაძე, ფაჩულია და სოროკინი.

ამიერ-კავკასიის გუნდმა დაიწყო თამაში სასტიკი იერიშებით და მე-7 წუთზე ურალის გუნდის კარში ამიერ-კავკასიელმა თურქიამ შეაგდო პირველი ბურთი. 15 წუთის შემდეგ თურქიამ მეორე ბურთიც შეაგდო.

თამაშის პირველი ნახევრის ბოლოში ამიერ-კავკასიელების გუნდს გამოაკლდა შეტევის ცენტრი—ვაჩნაძე, რომელმაც წაქცევის დროს მსუბუქად დაიზიანა ფეხი. დასვენების დროს იგი შეხცვალეს სათადარიგო მოთამაშით.

თამაშის მეორე ნახევარშიც ამიერ-კავკასიელებმა სწრაფი იერიშები მიიტანეს. ურალის გუნდმა მთელი ძალ-ღონე მოიკრიბა დასაცავად.

ხანდისხან იგი შეტევაზედაც გადადიოდა, მაგრამ უნაყოფოდ. მე-40 წუთზე ამიერ-კავკასიის მარცხენა ფორ-მარბა შეაგდო მესამე ბურთი ურალის გუნდის კარში.

თამაში დამთავრდა 3—0 ამიერ-კავკასიელების სასარგებლოდ.

მორიგ შეხვედრაში 13 აგვისტოს ამიერ-კავკასიელები ეთამაშებენ ლენინგრადელებთან.

მოსკოვი, 13 აგვისტო. 12 აგვისტოს—შეჯიბრების მეორე დღეს—სპარტაკიადის საზეიმო გახსნის დღე იყო. გაიმართა შეჯიბრებანი მსუბუქ ძლეოსნობაში, ფეხბურთში ველოში და სროლაში, რომლის დროსაც დამყარებულ იქნა მრავალი ახალი საერთო-საკავშირო რეკორდი. მსუბუქ ძლეოსნობაში გაიმართა რბენა 110 მეტრზე ბარიერით, ბადროს ტყორცნა ქალებისათვის, სიმაღლეზე ხტომა ვაჟებისათვის, რბენა 60 მეტრზე ქალებისათვის, ხტომა სიგრძეზე ქალებისათვის (ფინალი), შვედური ამანათრბენა და ბადროს ტყორცნის ფინალი. რბენა იყო 12, საუკეთესო შედეგებს მიაღწიეს: დემინმა (მოსკოვი) დიაკოვმა (მოსკოვმა), ივსიანიკოვმა (უზბეკისტანი), ბადროს ტყორცნის ფინალს არ შეუცვლია ფინალში გამოსულთა მდგომარეობა. პირველი ადგილი დაიჭირა ხასპაზოვმა (ლენინგრადი), მეორე—მარკოვმა (მოსკოვი), მესამე—ლიახოვმა (თურქმენისტანიდან). ჩაქუჩის ტყორცნაში ლიახოვმა (თურქმენისტანი) დაამყარა ახალი საკავშირო რეკორდი—38 მეტრი და 61 სანტიმეტრი.

მოსკოვი, 13 აგვისტო. 12 აგვისტოს მოხდა ველოსიპედების შეჯიბრება უფროსთა პირველობის მისაღებად 7,5 კილომეტრზე. 24 გუნდმა წრეს შემოუარა 12-ჯერ.) თითო გუნდში იყო 4 ველოსიპედი). პირველი ადგილი დაიჭირა გუნდმა „მოსკოვი პირველი". ამ შეჯიბრებაში მონაწილეობა მიიღეს აგრეთვე ლატვიამ, საფრანგეთმა, გერმანიამ და ინგლისმა, რომელთა შორის მხოლოდ ლატვია გამოვიდა მეექვსე ადგილზე, ხოლო დანარჩენი უცხოელი გუნდები ძალიან ჩამორჩნენ საბჭოთა გუნდებს. ქალთა გუნდების შეჯიბრებაში 3 კილომეტრზე გამარჯვებული გამოვიდა მოსკოვი.

მოსკოვი, 13 აგვისტო. 12 აგვისტოს დაიწყო შეჯიბრება სროლაში. შედეგები გამოცხადებულ იქნება 15 აგვისტოს. (ადს).

თბილისის საბჭოს პლენუმი

გუშინ, საღამოს, ტრამვაელთა საზაფხულო კლუბში შესდგა თბილისის საბჭოს გაფართოებული სხდომა, რომელზედაც ახალი წყალსადენის შესახებ მოხსენება გააკეთა თბილისის წყალსადენის სამმართველოს გამგემ ინჟ. დიასამიძემ.

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ თბილისის ეხლანდელი წყალსადენი დღიურათ იძლევა საშუალოთ 1.500.000 ვედრო წყალს, ხოლო ქალაქის მოთხოვნილება წყალზე უდრის თითქმის 3 მილიონ ვედროს. ამრიგათ, ძველი წყალსადენი ქალაქის მოთხოვნილებას მხოლოთ ნახევრათ აკმაყოფილებს. ამ გარემოებით აიხსნება ის მოვლენა, რომ ქალაქის განაპირა უბნები დარჩენილი არიან უწყლოთ. რასაკვირველია, ამ პირობებში ზედმეტია ქუჩების სისტემატიურათ მორწყვაზე ფიქრი. ამ მდგომარეობამ თბილისის საბჭო დააყენა თბილისისათვის წყლის მიწოდების გადიდების აუცილებლობის წინაშე. ეს გადიდება კი შესაძლოა ან არსებული წყალსადენის გაფართოებით, ან ახალის აგებით. ძველი წყალსადენის გაფართოება ცნობილი იქნა მიზანშეუწონლად, ვინაიდან არსებულ წყალსადენში წყალი ჯდება მეტად ძვირათ (100 ვედრო 48 კაპ.); თვით წყლის ღირსება ვერ არის მაინც და მაინც მაღალი; ქალაქი უზრუნველყოფილი არ არის იმისაგან, რომ ზამთარში უწყლოთ არ დარჩება, ვინაიდან ყინვების დროს წყალი იყინება რეზერვუარსა და მილებში. გარდა ამისა არსებული წყალსადენის გაფართოება მოითხოვდა 6 მილიონ მანეთის ხარჯს, და ახლო მომავალში ეს გაფართოებული წყალსადენი მაინც არ იქნებოდა საკმარისი.

გადაწყვეტილი იქნა ახალი წყალსადენის აგება.

ახალი წყალსადენის ასაგებათ გამოკვლეული იქნა ორი ადგილი—გულაჩაური და ნატახტარი, გამოკვლევით დამტკიცდა, რომ გულაჩაურის წყაროები იძლევიან შედარებით ნაკლები რაოდენობის და დაბალი ღირსების წყალს. ამის გამო გადაწყვეტილი იქნა, რომ თბილისისათვის წყალი გამოყვანილი იქნეს ნატახტარიდან. ამჟამად ნატახტარში ჩატარებულია მთელი რიგი სამუშაოები. გამორკვეულია, რომ ნატახტარის წყაროებში დღიურათ დაგროვდება 6-დან 9 მილიონამდე ვედრო მაღალი ღირსების წყალი. გამორკვეულია აგრეთვე, რომ წყლის რაოდენობის შემცირება მოსალოდნელი არ არის. გაჭრილი იქნება 30 ჭა, რომლიდანაც თვითეული მოგვცემს 200.000 ვედრო წყალს, ჭებიდან წყლის ამოქაჩვა იწარმოებს სიფონის წესით, რაც საგრძნობლათ შეამცირებს ხარჯებს.

წყალსაცავიდან თბილისამდე წყალი გამოყვანილი იქნება რკინა-ბეტონის მილებით, მდინარე არაგვზე ნატახტარის მიდამოებში აგებული იქნება ხიდი (წყალსადენის მილის გასატარებლათ), რომელსაც დიდი მნიშვნელობა ექნება არაგვის ერთი ნაპირის მეორე ნაპირთან დასაკავშირებლად. ღრმა-ღელეში აგებული იქნება მთავარი რეზერვუარები 6.000.000 ვედროს ტევადობით. აქედან ქალაქის 70 პროც. წყალს მიიღებს ხელოვნური გადაქაჩვის გარეშე, ხოლო 30 პროცენტს (რუსთაველის ქუჩას მაღლა მდებარე რაიონებს) წყალი მიეცემათ გადაქაჩვით. წყლის აყვანა განზრახულია აგრეთვე ფუნიკულიორზე, ოქროყანაში, წავკისში, ტაბახმელაში და კოჯორში, სადაც აგებული იქნება ორი რეზერვუარი.

წყალსადენის აგება დაჯდება სულ 9 მილიონი მანეთი, აქედან 4.500.000 მან. გამოთხოვილი უნდა იქნეს ცენტრიდან, ხოლო დანარჩენი გაღებული უნდა იქნეს ადგილობრივი თანხებიდან. გამოკვლევებზე დახარჯულია 420.000 მან. გარდა ამისა შეძენილია 400.000 მანეთის მოწყობილობა. ახალი წყალსადენის აგების შემდეგ 100 ვედრო წყალი დაჯდება 10 კაპ.

შეკითხვებისა და აზრთა გაცვლა-გამოცვლის, შემდეგ საბჭომ მიიღო რეზოლიუცია, რომლითაც მიზანშეწონილათ არის ცნობილი ახალი (ნატახტარის) წყალსადენის აგება. ნატახტარის წყაროების და წყალსადენის ნაგებობათა პროექტის შესამოწმებლათ მოწვეული უნდა იქნეს ორი სპეციალისტი უცხოეთიდან და ხუთი სპეციალისტი საბჭოთა კავშირიდან. წყალსადენის ხარჯთ-აღრიცხვა დამტკიცებულია 9 მილიონ მანეთის რაოდენობით. აქედან 1928-29 წელში დახარჯული იქნება 2.500.000 მან., 1929-30 წელში—3.500.000 მან;, ხოლო 1930-31 წელში—3 მილიონი მანეთი. წყალსადენის მშენებლობა დაწყებული უნდა იქნეს მხოლოთ მას შემდეგ, რაც მოწვეული სპეციალისტები გამოიტანენ სათანადო დასკვნას. წყალსადენის მშენებლობის დროს თბილისში შემცირებული უნდა იქნეს კომუნალური მშენებლობა და ამ გზით მიღებული ეკონომია უნდა მოხმარდეს წყალსადენს. საკუთარი თანხებიდან აღმასკომმა წყალსადენის ასაგებათ ყოველწლიურათ უნდა გაიღოს მილიონ ნახევარი მანეთი.

წყალსადენის აგება დამთავრებული უნდა იქნეს სამი წლის განმავლობაში.

ამჟამად არსებული წყალსადენი იმდენათ უნდა შეკეთდეს, რომ ქალაქი უზრუნველყოფილ იქნეს წყალით.

საქ. კოლმეურნეობათა ინსტრუქტ. მე-2-ე ყრილობა

11 აგვისტოს საქართველოს კოლმეურნეობათა ცენტრში გაიხსნა საქართველოს სამეურნეო კოლექტივთა ცენტრალური კავშირის ინსტრუქტორების მეორე ყრილობა. ყრილობის დღის წესრიგი შემდეგია: მოხსენებები ადგილებიდან; კოლმეურნეობათა მშენებლობის მორიგი ამოცანები (მომხსენებელი ვ. ცაგარელი); კოლმეურნეობათა ცენტრის ინსტრუქტორების მუშაობის მეთოდები და რაიონების დანაწილება; კონტრაქტაციის საკითხები; კოლმეურნეობათა ინდუსტრიალიზაცია; სამეურნეო-საორგანიზაციო გეგმები კოლმეურნეობებში; ინსტრუქტორებისათვის საბუხჰალტრო კურსების მოწყობა; კოლმეურნეობათა ხელმძღვანელების გადასამზადებელ კურსების მოწყობა მაზრებში.

კოლმეურნეობათა ცენტრის თავმჯდომარემ ამხ. ვ ცაგარელმა თავის შესავალ სიტყვაში აღნიშნა ის დიდი მუშაობა, რომელიც ჩატარებულია ცენტრის მიერ მისი 6 თვის არსებობის განმავლობაში. გამოკვლეული და აღრიცხულია საქართველოში არსებული ყველა სახის კოლექტივები. კოლექტივებში ჩატარებულია საორგანიზაციო და საინსტრუქტორო მუშაობა, მოგვარებულია ანგარიშწარმოება, შედგენილია მუშაობის გეგმები, მიღებულია ზომები კოლექტივების მავნე ელემენტებისაგან გასაწმენდათ და სხ. ამჟამად კოლმეურნეობათა ცენტრის წინაშე სდგას კიდევ უფრო რთული ამოცანები, როგორიც არის—კოლმეურნეობათა გაერთიანება, ჯგუფურ განაერთების ქსელის გაფართოება, შრომის ხელფასის საკითხის მოგვარება და სხვა.

ამხ. ცაგარელის სიტყვის შემდეგ ყრილობა გადადის მოხსენებების მოსმენაზე. ოზურგეთის მაზრის კოლექტიურ მეურნეობათა მდგომარეობის შესახებ მოხსენება გააკეთა ინსტრუქტორმა სახაროვმა, რომელმაც აღნიშნა, რომ გურიაში კოლექტიურ მეურნეობის განვითარებას ხელს უწყობს ამ რაიონში სუბტროპიკულ მცენარეულობის გავრცელება (ჩაი, მანდარინა, ლუფა და სხვა). ოზურგეთის მაზრაში ამჟამად არსებობს 57 კოლექტიური მეურნეობა, რომლების წევრთა რიცხვი უდრის 2.228 კაცს. ამ ამხანაგობებში გაერთიანებულია 485 დესეტინა მიწა.

მომხსენებელი აღნიშნავს, რომ მაზრაში შექმნილია 9 ჯგუფური განაერთი. კოლექტივები იარაღ-მანქანებით სუსტად არიან მომარაგებული, რასაც საჭიროა მიექცეს ჯეროვანი ყურადღება. მაზრაში ნაწილობრივად ჩატარებულია კოლექტივების წმენდა მავნე ელემენტებისაგან. ამხანაგობებში სუსტად არის დაყენებული ანგარიშ-წარმოება, რაც უახლოეს ხანში უნდა გამოსწორდეს. საჩვენებელ კოლექტივათ გურიაში გამოყოფილია სასოფლო-სამეურნეო არტელი „ლიმონი" (ჩოხატაურის თემი), რომელშიაც გაერთიანებულია 143 მეურნე. ჩაის კულტურის გასაფართოებლად მომხსენებელს საჭიროდ მიაჩნია მაზრაში ტრაქტორების რაოდენობის გამრავლება. მომხსენებელი საჭიროდ სთვლის აგრეთვე, რომ კოლექტიურმა მეურნეობებმა მაზრაში მეტი ყურადღება მიაქციონ მესაქონლეობის განვითარებას, სიმინდის კოლექტიურად დამუშავებას და სხ.

პარტიული ცხოვრება

შეტევა რელიგიების წინააღმდეგ

(ანტირელიგიური თათბირის შედეგები)

ანტირელიგიურმა თათბირმა, რომელიც ც. კ. (ბ) საქ. საპროპ. და ბეჭდვით განყოფილებასთან შესდგა. აღნიშნა რელიგიური გავლენის ნაწილობრივი გაძლიერება და ანტირელიგიური მუშაობის სისუსტე. მან გამოიმუშავა მთელი რიგი ღონისძიება რომელიც საფუძვლად უნდა დაედვას პარტორგანიზაციების პრაქტიკულ მუშაობას ანტირელიგიურ ფრონტზე. თათბირის დადგენილებანი ორ ნაწილად იყოფა: პირველი შეეხება ანტირელიგიურ მუშაობას საერთოდ და მეორე—ანტირელიგიურ მუშაობას ნაც. უმცირესობათა შორის.

ჯერ ბევრ კომუნისტსაც ნათლად არა აქვს წარმოდგენილი, თუ როგორ კონტრრევოლიუციონურ როლს თამაშობს ეკლესია, როგორ აფერხებს იგი წინსვლას, როგორ უშლის ხელს სოციალისტურ აღმშენებლობას. ისეთ პირობებშიაც კი, როცა სამღვდელოება პირდაპირ არ ერევა საზოგადოებრივ და პოლიტიკურ საქმეებში და თავის სამოქალაქო აპარატს მხოლოდ სარწმუნოებრივ საკითხებით ფარგლავს, ის უაღრესად რეაქციონურ როლს თამაშობს.

არ კმარა ეკლესიის სახელმწიფოსაგან ჩამოშორება. თუ სასტიკი, ხანგრძლივი და სისტემატიური ბრძოლა არ ვაწარმოეთ რელიგიის და მისი ნაშთების წინააღმდეგ. ეკლესია შეეგუება რა ახალ პირობებს, თავის არსებობას ისევ გაახანგრძლივებს. ამის ნიშნები მოსჩანს საბჭოთა კავშირში, ამის მაგალითს გვაძლევს დასავლეთი ევროპაც, სადაც ეკლესიის სახელმწიფოდან გამოყოფამ უფრო განამტკიცა რელიგიის პოზიციები.

იმ გარემოებამ, რომ საქართველოს ეკლესიამ გვიანამდე ვერ გამოიჩინა ახალ პირობებთან შეგუების უნარი. ძლიერ შეასუსტა იგი. მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ ეკლესია მკვდარია, რომ ჩვენში რელიგიას არავითარი ნიადაგი არა აქვს. მუშურ-გლეხური მასების უმრავლესობა, რომლებიც ჩამოშორდნენ ეკლესიას,—ჯერ სავსებით არ არიან განთავისუფლებული სარწმუნოებრივი ბორკილიდან. რელიგიური ნაშთები, დღესასწაულები, ძველი წესები და ყოფა-ცხოვრება კიდევ მტკიცედ არის გამჯდარი მასების ძვალ-რბილში.

თუ არ ვაწარმოეთ აღმზრდელობითი მუშაობა შესაძლებელია ამ მასებმა ახალ, უფრო „დროს შესაფერ" რელიგიას შეაფარონ თავი. ამის ნიშნები უკვე არის: ქართველებში სექტანტობა წარსულში არასოდეს არ ყოფილა, ეხლა კი გაჩნდა ბაპტისტების სექტა. მართალია, ეს სექტა სწრაფად არ იზრდება, მაგრამ მისი წარმოშობა ფაქტია.

დიდათ სამწუხაროა ის, რომ ზოგიერთი კომუნისტი და კომკავშირელი სათანადოდ ვერ აფასებს ანტირელიგიურ ფრონტის მნიშვნელობას. ამ შეუფასებლობამ უარყოფითი შედეგი მოგვცა. პარტიულ, კომკავშირის, პროფესიონალურ და სხვა ორგანიზაციებში აუცილებლად უნდა ჩატარდეს ახსნა-განმარტებითი მუშაობა რელიგიის და სამღვდელოების მავნებლობის შესახებ. პარტიული ორგანიზაცია უნდა ებრძოდეს ანტირელიგიური მუშაობის შეუფასებლობას თავის რიგებში.

ჩვენი ორგანიზაციების ნაკლია სპეციალურ ანტირელიგიურ მუშაკების უყოლობა, იმ დროს, როცა მარტო მართმადიდებელ ეკლესიას სამღვდელოების სახით 1000-ზე მეტი სპეციალური მქადაგებელი ყავს.

თათბირმა საჭიროდ აღიარა ერთი მუშაკის ყოლა ანტირელ. პროპაგანდის დარგში; ამასთან უნდა შეიქმნას ანტირელ. მუშაკების ჯგუფი, რომელიც განთავისუფლებული უნდა იქნეს პარტიულ და საზოგ. დატვირთვისაგან.

უღმერთოთა კავშირის ჩამოყალიბება ახლო მომავალში უნდა დასრულდეს და მის ცენტრ. საბჭოსთან საჭიროა შეიქმნეს სექციები ახალგაზრდობის და ნაციონალურ უმცირესობათა შორის მუშაობის გასაჩაღებლად.

ანტირელიგიურ მუშაობას განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს ჩამორჩენილ რაიონებში (სვანეთი, [illegible] დუშეთი, აფხაზეთი, ახალქალაქი, აჭარისტანი და სხვ.). ნაციონალურ უმცირესობათა შორის მეტი ყურადღების ღირსია თურქები, სპარსელები, ებრაელები, გერმანელები, სექტანტები, სომეხ-კათოლიკები, ოსები და აფხაზები.

იმ მაზრებში, სადაც ეკლესიის გავლენა დაკარგული აქვს, ანტირელიგიურ პროპაგანდის ამოცანას რელიგიურ ნაშთებთან ბრძოლა შეადგენს.

დღემდე ანტირელიგიურ პროპაგანდა სწარმოებდა მხოლოდ მართმადიდებელ ქრისტიანულ სარწმუნოების წინააღმდეგ. სხვა რელიგიური სისტემები: ისლამი, სომეხ-გრიგორიანები, კათოლიკობა, ლიუტერანობა და სექტანტები მივიწყებული იყვნენ, წელს პირველად ჩატარდა ანტირელ. კამპანია მუსულმანურ დღესასწაულების წინააღმდეგ. სხვა სარწმუნოების წინააღმდეგ ბრძოლა თათბირის აზრით ფართოდ უნდა განვითარდეს. სხვადასხვა რელიგიებთან საბრძოლველად საჭიროა სხვადასხვა მეთოდების და ფორმების გამომუშავება, რომლის დროს მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული ამა თუ იმ ხალხის ეროვნული თავისებურობანი და კულტურული დონე.

კომკავშირმა, რომელიც ყველაზე აქტიური ბრძოლას უნდა ეწეოდეს სარწმუნოების წინააღმდეგ, უკანასკნელად ანტირელ. პროპაგანდა შეანელა. თათბირმა ეს ყოვლად დაუშვებლად სცნო.

ინტელიგენცია, იმ დროს—როცა მას დიდი დახმარების გაწევა შეუძლია ამ საქმეში, განზე სდგას ანტირელიგიურ მოძრაობიდან. მომავალში პარტიასთან უნდა შეიქმნეს უღმერთოთა უპარტიო აქტივი. ამ მუშაობაში საჭიროა ჩავაბათ საბჭოთა ინტელიგენცია და სამეცნიერო ძალები.

ანტირელიგიურ მუშაკების მოსამზადებლად საჭიროა სათანადო კურსების მოწყობა. სახ. უნივერსიტეტის პედფაკულტეტის, პედტეხნიკუმების და საბჭ. პარტიული სკოლის სასწავლო გეგმაში უნდა შეტანილ იქნეს ანტირელიგიური პროპაგანდის საკითხები. უნდა გაძლიერდეს აგრეთვე ანტირელიგიური აღზრდა ყველა ტიპის და საფეხურის სკოლებში და პარტგანათლების ქსელში.

ანტირელიგიური ცოდნის გასავრცელებლად მუშებში, გლეხებში, წითელ არმიაში, სკოლებში აქამდე ეწყობოდა ანტირელიგიური წრეები, მაგრამ პროგრამების და სახელმძღვანელოების უქონლობის გამო მათ კუსტარული ხასიათი ქონდა. ამიერიდან ეს წრეები პარტგანათლების სისტემაში უნდა იქნეს შეტანილი და მათი მუშაობა გაუმჯობესდეს.

თათბირმა საჭიროდ აღიარა საშობაო და სააღდგომო არდადეგების მოსპობა და მათი რევოლიუციონურ დღესასწაულებთან დაკავშირება.

ნაცუმცირესობის სკოლებშიაც უნდა იქნას შეტანილი ანტირელიგიური აღზრდა. პრესა, კინო, რადიო, თეატრი უნდა ეხმარებოდეს უღმერთოთა ორგანიზაციებს ნაცუმცირესობათა რაიონებში. სასულიერო სკოლები, რომლებშიაც სარწმუნოებას ასწავლიან ბავშვებს (ახალ-ციხე, აჭარისტანი და სხვ.) უნდა გაუქმდეს.

ახალ თურქულ ალფავიტზე გადასვლას დიდი მნიშვნელობა აქვს მუსულმანური სამღვდელოების ავტორიტეტის დასაცემად. ამიტომაც ეს საქმე საჭიროა რაც შეიძლება დაჩქარდეს.

თათბირის მიერ სხვადასხვა ეკლესიების და რელიგიურ მიმართულებათა წინააღმდეგ შემუშავებულ ღონისძიებათა ცხოვრებაში გატარებისათვის მუშაობა დაუყოვნებლივ უნდა იქნეს დაწყებული. საჭიროა დავგმოთ ყოველგვარი ბუნდოვანობა, ნეიტრალობა, ყოყმანი სარწმუნოების საკითხში და ანტირელიგიურ ფრონტზე სერიოზული ბრძოლა განვავითაროთ.

დ. ორაგველიძე.

ცენტრალურ კომიტეტში

საბჭოს წევრ ქალთა საქმიანობა

საქ. კ. პ. (ბ) ც. კ. მუშა-გლეხ-ქალთა შორის მომუშავე განყოფილებამ ამ რამოდენიმე ხნის წინად გამოიკვლია საბჭოებისა და აღმასკომების წევრ ქალების მუშაობა. როგორც გამოკვლევამ დაგვანახვა ამ ქალების მუშაობას ჯეროვან ხელმძღვანელობას არ უწევდნენ სამაზრო აღმასკომები და მუშა-გლეხ-ქალთა განყოფილებები.

დეპუტატ ქალებს არ იყენებდნენ საბჭოების საანგარიშო კამპანიის ჩატარების დროს და არც საბჭოებისა და აღმასკომების ყოველდღიურ პრაქტიკულ მუშაობაში.

გამოკვლევის მასალების მიხედვით, საჭიროდ იქნა ცნობილი ღონისძიებათა მიღება დელეგატ ქალების მუშაობაზე ხელმძღვანელობის გასაძლიერებლად. სამაზრო აღმასკომებს მიეთითა, რომ სისტემატიურად აწარმოონ დელეგატ ქალთათვის ინსტრუქციების მიცემა, პერიოდულად მოიწვიონ მათი თათბირი და ჩააბან ისინი საბჭოების ყოველდღიურ მუშაობაში.

აგრეთვე მიზანშეწონილად იქნა ცნობილი თემაღმასკომების წევრ ქალთა სრ. საქართველოს თათბირის მოწვევა.

ქიმიკოსთა მეშვიდე ყრილობა

მეორე და მესამე სხდომა

მეორე სხდომაზე დაიწყო კამათი ამხ. ს. არაქელოვის მოხსენების გარშემო (მოხსენება ეხებოდა საქართველოს ქიმიური მრეწველობის მუშათა კავშირის ცენტრალური გამგეობის მუშაობას). კამათში მონაწილეობა მიიღო 30-ზე მეტმა ორატორმა, რომლებიც აღნიშნავდნენ ჩატარებული მუშაობის ნაკლოვანებებს და მოითხოვდნენ, რომ მომავალში ცენტრალურმა გამგეობამ გააფართოვოს წარმოებებში მასიური ეკონომიური და კულტურული მუშაობა. ზოგიერთი ორატორი აღნიშნავდა, რომ მომავალში ცენტრალური გამგეობის მუშაკებმა უნდა მიიღონ უშუალო მონაწილეობა ქარხკომების მუშაობაში.

მესამე სხდომაზე საბოლოო სიტყვით გამოვიდა კავშირის ცენ. გამგეობის თავმჯდომარე ამხ. ს. არაქელოვი, რომელმაც დაწვრილებითი პასუხი გასცა ყველა მოკამათეებს.

მეოთხე სხდომა

გუშინ, საღამოს სხდომაზე საქართველოს ქიმიურ მრეწველობის მდგომარეობისა და ხუთწლიან პერსპექტიული გეგმის შესახებ მოხსენება გააკეთა ს. მ. უ. საბჭოს წარმომადგენელმა ინჟ. ბერიძემ.

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ ქიმიურ მრეწველობას საქართველოში დიდი პერსპექტივები აქვს, რადგან ჩვენში მოიპოვება დიდძალი ნედლი მასალა, რომელთა დასამუშავებლად მიღებულია მთელი რიგი ზომები.

ამჟამად ქიმიურ მრეწველობაში მთავარი ადგილი უჭირავს გლაუბერის მარილის დამუშავებას სოფ. მუხროვანში (თბილისის მაზრა). ამ წარმოების პროდუქცია მიმდინარე წელში უდრის 1.650 ტონას, ხოლო უახლოეს 5 წელში გლაუბერის მარილის დამუშავება გადიდებული იქნება 5.500 ტონამდე. გაწმენდილი გლაუბერის მარილი გააქვთ საბჭოთა კავშირში.

ს. მ. უ. საბჭო მიმდინარე წელს ქუთაისში აგებს ბარიტის ქარხანას, რომელიც მოწყობილი იქნება ტეხნიკის უკანასკნელი სიტყვის მიხედვით.

5 წლის შემდეგ ქარხანა დაამზადებს 92.000 ტონა ბარიტს. ეხლა საბჭოთა კავშირში დიდი მოთხოვნილებაა ბარიტზე. ქუთაისის ბარიტი სავსებით დააკმაყოფილებს საბჭოთა კავშირის ბაზრის მოთხოვნილებას და ნაწილი გატანილი იქნება საზღვარგარეთ.

გარდა ამისა, დიდი ყურადღება ექცევა საღებავების დამზადების საქმეს. ბათომის ქიმიური ქარხანა სრული დატვირთვით მუშაობს.

განზრახულია მომავალში ბარიტის ქარხნის მახლობლად აგებული იქნეს დიდი ქარხანა ძვირფას საღებავების დასამზადებლად.

ს. მ. უ. საბჭოს სამთო ტრესტმა დაამუშავა სათანადო მასალები ბიტუმის წარმოების დასაწყებად. ბიტუმი—აუცილებელია საგზაო მშენებლობისათვის.

წინასწარ შეკრებილი ცნობებით, ბიტუმი დიდი რაოდენობა მოიპოვება ნატანების რაიონში.

ხუთწლიან პერსპექტიული გეგმის მიხედვით, განზრახულია დიდი შუშეულობის ქარხნის აგება სურამ-ხარაგოულის რაიონში. ქარხანა წლიურად დაამზადებს 40 მილიონ ცალ ბოთლს.

გარდა ამისა, ბორჯომის შუშეულობის ქარხანაში ბოთლების დამზადება გადიდებული იქნება 20 მილიონ ცალამდე, ხოლო ბოთლების ღირებულება დაიკლებს დაახლოვებით 30—40 პროც.

დიდი ყურადღება ექცეოდა ქიმიურ-ფარმაცევტიულ წარმოებას, რომელსაც საფუძველი ჩაეყარა 1925 წ. ამ დარგში არის დიდი მიღწევები, როგორც მაგ. მთელი რიგი ახალი პრეპარატების ადგილობრივათ დამზადება, რომლებიც წინად საზღვარგარეთიდან შემოჰქონდათ.

სწარმოებს წინასწარი მუშაობა, რათა 1931—32 წ. აშენებული იქნეს მთრიმლავი მასალების დამამზადებელი ქარხანა, რითაც საგრძნობლად გაუმჯობესდება ტყავის მრეწველობა ჩვენში.

ამხ. ბერიძის მოხსენების გარშემო გაიმართა გაცხოველებული კამათი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საბჭოთა საქართველო

წერილები

თავიდანვე მივიღოთ ზომები
(წერილი ოზურგეთიდან)

გურიის გლეხობის ერთ-ერთ შემოსავალს წყაროს შეადგენს თხილი. მაგრამ უნდა აღინიშნოს, რომ თუ მისი დამზადების საქმე წელს ისე დარჩა, როგორც შარშან, ღარიბი გლეხობის კანონიერ უკმაყოფილებას ვერ ავცდებით და სახელმწიფო დამამზადებელი ორგანოებიც დაზარალდებიან.

როგორ სწარმოებდა თხილის დამზადება გასულ წელში? პირველად თხილის მყიდველი არავინ სჩანდა სახელმწიფო ორგანოებიდან. ცოტა მოგვიანებით სამეურნეო ბანკის ადგილობრივ განყოფილებამ გლეხობას აღუთქვა ფუთ თხილზე მანეთ-ნახევარის ავანსად მიცემა და გადაჭრილი ფასები არ იყო დაწესებული. ღარიბ გლეხობას სურდა თხილის ერთბაშად გაყიდვა და ფულის მაშინვე მიღებაც. ამიტომ ის შეუდგა მყიდველების ძებნას და ასეთები კი იყვნენ კერძო ჩარჩ-სპეკულიანტები. მათ გამოაცხადეს ფუთ თხილის ფასად სამი მანეთი და შეუდგენ ყიდვას. ღარიბი გლეხობა იძულებული იყო ამ ფასებში გაეყიდა თხილი. უფრო შეძლებულებმა კი შეინახეს. შემდეგ სახელმწიფო ორგანოებმა ხუთი მანეთი დააწესეს. სპეკულიანტებმაც მოუმატეს ფასი და როცა თხილის ფასი შვიდ მანეთამდე ავიდა, ღარიბ და საშუალო გლეხობას ის უკვე გაყიდული ქონდა. შერჩათ თხილი მხოლოდ მდიდარ გლეხობას და სოფლის ჩარჩებს. მათ ფული არ უჭირდათ და თავიანთი თხილი გაყიდეს 10—11 მანეთად ფუთი.

განა არ შეიძლებოდა ასე უსამართლოდ არ გაყვლეფილიყო ღარიბი გლეხობა და მათ ზურგზე ჩარჩები არ გამდიდრებულიყვნენ.

რა თქმა უნდა შეიძლებოდა რომ თავიდანვე სახელმწიფო ორგანოებს მტკიცე ფასები დაეწესებიათ, მაშინ არც ღარიბი გლეხების საყვედურს ექნებოდა ადგილი. ისინი ამბობდენ: „მთავრობამ თხილი ჩვენგან იაფად შეისყიდა, ხოლო მდიდრებიდან და ჩარჩებიდან ძვირადო".

წარსული შეცდომა წელს აღარ უნდა განმეორდეს. სოფლის ჩარჩები უკვე ამოძრავდენ. ისინი ფუთ თხილში სამ მანეთს აძლევენ გლეხებს, ან ერთ ფუთ სიმინდში ფუთ ნახევარ თხილს თხოულობენ. ამ სიმინდის ნაწილი ჩრდილო კავკასიიდან არის შემოტანილი, რომელიც ღარიბ გლეხობამ ვერ შეისყიდა და ჩარჩებს ჩაუვარდათ ხელში.

საჭიროა სახელმწიფო-დამმზადებელ ორგანოებმა ეხლავე დააწესოთ თხილის მტკიცე ფასები და ალაგმონ სოფლის ჩარჩ-სპეკულიანტები.

ენაფიტე.

უმიზეზოთ იქნა დათხოვნილი
(სენაკი)

საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების დღიდან, სენაკის პირველ შვიდწლედში დარაჯად მსახურობდა ქვრივი მარო ქუჩავა. ის ყოველთვის პირნათლად ასრულებდა ნაკისრ მოვალეობას, მაგრამ გასული წლის ივნისის პირველ რიცხვებში ავადმყოფობის გამო ითხოვა ერთი კვირის შვებულება და როცა სამსახურში დაბრუნდა, შვიდწლედის გამგე ილ. ხუხუამ სამუშაოზე აღარ დაუშვა და განუცხადა: „რადგან შენი დათხოვნის შესახებ ცენტრიდან მომივიდა ქაღალდი, სამუშაოზე ვერ დაგიშვებო".

ქუჩავამ მოითხოვა, რომ გამგეს ეჩვენებინა მისთვის დათხოვნის ქაღალდი, მაგრამ ხუხუამ განუმეორა ალმასკომიდან ხარ დათხოვნილიო.

ჩამოიარა ქუჩავამ ყველა ორგანიზაციები: ალმასკომი, განათლების განყოფილება, პროფკავშირი და ყველგან გაუცხადეს, ჩვენ არაფერი ვიცით თქვენი დათხოვნის შესახებო. ბოლოს გამოირკვა, რომ ის დათხოვნილი იყო გამგის გადაწყვეტილებით.

დიდხანს იარა ქუჩავამ სიმართლის აღსადგენად და ადგილზე დასაბრუნებლად, მაგრამ ყურადღება არავინ მიაქცია.

9 თვის განმავლობაში მას დამზღვევი სალარო აძლევდა დახმარებას თვეში ათ მანეთს, შემდეგ რამოდენიმე თვეს კავშირი ეხმარებოდა, მაგრამ დღეს ყველამ შეუწყვიტა დახმარება და თავისი პატარა შვილით უყურადღებოთ არის მიტოვებული.

ამ პატარა ფაქტში საინტერესოა ერთი გარემოება. რისთვის იყო საჭირო შვიდი წლის ნამსახური დარაჯის ადგილიდან მოხსნა? თუ ეს თავის მოვალეობას ვერ ასრულებდა, რაღა სწორედ ავადმყოფობის დროს იქნა დათხოვნილი და არა უფრო ადრე? მაგრამ მოვალეობის არ ასრულება აქ უბრალო შირმაა. ნამდვილი მიზეზები კი სულ სხვაა, რომელსაც ალბად სათანადო ორგანო გამოარკვევს. გამგის ჯიუტობით ულუკმაპუროდ დარჩა ერთი ოჯახი და თანაც დამზღვევ სალაროს რამოდენიმე ათეულ მანეთის გაღება მოუხდა ამ ჯიუტობის გამო.

ჩვენ ვფიქრობთ, რომ ამ ერთი შეხედვით პატარა, მაგრამ მნიშვნელოვან საკითხს სერიოზული ყურადღება უნდა მიექცეს ვისგანაც ჯერ არს. ადმინისტრაციის ჯიუტობით უდანაშაულოდ არ უნდა დაისაჯონ დაბალი თანამშრომლები და არც დამზღვევი სალარო ჩავაგდოთ ზედმეტ ხარჯში.

მცოდნე.

ისევ განაგრძობენ
სოფ. ვანი, გურია

მიუხედავათ იმისა, რომ სასტიკათ აკრძალულია მიწის ყიდვა-გაყიდვა, ხსენებულ სოფელში ამ გარემოებას ხელს არავინ უშლის. აქ ისევ თავისუფლად სწარმოებს მიწის ყიდვა გაყიდვა. ამ საქმეში ყველაზე მეტი უნარი გამოიჩინა გრიშა ივანესძე მახარაძემ და მისმა დედამ; ისინი სისტემატიურათ ჰყიდიან მიწას, რომელიც დღემდე იჯარით ჰქონდათ გლეხობაზე გადაცემული. აი ამისი რამოდენიმე მაგალითი. გასულ წელს მათ გლეხ სანდრო მახარაძეს ჩამორთვეს იჯარით მიცემული მიწა და მიყიდეს შეძლებულ გლეხს კოსტა მახარაძეს, რის საფასურათ აიღეს 600 მანეთი. სანდრო მახარაძემ ამის შესახებ აღძრა საჩივარი, მაგრამ გრიშას დედა მოხერხებული ქალია და მან ეს საქმე ისე მიჩქმალა, რომ კაცმა ვერ გაიგო მისი ასავალ-დასავალი.

წელს ამავე მემამულის მიწა იჯარით ჰქონდა აღებული გლეხს კოწია მახარაძეს რომელსაც უკვე გაუცხადეს, რომ მომავალ წელში აღარ დაუთმოს მიწა. ამის მიზეზი ის არის, რომ მიწა გაყიდულია კულაკ ვასილ ირაკლისძე მახარაძეზე, რაშიაც მიიღო 500 მან; მესამე ნაჭერ მიწაზე კი ეხლა აქვს ვაჭრობა ხსენებულ მემამულეებს და ეპიფანე ხაჯიბეკოვს, რომელიც ალბად მათდა სასურველათ დამთავრდება.

ასე ეწევიან მიწით სპეკულიაციას აღნიშნული ვაჟბატონები და ამის შემდეგ რა გასაკვირია, რომ ისინი კარგათ მოეწყონ ლანჩხუთში საცხოვრებლათ.

აღსანიშნავია ის გარემოება, რომ ეს ყველა კარგათ იცის ადგილობრივ საბჭოს წევრებმა, მაგრამ ზომებს არავინ არ ღებულობს მათ წინააღმდეგ.

კანონის დამრღვევთ სასტიკი პასუხი უნდა მოეთხოვოს.

გუშ-პირელი.

ტყის „მცველი", თუ ტყის მჩეხი?
ს. ჯიმითი, კახეთის მაზრა

სოფელ ჯიმითის ჩრდილოეთით აკრავს ტყე. რომელიც გაშენებულია ციცვომბორის კალთებზე. ამ სოფლის მცხოვრებლებს ეს ტყე ასულდგმულებს. აქ ჰავა საუცხოვოა და ავადმყოფობაც იშვიათად იცის.

რამდენიმე ხნის წინედ ამ ტყის მეთვალყურედ დანიშნეს მიხა თევდორაშვილი, მაგრამ ის ისე იცავს ტყეს, როგორც მგელი ბატკანს. მიუსია გლეხები ტყეს და უმოწყალოდ სჩეხავენ. სამაგიეროდ თევდორაშვილს გლეხები მორჩილებაში ჰყავს და რასაც უბრძანებს იმას აკეთებინებს თავის სასარგებლოდ. ზოგს კარს აზიდვინებს, ზოგს ფიცარს ათლევინებს, ზოგს იატაკს აგებინებს, ზოგს ღორებს ართმევს და სხვ. ამ გზით ის შეძლებულ კულაკად გადაიქცა და მის წინააღმდეგ ხმის ამოღებას ვერავინ ბედავს. თუ ასე გაგრძელდა ტყე საბოლოოდ განადგურდება.

რა უნდა კულაკს ტყის მცველად, ან რატომ არ აქცევს ადგილობრივი ხელისუფლება ამ გარემოებას ყურადღებას?

ეკალი.

დაუშვებელი მოქმედება
ს. ბოდბისხევი, კახეთის მაზრა

არაჩვეულებრივ ამბებს წააწყდებით ხშირად სოფლად და ერთი ასეთი ფაქტი მოხდა ამის წინად სოფ. ბოდბისხევში. გლეხობაზე შეწერილი წყლის გადასახადის შეკრება მიანდვეს ყოფილ მიკიტანს აბრამ ქაბაშვილს. ამისათვის მას გასამრჯელოც დაუნიშნეს 200 მანეთი. ეს კიდევ არაფერი, მაგრამ საინტერესოა თუ როგორ კრებდა გადასახადს ქაბაშვილი. მან დაიდგა მაგიდა კოოპერატიული სავაჭროს წინ, დაიხმარია თავისი ცოლიც და ვინც კი მივიდოდა კოოპერატივში რამეს სასყიდლად, თუ მას ფული აღმოაჩნდებოდა, ძალით ართმევდნენ ფულს. ნავთისა და მარილის სასყიდლად მოსული დედაკაცები მოკრძალებით ემუდარებოდნენ ქაბაშვილს, რომ არ წაერთმიათ მათთვის უკანასკნელი გროშები, მაგრამ ეს ვაჟბატონი ამას არ დაგიდევდა. განსაკუთრებულ ენერგიას იჩენდა ამ მხეცობაში ქაბაშვილის ცოლი, რომელიც პირდაპირ ძალათ გლეჯდა დედაკაცებს ფულს ხელიდან და ვინც არ დაემორჩილებოდა, ცემა-ტყეპასაც არ ზოგავდა.

დაშინებული ხალხი კოოპერატივს აღარ ეკარება. ნუ თუ ასეთ ფორმებში უნდა ხდებოდეს გადასახადის აკრეფა სოფლად? საჭიროა ადგილობრივმა ორგანოებმა ამ გარემოებას ყურადღება მიაქციონ.

სიმართლე.

წერილებიდან

ს. ყანდაური, (კახეთის მაზრა). ხსენებული სოფლის მახლობლად მდებარე ტყეს დაუნდობლად სჩეხავენ. ტყის მცველი უძლურია მათ წინააღმდეგ ბრძოლაში. თუ ასე გაგრძელდა, ტყე მთლად განადგურდება; საჭიროა ადგილობრივი ორგანოები დაეხმარონ ტყის მცველს ტყის მოვლა-პატრონობაში.

მეთვალყურე.

ს. ჭოპორტი (თბ. მაზრა). გლეხკომმა გახსნა აგურ-კრამიტის ქარხანა, რომლის ინიციატივა ეკუთვნის მასწავლებელ ს. იოსებაძეს. ამ ქარხნის საშუალებით გლეხობა იაფ ფასებში იძენს აგურ-კრამიტს და აღარ უხდება მისი შესყიდვა 20—30 კილომეტრის მანძილზე.

ვანო მ—შვილი.

მუშათა ცხოვრება

გავაძლიეროთ კულტმუშაობა
(ოზურგეთის ძაფსახვევი ფაბრიკა)

კულტურულ მუშაობას განსაკუთრებული ყურადღება ახალ წარმოებებში უნდა ექცეოდეს. ამ წარმოების მუშები სოფლიდან ახლად მოსული გლეხებია, რომლებიც მუშური იდეოლოგიით ჯერ კიდევ არ არიან გაჟღენთილი.

სწორედ ასეთია აბრეშუმის ძაფსახვევი ფაბრიკა ოზურგეთში. ამ ფაბრიკის მუშები კულტურულად შედარებით ჩამორჩენილი არიან. მიუხედავათ ამისა ფაბრიკაში კულტმუშაობა ძალიან სუსტად არის დაყენებული.

ფაბრიკას არა აქვს კლუბი, ბიბლიოთეკა-სამკითხველო არსებობს, მაგრამ მასში ჟურნალები, წიგნები და სხვა ლიტერატურა მცირე რაოდენობით მოიპოვება, რის გამოც შეუძლებელია 1.000 მუშის მოთხოვნილების დაკმაყოფილება.

საჭიროა ფაბკომმა და ქარხნის სხვა ორგანოებმა შესაფერი ზომები მიიღონ ამ მდგომარეობის გამოსასწორებლად.

ა. ელენაშვილი.

„საჩუქრების" ბრალია
(სადგ. გურჯაანი)

გაზაფხულთან დაკავშირებით კახეთის რკინის გზაზე მოძრაობა გაიზარდა, რადგან ალაზნის გაღმა მაზრიდან [illegible] საზამთროს გზავნიან რკინის გზის საშუალებით სხვადასხვა მხარეს. საზამთროთი დატვირთული ყველა ვაგონი საბარგო მატარებლის სიჩქარით იგზავნება, მაგრამ თუ პატრონი რამოდენიმე საზამთროს სადგურის მორიგეებს, ან უფროსებს უწყალობებს, მაშინ შესაძლებელი ხდება მათი ვაგონის სახალხო მატარებელზე მიბმა.

მაგალითები ბევრია: ამას წინად სადგ. გურჯაანის მორიგე დ—2 ცხაკაიას წნორიდან ტელეფონით დაუძახეს,—რომ საზამთროთი დატვირთული ვაგონი მიიღე და სახალხო მატარებელზე მიაბიო. ცხაკაიამაც გასცა განკარგულება წნორის თხოვნის შესასრულებლად.

25 ივლისს ჩამოვიდა წნორიდან იზოტერმიული ვაგონი № 360925, რომელიც წესის მიხედვით სახალხო მატარებლით უნდა გაგზავნილიყო. აღნიშნულ ვაგონს ბედმა არ გაუღიმა, მის ნაცვლად სახალხო მატარებელს ორი საზამთროიანი ვაგონი მიაბეს.

საქმის ამგვარ მსვლელობას ალბად ის იწვევს, რომ სადგურ წნორზე მყოფი კომისიონერი, სახელად ვგონებ „სიდრაკა". „პატივისცემის" ნიშნად სადგ. გურჯაანის მოძრაობის დარგის მაღალ პერსონალს სხვადასხვა საჩუქრებს უგზავნის.

ამ „საჩუქრებით" უნდა დაინტერესდეს სათანადო ორგანო.

რადიო.

რისთვის არ აუქმებენ?
(რკ. გზ. სამმართველოს საყურადღებოთ)

1927 წლის ივლისიდან რკინის გზათა სამმართველომ სახ. მატარებლების რევიზორების შტატი შეამცირა: დატოვებული იქნა მხოლოდ რამოდენიმე რევიზორი მოულოდნელი რევიზიის გასაკეთებლად.

ეს ღონისძიება უთუოდ მიზანშეწონილი იყო, რადგან წარსულში სახალხო მატარებლის რევიზორები თავს ყველაფრის ბატონ-პატრონად გრძნობდნენ და მათი მხრით ხშირად მრავალ ბოროტ-მოქმედებას ჰქონდა ადგილი.

მაგრამ ვერ გაგვიგია ერთი გარემოება: თუ სამმართველომ დაადგინა, რომ მატარებლებში მხოლოდ და მხოლოდ მოულოდნელი რევიზია უნდა ხდებოდეს, რაღა საჭიროა სპეციალური რევიზორები ბორჯომის მატარებელ № 20—19-ზე და კახეთის მიმართულების მატ. №13—14-ზე?

ჩვენის აზრით ეს დადგენილება ყოველგან ულაპარაკოდ უნდა გატარდეს. იმედია რკ. გზის სამმართველო გააუქმებს ამ ზედმეტ შტატებსაც.

ვინერა.

საჭიროა წმენდა
(ტრამვაი)

დიდი ხანია ლაპარაკობენ ტრამვაის მოძრაობის დარგში მუშების წმენდა უნდა მოხდესო, მაგრამ დღემდე პრაქტიკულ ნაბიჯს ვერ ვხედავთ. ჩვენის აზრით წმენდა ტრამვაის ყველა დარგშია საჭირო. ყველგან მოიპოვება არა სასურველი ვაჟბატონები, რომლებიც წარმოებას ზიანის მეტს არაფერს უკეთებენ.

რაც შეეხება მოძრაობის დარგს, აქ ბლომადაა თავხედი პირები, რომლებიც მგზავრებს ქუჩური სიტყვებით და ლანძღვა-გინებით უმასპინძლდებიან. ასეთი ხალხი, ცხადია, პატიოსან მუშებსაც სახელს უტეხენ. მართალია, მუშების რიგებიდან საზოგადოების შესაწუხებელი და წარმოების მავნებელი ელემენტები უნდა განიდევნონ, მაგრამ ამასთანავე საჭიროა გაწმენდას ისე მიუდგეთ, რომ ნათლიმამობას არ ექნეს ადგილი.

გაწმენდის კამპანიაში ადგილობრივ კომისიის გარდა მონაწილეობა უნდა მიიღონ პროფკავშირმა შრომის ინსპექციამ და თვით მუშებმა.

თასონ ღეწაძე.

მოაწესრიგეთ ეს საქმე

საქართველოს ადგილობრივ ტრანსპორტზე მომუშავეთა პროფკავშირის ც. გამგეობის მეოთხე პლენუმზე მოსმენილი იქნა ა.-კ. რკ. გზის გამგეობის მოხსენება დატვირთ-გადმოტვირთვის საქმების წარმოების შესახებ. ამ მოხსენების ირგვლივ მიღებულ რეზოლუციის ერთ-ერთი მუხლი აუცილებლივ საჭიროდ სცნობდა კავშირის და ადმინისტრაციის წარმომადგენლების მივლინებას ხაზზე ზოგიერთი სპეციფიკური საკითხების ადგილობრივ მოსაწესრიგებლად. ეს დადგენილება ნაწილობრივად უკვე შესრულებულია; დათვალიერებულია გორის, ხაშურის და ბორჯომის სადგურები. კავშირის ც. გამ. იქონია მსჯელობა გამოკვლევის შედეგებზე და საჭიროდ სცნო რკ. გზის სამმართველომ დატვირთ-გადმოტვირთვის საქმის გასაუმჯობესებლად გაატაროს შემდეგი ღონისძიებები:

არ იქნეს დაშვებული 8 საათის სამუშაო დღის დარღვევა, რასაც დღემდე ბევრ ადგილას ჰქონდა ადგილი, დაუყოვნებლივ გატარებული იქნეს ცხოვრებაში ა.-კ. მუშათა და გლეხთა ინსპექციის დადგენილება საქ. რკ. გზის ხაზზე დატვირთ-გადმოტვირთვის სამუშაოების კერძო მოიჯარადრეებისაგან ჩამორთმევის შესახებ. საქართვ. ხაზზე წარმოებულ ყველა ასეთნაირ სამუშაოების აღება რკ. გზის სამმართველოს მიერ, დაუყოვნებლივ მოეწყოს და მიეცეს მუშებს სადგომები დასასვენებლად და სასადილოდ. მოკლე ხანში გამომუშავდეს შინაგანი წესი, სადაც ასეთი არ არსებობს, აეკრძალოს რკ. გზის ადმინისტრაციას მტვირთველების შრომის გამოყენება ბაქნების ან საწყობების გაწმენდა-დასუფთავებაში და სხვა.

ამ დადგენილებაში საყურადღებოა მეორე მუხლი, რომელიც შეეხება კერძო მოიჯარადრეების მიერ დატვირთ-გადმოტვირთვის სამუშაოების წარმოებას ზოგიერთ სადგურებზე (ცხალდება, ბაკურიანი, წალენჯიხა, სამტრედია და სხვა). ამის შესახებ არსებობს მუშათა და გლეხთა ინსპექციის დადგენილება, რომლითაც კატეგორიულად ეკრძალება დატვირთ-გადმოტვირთვის სამუშაოების კერძო პირებზე გაცემა საკვირველია, რატომ აქამდის არ შესრულდა ეს დადგენილება რკ. გზის ადმინისტრაციამ. კერძო პირები, მოიჯარადრეები ეწევიან მტვირთველ მუშების ექსპლოატაციას; ჭიათურის შტოზე მოიჯარადრე ბერია გურგენიძე თვეში იღებს 300 მანეთამდე იმ დროს, როდესაც მტვირთველი მუშები მისგან იღებენ სამი თვის განმავლობაში 41 მან. 61 კაპ. ასეთივე მდგომარეობაა კახეთის და ბაკურიანის ხაზებზეც.

სხვა ნაკლთა შორის, რომელიც აღმოჩენილი იქნა გამოკვლევის დროს, აღსანიშნავია აგრეთვე ის მდგომარეობა, რომ ზოგიერთი სადგურების უფროსებმა არც კი იციან კარგად თავიანთი მოვალეობა, რის გამო ხშირია გაუგებრობა მუშებსა და ადმინისტრაციას შორის.

საჭიროა ამ არანორმალურ მდგომარეობას მიაქციოს სერიოზული ყურადღება რკ. გზის ადმინისტრაციამ.

ალ. ფრუიძე.

ახალი დაზგები უნდა შევიძინოთ
(მთავარი სახელოსნოები)

რკინის გზებზე ხელფასის რეფორმის ჩატარების მიზანს სხვათა შორის შრომის ნაყოფიერების აწევაც შეადგენდა. ცხადია, შრომის ნაყოფიერების გაზრდაში მუშების ინტენსიურ მუშაობას დიდი მნიშვნელობა აქვს. მაგრამ ტეხნიკური გაუმჯობესების გარეშე მნიშვნელოვან შედეგების მიღწევა მაინც შეუძლებელია.

სადურგლო საამქროში მექანიკურ დაზგების ნაკლებობას მუშები და ადმინისტრაცია წინადაც გრძნობდენ, მაგრამ ამ საკითხს ჯეროვანი ყურადღება არ ექცეოდა. რეფორმამ კი ახალი მანქანების შეძენა დღის წესრიგში დააყენა.

ამას წინედ შესდგა სადურგლო საამქროს საწარმოო თათბირი, რომელსაც მუშა-მოსამსახურეები ბლომად დაესწრენ. თათბირმა იმსჯელა დაზგების საჭიროების გამო და დაადგინა აღძრას საკითხი ოთხი მექანიკური დაზგის შეძენის შესახებ. დაზგების შეძენით იმდენად გაუმჯობესდება მუშაობა, რომ შრომის ნაყოფიერების ზრდა დასახულ 16 პროცენტსაც გადააჭარბებს.

მიქელწმინდელი.

მუშკორთა წერილებიდან

სამუშაოზედ იგვიანებს. რკინის გზის მეშვიდე უბნის სალიანდაგო დარგის ანგარიშში მსახურობს ტეხნიკოს ათისთავად მოქ. ნოდია. ეს პირი არ კადრულობს მუშათა მატარებლით მოგზაურობას და სამსახურში ველოსიპედით დაბრძანდება, რის გამოც ყოველ დღიურად 2—3 საათს აგვიანებს.

ადმინისტრაციავ და უბკავშირო, შეაგნებიეთ „ველოსიპედისტს", რომ სამუშაოზედ დაგვიანება არ არის დასაშვები.

იქ მომუშავე.

ჩერნიკოვი მოსვენებას არ გვაძლევს. მუშკოოპის მესამე სასადილოში მსახურობს ვინმე ჩერნიკოვი, რომელიც მთელ სამუშაო დროს მხოლოდ ლანძღვა გინებას ანდომებს. დღე არ გაივლის ისე, რომ ამ ვაჟბატონმა რომელიმე მუშა-მოსამსახურეს ჩხუბი არ აუტეხოს.

მუშკოოპის გამგეობავ, მოგვაცილე ჩერნიკოვი.

ა. მ—ლი.

საქ. სახკომსაბჭოში

1928—29 წ. ადგილობრივი ბიუჯეტის შედგენა

სახკომსაბჭომ წინადადება მისცა მინსახკომს არა უგვიანეს 15 სექტემბრისა წარმოადგინოს სახკომსაბჭოში დირექტივები 1928—29 წლ. ადგილობრივი ბიუჯეტის შედგენის შესახებ.

გამოუყენებელი თანხების გამომკვლევი კომისია

მრეწველობის მშენებლობისათვის გაღებული გრძელვადიანი კრედიტების გამოუყენებელი თანხების გამოსარკვევად ამიერ-კავკ. სახკომსაბჭოს კომისიაში საქართველოს სახკომსაბჭოს წარმომადგენლად დაინიშნა ს.მ.უ.ს. თავმჯდომარე ამხ. გ. ჟურულაშვილი.

მეტრიულ სისტემის პოპულიარიზაცია

ამიერ-კავკ. სახკომსაბჭოს გამწესრიგებელი სხდომის დადგენილების თანახმად, საქართველოს სახკომსაბჭომ საჭიროდ სცნო „სოფლის კავშირის" და „ცეკავშირის" განთავისუფლება მეტრიულ სისტემის პოპულიარიზაციისათვის საჭირო თანხის გაღებისაგან.

საქართველოს ფინსახკომს დაევალა გამონახოს გლეხობაში მეტრიულ სისტემის პოპულიარიზაციისათვის საჭირო თანხა—1.958 მან. 40 კაპ. რაოდენობით.

საექიმო დახმარების საქმის გაუმჯობესება

ივნისის დამლევს, საქართველოს წითელი ჯვრის ცენტრ. კომიტეტმა, რაჭა-ლეჩხუმ-სვანეთში, საექიმო დახმარების საქმის გამოსაკვლევად მიავლინა ექ. იაკობაშვილი.

ამ დღეებში იაკობაშვილი დაბრუნდა თბილისში და მის მიერ ჩატარებულ გამოკვლევის შესახებ მოხსენება წარუდგინა საქართველოს წითელ ჯვარს. ამ მოხსენებიდან გამოირკვა, რომ რაჭა-ლეჩხუმ-სვანეთში საექიმო დახმარების საქმე ვერ არის თავის სიმაღლეზე დაყენებული. იმ დროს როდესაც ხსენებულ მაზრებში კუჭის და ფილტვების ავადმყოფობაა გავრცელებული და ამისათვის საჭიროა დისპანსერული მკურნალობა, ეს საქმე მეტად მოისუსტებს. ერთმანეთისაგან დიდი მანძილით დაშორებული საექიმო პუნქტები ვერ აკმაყოფილებენ მოსახლეობის მოთხოვნილებას, რადგანაც გზები მეტად ცუდ მდგომარეობაშია. აღნიშნულ მაზრებში სანიტარული განათლების დარგშიც ბევრი არაფერია გაკეთებული. მაგალითისათვის ავიღოთ სვანეთში. სოფ. ხაისი, აღნიშნულ რაიონში სწარმოებს დიდი რაოდენობით ხე-ტყის დამუშავება, სამუშაოებზე 1000-მდე კაცია ჩაბმული, ახლო-მახლო სოფლების მოსახლეობაც 4.000 სულს აღწევს. მაგრამ აქ არც ერთი საექიმო პუნქტი არ არის და ავადმყოფის წაყვანა უხდებათ, 30—40 კილომეტრით დაშორებულ ადგილებში. ადვილი წარმოსადგენია, თუ რა მდგომარეობაში მივა ავადმყოფი დანიშნულ ადგილებში ამოდენა მანძილის და ისიც სვანეთის გზებზე გავლის შემდეგ. ასეთი მაგალითები მრავალია.

ამ მდგომარეობასთან ბრძოლა, უნდა დაიწყოს საერთო ძალებით: საქ. წითელი ჯვარი თავისი მცირე სახსრებით ვერაფერს გახდება.

საქართველოს წითელმა ჯვარმა საჭიროდ სცნო, მოხსენებაში აღნიშნული ღონისძიებათა ცხოვრებაში გატარება. მას ამ საქმეში ხელი უნდა შეუწყოს ყველა ორგანიზაციებმა, რადგანაც აქ უაღრესად დიდი მნიშვნელობის საქმე უნდა გაკეთდეს.

პირველ აუცილებლობას წარმოადგენს. სოფ. ხაისში საექიმო პუნქტის გახსნა. ქ. მესტიაში—ტუბდისპანსერის; ონში—(ქედას რაიონში),—საექიმო პუნქტის გახსნა, რაჭა-ლეჩხუმისათვის, ჭრებალოში—ტუბ. დისპანსერი. ლეჩხუმში—ლენტეხში—საექიმო პუნქტი. ამასთან საჭიროა პირველ საექიმო დახმარების საქმის ორგანიზაცია.

აღნიშნულ სამკ. დაწესებულებების მოწყობას შეუდგებით ახლო მომავალში, ვინაიდან ზოგიერთ მათგანის შესახებ უკვე მიღწეულია შეთანხმება ჯანსახკომთან და ზოგს წითელი ჯვარი მოაწყობს საკუთარი საშუალებებით.

როგორ იწარმოებს მისაღები გამოცდები

სახელმწიფო უნივერსიტეტში

თბილისის სახ. უნივერსიტეტში მისაღებ გამოცდების შესახებ უნივერსიტეტის რექტორმა ამხ. მ. ტოროშელიძემ ჩვენს თანამშრომელთან საუბარში განაცხადა:

მისაღებ სტუდენტების 99 პროცენტმა უკვე შემოიტანა განცხადებები, ასე, რომ გამოცდები ყოველ მიზეზს გარეშე დაიწყება ხვალ, 15 აგვისტოს და გაგრძელდება პირველ სექტემბრამდე.

გამოცდების პერიოდში ჩამორჩენილ ან გამოცდებზე დაგვიანებულ სტუდენტთათვის არავითარ შემთხვევაში დამატებითი გამოცდები არ დაინიშნება. ამიტომ უნივერსიტეტში შესვლის მსურველი დანიშნულ ვადისათვის უნდა გამოცხადდეს გამოცდებზე და არც ერთი გამოცდა არ უნდა გამოიროვოს, წინააღმდეგ შემთხვევაში ასეთები მოხსნილი იქნებიან გამოცდებიდან.

უნივერსიტეტში მიიღებიან მხოლოდ მუშები, გლეხები, მუშა-მოსამსახურენი და მათი შვილები.

წელს სახ. უნივერსიტეტში მისაღებ სტუდენტთა რიცხვი, როგორც ვიცით, 800 კაცით არის განსაზღვრული, ხოლო უნივერსიტეტში ამჟამად შემოსულია 2247 განცხადება. ამიტომ მოსალოდნელ კონკურსთან დაკავშირებით გამოცდაზე მომავალი სტუდენტი უნდა იყოს შესაფერი ცოდნით აღჭურვილი; წელს მიღებული იქნებიან ისეთი სტუდენტები, რომელნიც დაწინაურდებიან გაძლიერებულ კონკურსის პროცესში.

გამოცდებს სისტემატიურად დაესწრებიან მიმღები კომისიის წევრები. გამოცდების დასრულების შემდეგ ნიშნები გადაეცემა საგამოცდო კომისიის თავმჯდომარეს, კონკურსის შედეგების გამოსარკვევათ.

უნივერსიტეტში ჩარიცხული სტუდენტი უნდა გამოცხადდეს პირველ ოქტომბრისათვის, წინააღმდეგ შემთხვევაში მექანიკურათ გამოირიცხება უნივერსიტეტიდან.

თბილისის საბჭოს პრეზიდიუმში

ახალი წყალსადენი

თბილისის საბჭოს პრეზიდიუმის სხდომაზე რომელიც გუშინ შესდგა, განხილულ იქნა ქალაქის მეურნეობის მთელი რიგი საკითხები და მათ შორის ახალი წყალსადენის აგებისა და ტრამვაის სარევიზიო გამოკვლევის შედეგები.

ახალი წყალსადენის აგების საკითხზე საინფორმაციო მოხსენება გააკეთა ამხ. მესხმა.

ახალი წყალსადენი გამოყვანილი იქნება ნატახტარიდან. წყალსადენის აგება უნდა დაიწყოს 1928 წლის 1-ლ ოქტომბერს. მუშაობა წყალსადენის ასაგებად უნდა დამთავრდეს სამი წლის განმავლობაში. ხარჯთ-აღრიცხვა ნავარაუდევია 9.000.000 მანეთის რაოდენობით, აქედან 4.500.000 მანეთი გადაიდება საბიუჯეტო წესით ადგილობრივი თანხებიდან, ხოლო დანარჩენი თანხის შესახებ აღძრულ იქნება შუამდგომლობა საკავშირო ორგანოების წინაშე, რათა ეს თანხა მიღებულ იქნას გრძელვადიანი კრედიტის სახით. პრეზიდიუმმა მოიწონა ამხ. მესხის მიერ წარდგენილი რეზოლუციის პროექტი და დაადგინა დასვას საბჭოს წინაშე საკითხი იმის შესახებ, რომ ნატახტარის წყალსადენის საქმის მოსაგვარებლად არჩეულ იქნას სპეციალური კომიტეტი.

ტრამვაის სარევიზიო გამოკვლევის შესახებ

პრეზიდიუმმა მოისმინა საკონტროლო განყოფილების მოხსენება ტრამვაის სარევიზიო გამოკვლევის შედეგების შესახებ. პრეზიდიუმმა ზოგიერთ შესწორებებით მიიღო საკონტროლო განყოფილების მიერ შემუშავებული პრაქტიკული წინადადებანი ტრამვაის შემდგომი მუშაობის მოსაწესრიგებლად; ამასთან ერთად პრეზიდიუმმა გამოიმუშავა მთელი რიგი დისციპლინარული სასჯელი, რომელიც გამოყენებულ იქნება ტრამვაის ცალკე მუშაკთა მიმართ მათ მიერ სამსახურში დაშვებული დაუდევრობისა და უყურადღებობისათვის.

ლუდის ახალი ქარხანა

ლუდის ახალი ქარხნის აგების შესახებ განცხადება გააკეთა ამხ. მესხმა. ამ ქარხნის აგების პირვანდელ პროექტში შეტანილ იქნა საკავშირო სახალხო მეურნეობის უმაღლეს საბჭოს სამეცნიერო-ტეხნიკური კომისიის შესწორებანი და ამ შესწორებათა მიხედვით უნდა იქნას გადასინჯული წინედ მიღებული ხარჯთ აღრიცხვა. თბილისის საბჭოს პრეზიდიუმმა ადგილობრივ მრეწველობის განყოფილებას დაავალა გადასინჯოს ლუდის სახდელი ახალი ქარხნის ხარჯთაღრიცხვა სამეცნიერო ტეხნიკური კომისიის შესწორებათა მიხედვით და დახდოს ხელშეკრულება ლითონტრესტთან სათანადო მოწყობილობათა დამზადების შესახებ; ქარხნის აგება აჩქარებული ტემპით უნდა იქნას წარმოებული, რათა იგი დამთავრდეს 17—18 თვის განმავლობაში.

სხდომის დასასრულ დამტკიცებულ იქნა პრეზიდიუმისა და საორგანიზაციო განყოფილების მუშაობის გეგმა უახლოეს თვეებისათვის.

ქრონიკა

ამხ. რიზაევის ჩამოსვლა

თბილისში ჩამოვიდა ნახიჩევანის ს. ს. რესპუბლიკის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარე ამხ. ზ. რიზაევი.

პროფ. კუნიტცის გამგზავრება კახეთში

ამერიკის სამეცნიერო მუშაკთა დელეგაციის წევრი პროფ. კუნიტცი და დელეგაციის მეორე წევრი ჟურნალისტი ხინდუსი გუშინ გაემგზავრნენ კახეთის მაზრაში, სადაც დაჰყოფენ ორ დღეს.

ამერიკული ტურისტების ახალი ჯგუფი

გუშინ თბილისში ჩამოვიდა ამერიკულ ტურისტთა ახალი ჯგუფი 8 კაცის შემადგენლობით.

ჯგუფში უმთავრესად შედიან ამერიკის სხვადასხვა უნივერსიტეტების სტუდენტთა წარმომადგენლები.

გერმანელი ტურისტების ჩამოსვლა

თბილისში ჩამოვიდა გერმანელ ტურისტთა ჯგუფი. ჯგუფში შედის—გერმანელი ჟურნალისტი ქალი—მ. კვიდკო და არქიტექტორი ფრიდრიხ კრეფტერი.

საქართველოდან ჯგუფი მიემგზავრება სპარსეთისაკენ.

ტერიტორიალურ შეკრებაზე გასაწვევ პირთა საყურადღებოდ

ამხ. ფრუნზეს სახელობის მე-2 ქართული მსროლელი დივიზიის სამმართველოს ცვალებადი შემადგენლობა გაწვეულ იქნება სამსახურისათვის, საერთო ტერიტორიალურ შეკრებაზე შემდეგ ვადებში: მეთაურთა შემადგენლობა 17 აგვისტოდან—5 ოქტომბრამდე ჩათვლით, უმცროსი მეთაურები და რიგის წითელარმიელები 31 აგვისტოდან 5 ოქტომბრამდე ჩათვლით.

შესავსებ პუნქტებათ ყველასათვის დაწესებულია დივიზიის შტაბი (ჯორჯიაშვილის ქ. № 10).

ზაჰესის ენერგიაზე გადასვლა

საქართველოს ს. მ. უ. ს. ცნობით, ტყავტრესტის და საპონ-ზეთის ტრესტის ფაბრიკა-ქარხნები უკვე გადაყვანილი არიან ზაჰესის ენერგიაზე. ზაჰესის ენერგიაზე გადაყვანილია აგრეთვე ტრამვაის ყველა წარმოებები.

ამჟამად სწარმოებს მუშაობა თბილისის წყალსადენის ზაჰესის ენერგიაზე გადასაყვანად. ამ მიზნით გერმანიიდან გამოწერილია სათანადო მოწყობილობა, რომელიც მიღებული უნდა იქნეს ამ მოკლე ხანში.

გარდა ამისა სწარმოებს მუშაობა რკინის გზის მთავარ სახელოსნოების ზაჰესის ენერგიაზე გადასაყვანად.

უმიწაწყლო გლეხების მოწყობა

მიწათმოქმედების სახ. კომისარიატი ამჟამად ამუშავებს დასავლეთ საქართველოს უმიწაწყლო გლეხების სოჭის რაიონში გადასახლების საკითხს.

საშემოდგომო თესვის კამპანიის ხელისშემწყობი კომისია

თანახმად საქართველოს სახ. კომისარიატის დადგენილებისა მიწად-მოქმედების სახ. კომისარიატთან დაარსდა საშემოდგომო თესვის კამპანიისათვის ხელის შემწყობი კომისია ამხ. ს. ჟულელის თავმჯდომარეობით.

ადგილკომების თათბირი

15 აგვისტოს, საღამოს სრულ 7 საათზე საქ. პროფსაბჭოს დიდ დარბაზში მოწვეულია საბჭოთა და სავაჭრო მუშაკთა კავშირის ადგილკომების და ქვე-კომისიების თათბირი ქალთა აქტივთან ერთად. დღის წესრიგში სდგას საკითხი მომუშავე ქალთათვის საკავშირო სამსახურის უკეთ გაწევის შესახებ (მომხ. ამხ. ს. თალაქვაძე).

საქ. კურორტებზე

საკურორტო სამმართველოს ცნობით, ბორჯომის, არაზინდოს და აბასთუმნის სანატორიუმებში ამჟამად ყველა ადგილები დაკავებულია და ახალი ავადმყოფები ამ ადგილებში, გაიგზავნებიან მხოლოდ 1 სექტემბრიდან.

ცენტრ. საკატალოგიზაციო ბიურო

საბიბლიოთეკო-საბიბლიოგრაფიო კაბინეტთან დაარსდა ცენტრალური საკატალოგიზაციო ბიურო, რომელშიაც შედიან პოლიტგანათლების, პროფკავშირების და სამხედრო ბიბლიოთეკების მუშაკნი.

ბიუროს მიზანია საკატალოგო ბარათების შედგენა ყველა იმ ახლად გამოცემულ მასიურ ხასიათის ლიტერატურაზე, რომელიც გამოვა თბილისში. ბარათების დაბეჭდვა იკისრა სახელგამმა, რომლის მაღაზიებშიაც წიგნთან ერთად გაიყიდება ბარათიც.

ბიურო მოთავსებულია თბილისში, სკოლის გარეშე განათლების სახლში (ჯორჯიაძის ქ. № 4).

საძოვრების ერთიანი ნიხრი

მიმდინარე წლიდან (ზაფხულიდან) საქართველოში შემოღებულია საძოვრების ექსპლოატაციის ერთიანი ნიხრი, რომელიც ვრცელდება მთელ ამიერ-კავკ. საძოვრებზე.

ვენერიული რაზმი

ჯანმრთელობის სახ. კომისარიატი ახალქალაქის მაზრაში გზავნის მეორე ვენერიულ რაზმს, რომელიც მაზრაში იმუშავებს დაახლოებით ერთი თვე. თბილისიდან რაზმი გაემგზავრება 20 აგვისტოს.

თბილისის ალმასკომში

◆ **ალმასკომის კეთილმოწყობის განყოფილება** შეუდგა ქალაქის პირველი საავადმყოფოს ორი პავილიონის შეკეთებას.

◆ **მუშათა სახლები.** კახეთის და წინანდალის ქუჩების კუთხეში თბილისის ალმასკომი აგებს მუშათა ორ სახლს. ორივე სახლში იქნება 36 ბინა 108 ოთახით. სახლების აგება დაჯდება 350.000 მან.

◆ **საავადმყოფოს შეკეთება.** თბილისის ალმასკომმა დაამთავრა ქალაქის მეორე საავადმყოფოს შეკეთება.

◆ **ქუჩების მოკირწყვლა.** თბილისის ალმასკომის კეთილმოწყობის განყოფილება შეუდგა კახეთის და კომუნალური ქუჩის მოკირწყვლას.

◆ **ქუჩის გაფართოება.** ალმასკომის კეთილმოწყობის განყოფილება ახლო ხანში შეუდგება კომუნალური ქუჩის გაფართოებას. ქუჩა გაფართოებული იქნება თათრის მოედნიდან აბანოს ქუჩამდე.

თამბაქოს ტრესტის დირექტორი ამხ. პევცოვი დაინიშნა სახ. მეურნეობის უმ. საბჭოს თავმჯდომარის მეორე მოადგილეთ.

საქ. წითელ ჯვარში

◆ **პლენუმის მოწვევა.** ახლო მომავალში მოწვეულ იქნება, ქ. ჭრებალოში წითელი ჯვრის, რაჭა-ლეჩხუმის სამაზრო ორგანიზაციების გაერთიანებული პლენუმი.

◆ **საინიციატივო ბიურო.** სვანეთში პირველ საექიმო დახმარების საქმის ორგანიზაციისათვის ქ. მესტიაში დაარსდა საინიციატივო ბიურო.

◆ **საერთაშორისო კომიტეტის ახალი თავმჯდომარე.** წითელი ჯვრის საერთაშორისო კომიტეტის თავმჯდომარეთ არჩეულია პროფ. გუბერტი.

სახ. უნივერსიტეტში

◆ **ვინ არ დაუშვებენ გამოცდებზე.** სახ. უნივერსიტეტში მისაღებ გამოცდებზე არ იქნება დაშვებული 64 მთხოვნელი. აქედან 30 როგორც სოციალურად მიუღებელი ელემენტები, 30 როგორც მცირე წლოვანი და 4 საბუთების წარმოუდგენლობის გამო.

◆ **სახ. გამოცდები.** სამკ. ფაკულტეტზე სახ. გამოცდები დაიწყება ამა წლის 10 ენკენისთვეს.

◆ **რამდენი ჯგუფია გამოცდებზე.** მისაღებ გამოცდებისათვის უკვე ჩამოყალიბდა გამოსაცდელ სტუდენტთა 15 ჯგუფი.

კავშირების ადგილობრივ ორგანოების მუშაობის გასაუმჯობესებლად

მახინჯი მოვლენები წარმოება-დაწესებულებებში აღმოფხვრილი უნდა იქნეს

საქართველოს პროფსაბჭომ ყურადღება მიაქცია ზოგიერთ წარმოებებში აღმოჩენილ მახინჯ მოვლენებს და მიუთითა კავშირებს მიიღონ ზომები მათ აღმოსაფხვრელად. პროფსაბჭო აღნიშნავს, რომ მთელი რიგი ფაქტები ამტკიცებენ იმას, რომ პროფესიონალური კავშირის ორგანოები (საქარხნო და ადგილობრივი კომიტეტები, კავშირების გამგეობები და სხ.) არ აქცევენ სათანადო ყურადღებას თუ რა ხდება წარმოება-დაწესებულებებში. მახინჯი მოვლენების გამოაშკარავება ხდება უმეტეს ნაწილათ მუშკორების, მუშათა და გლეხთა ინსპექციის და სხვა ორგანოების მიერ. კავშირის ორგანოები და განსაკუთრებით საქარხნო და ადგილობრივი კომიტეტები ვერ ამჩნევენ მახინჯ მოვლენებს, არაფერი არ იციან მათ შესახებ, ან თუ იციან გაჩუმებული არიან და ზემდგომ საკავშირო ორგანოს არ აცნობენ.

კავშირის უყურადღებობით აიხსნება ამას წინად გამოქვეყნებული ამბები იმის შესახებ, რომ საფეიქრო და საპონ-ზეთის ტრესტის დირექტორის მოადგილე მურადოვი სხვა ადმინისტრატიულ პერსონალთან ერთად რამოდენიმე წლის განმავლობაში ავიწროებდა მუშა-ქალებს და აიძულებდა მათ სქესობრივ კავშირის დაჭერას. მოწინააღმდეგეთ—ითხოვდენ, ხელფასს უმცირებდენ და გადაჰყავდათ ცუდ სამუშაოზე; მუშებმა იცოდენ ეს ძალდატანება, მაგრამ ხმას ვერ იღებდნენ—დათხოვნის ან შევიწროების შიშით.

მარელისის ავეჯეულობის ქარხანაში ადგილი ჰქონდა წარმოების არა რაციონალურად დაყენებას, ქარხნის ხელმძღვანელების უყაირათო მუშაობას, პროტექციონიზმს, უფლებების ბოროტად გამოყენებას, აქტიურ და კრიტიკის გამწევ პირების დევნას, მოიჯარადრის სასარგებლოთ წარმოების თანხების ხარჯვას და სხვა.

პროფკავშირების ორგანოები და საქარხნო კომიტეტები, როგორც ირკვევა ამ მოვლენებს ყურადღებას არ აქცევდენ და არ ცდილობდენ მათ გამომჟღავნებას. ეს ამტკიცებს, რომ კავშირების ძირითადი ორგანოები ვერ დგანან თავის სიმაღლეზე, არ უწევენ ანგარიშს მუშათა განწყობილებას, და წარმოებაში მასების თვითკრიტიკის ორგანიზატორის და დეფექტების აღმოჩენის ინიციატორის მაგივრად, მაყურებლის როლს ასრულებენ და სისუსტეს იჩენენ სხვადასხვა გადახრების, უმსგავსოების და არანორმალურ მოვლენების წინააღმდეგ ბრძოლაში.

საქ. პროფკავშირების საბჭოს კავშირების ორგანოების ასეთი მუშაობა არანორმალურად მიაჩნია და საკავშირო მასიურ მუშაობის გამრუდებათ სთვლის ამას. ეს ნაკლი უნდა იქნეს გამოსწორებული და კავშირების ორგანოები, დაწყებული საქარხნო და ადგილობრივ კომიტეტებიდან, უნდა ფხიზლათ ადევნებდენ თვალყურს, რომ არც ერთი ცუდი მოვლენა, უმსგავსოება, წარმოების დეფექტი, ადმინისტრაციის მუშაობისადმი არანორმალური მოპყრობა და სხვა არ იქნეს დატოვებული უყურადღებოთ. ყოველი ნაკლი ან უნდა გამოსწორდეს ადგილობრივად, ან თუ ეს შეუძლებელია, ეცნობოს ზემდგომ საკავშირო ორგანოს, წინააღმდეგ შემთხვევაში დამნაშავეებთან ერთად პასუხი მოეთხოვებათ კავშირის ორგანოების მუშაკებს.

მეძაობასთან ბრძოლის ამოცანები

(საუბარი ჯანმრთელობის სახ. კომისარ — ამხ. კუჭაიძესთან)

ჯანმრთელობის სახ. კომისარმა, ამხ. ზ. კუჭაიძემ, რომელიც ამასთანავე თავმჯდომარეობს მეძაობასთან მებრძოლ რესპუბლიკანურ ცენტრალურ საბჭოს, ჩვენს თანამშრომელს პროსტიტუციასთან ბრძოლის ამოცანების შესახებ გადასცა შემდეგი:

— პროსტიტუციასთან მებრძოლ ცენტრალურ საბჭოს მიზნათ აქვს ებრძოლოს ჩვენი სინამდვილის იმ მახინჯ საზოგადოებრივ მოვლენას, რომელსაც მეძაობას ვეძახით. ჩვენ ვიცით, რომ მეძაობა, იგივე პროსტიტუცია—არის ძალიან რთული საზოგადოებრივი მოვლენა, რომელსაც იწვევენ სხვადასხვა სოციალ-ეკონომიური ხასიათის მიზეზები. ამიტომაა, რომ არც ერთი საქმე ისეთ ხათუთ და წინდახედულ მიდგომას არ მოითხოვს, როგორც პროსტიტუციასთან ბრძოლა.

პროლეტარულ სახელმწიფოში დაუშვებელია, რომ მეძაობას შევებრძოლოთ მარტო ადმინისტრატიული ზომებით. ეს მხოლოდ კაპიტალისტურ სახელმწიფოებში ხდება და ხდებოდა თვითმპყრობელობის დროს ჩვენშიაც, მაგრამ არასოდეს ასეთ ზეგავლენას დადებითი შედეგები არ მოყოლია. ჩვენ უპირველეს მიზანს შეადგენს მოვსპოთ ის პირობები, რომლის ნიადაგზეც ვითარდება პროსტიტუცია, ე. ი. საჭიროა განვათავისუფლოთ ქალი ეკონომიურ, კულტურულ და ოჯახურ სიბეჩავისაგან.

მეძაობასთან მებრძოლმა საბჭომ უკვე დაამუშავა პროსტიტუციასთან ბრძოლის გეგმა, რომლითაც გათვალისწინებულია სასტიკი ბრძოლა გამოეცხადოს იმ პირებს, რომლებიც ხელს უწყობენ პროსტიტუციის განვითარებას, აწყობენ სხვადასხვა ხასიათის გარყვნილების ბუდეებს, პრიტონებს, ეწევიან მეძავ ქალთა შორის მაჭანკლობას და შუამავლობას, აწყობენ ე. წ. შეხვედრ ადგილებს სასტუმროებში, ყავახანებში და სხვა.

როგორც უკვე ნათქვამიდან სჩანს, პროსტიტუციასთან ბრძოლის საქმეში ჩვენ მოგვიხდება მრავალმხრივად გავშალოთ ჩვენი საქმიანობა. ამიტომ გასაგებია, რომ ამ საქმეში ჩვენ დაგვჭირდება ფართო საზოგადოებრიობის დახმარება და ხელისშეწყობა. მეძაობასთან მებრძოლ საბჭოში შეყვანილი არიან მრავალ ორგანიზაციათა და დაწესებულებათა წარმომადგენლები, როგორც მაგალითად, ქალთა ორგანიზაციებიდან, პროფკავშირებიდან, მილიციიდან და სხ. საჭირო არის, რომ ეს ბრძოლა გაშლილ იქნეს მთელი საბჭოთა საზოგადოებრიობის მასშტაბით.

უდიდესი ამოცანები ეკისრება მილიციას, მან უნდა აღმოაჩინოს ყველა ის ადგილები, სადაც არსებობენ გარყვნილების ბუდეები და სასტიკი ზომები უნდა მიიღონ იმ პირთა წინააღმდეგ, ვინც ეწევა ქალის სხეულით ვაჭრობას. სისტემატიურად უნდა მოახდინონ—სასტუმროების, ყავახანების, ე. წ: საზოგადო-სააბაზანო აბანოების და სხვა მსგავს დაწესებულებათა გამოკვლევები. დაუშვებლათაა ცნობილი, რომ შემთხვევის დროს მილიციამ რაიმე ძალადობას მიმართოს თვით მეძავე ქალის, ან მისი პაციენტის წინააღმდეგ. ეს უკანასკნელნი საქმეში დასახელებულ უნდა იქნენ მხოლოდ მოწმეებათ, მათი შუამავლის წინააღმდეგ. საბჭომ, ამასთანავე შუამდგომლობა აღძრა ცაკის წინაშე, რომ სის. სამ. კოდექსს დაემატოს ახალი მუხლი, რომლითაც გათვალისწინებულია სასჯელი ქალის სხეულით ვაჭრობის მოწყობათათვის.

გარდა ზემოთ ჩამოთვლილი ზომებისა, საბჭოს ინიციატივით უკვე დაწყებულია სამზადისი თბილისში პროფილაქტორიუმის მოსაწყობათ. პროფილაქტორიუმი არის ახალი, დისპანსერული ხასიათის დაწესებულება, სადაც პროსტიტუციის გზაზე დამდგარ ქალებს შეასწავლიან საზოგადოებრივად სასარგებლო ხელობას (ყუთების კეთება, პაკეტების დამზადება, კერვა-ჭრა და სხ.) და ამასთანავე აღმოუჩენენ საჭირო სამკურნალო დახმარებასაც. ყოველმა ასეთმა ქალმა პროფილაქტორიუმში უნდა დაყოს ექვსი თვე. რის შემდეგაც ისინი გაიგზავნებიან წარმოებებში მუდმივ სამუშაოზე. პროფილაქტორიუმში მყოფ ქალებს მიეცემათ საარსებოთ საჭირო გასამრჯელოც. თბილისში პროფილაქტორიუმის დასაარსებლად საჭირო არის 50.000 მან., რომლის ნაწილიც უკვე გამოძებნილია, ისე რომ ამ მხრივ მუშაობას არაფერი აბრკოლებს და იგი, ახლო მომავალში იქნება დაწყებული.

მოსკოვის მაგალითიდან ვიცით, რომ პროფილაქტორიუმის გახსნას დიდი სარგებლობის მოტანა შეუძლია. ყველა ის ქალი, რომელიც იძულებული გახდა ეკონომიური მიზეზებით დასდგომოდა პროსტიტუციის გზას, სიამოვნებით დაუბრუნდება პატიოსან შრომას.

რიგი დამამზადებელ ორგანოებზეა

(წერილი გორიდან)

გორის მაზრაში მოსახლეობის უმეტესი ნაწილი მისდევს მეხილეობას, რომელსაც გლეხის ბიუჯეტის განმტკიცებაში საპატიო ადგილი უჭირავს და წარმოადგენს არსებობის ძირითად წყაროს.

მიუხედავად იმისა, რომ წარსულში ამ დარგს ნაკლები ყურადღება ქონდა მიქცეული, როგორც მოვლის, ისე წამლობის მხრით, ხეხილის ბაღების სივრცე, მაინც ყოველწლიურ მატულობდა და მატულობს ამჟამადაც, მაგრამ მას ანადგურებს სხვადასხვა მავნებლები, როგორიცაა: კოკრის ჭამია, ნაყოფის ჭამია, ჩრჩილი და სხვა; დიდ ზიანს აყენებდა აგრეთვე ხეხილს სხვადასხვა სოკოს ავადმყოფობანი.

მიმდინარე წელს მაზრის ხელისუფლებამ ამ საკითხის მოსაგვარებლად გადადგა სათანადო ნაბიჯი და ხილის დამამზადებელ ორგანიზაციების საშუალებით ჩაატარა ხეხილის ბაღების მასიური წამლობა.

ჩვენ განზრახული გვქონდა დაახლოებით 1000 დეს. შეწამვლა, მაგრამ როდესაც მუშაობას შეუდექით, სინამდვილეში აღმოჩნდა 3.000 დესეტინამდე, რომლის შეუწამლავათ დატოვება მიზანშეუწონილი იყო და ჩვენც საქმე ბოლომდე მივიყვანეთ.

აღსანიშნავია ის გარემოება, რომ რაიონები, სადაც წამლობა არ ჩაგვიტარებია. მაგალითად ძეგვის, კავთის-ხევის, წითელ ქალაქის და ატენის, ბაღების სივრცის სიმცირის და საშუალებების ნაკლოვანებების გამო. განადგურებულია ნაყოფის ჭამიის, ჩრჩილის, სხვა მავნებლების და სოკოს ავადმყოფობის მიერ. ამ რაიონებში კი სადაც წამლობა ჩატარდა. ხეხილის ბაღები სალად გამოიყურებიან; მშვენივრად აქვთ შერჩენილი, როგორც ფოთოლი, ისე ნაყოფი.

ბაღების შეწამვლაზე პირველ ხანებში გლეხობა უარს ამბობდა და არ ფიქრობდა ბაღებში ჩვენი ხელმძღვანელების მუშაობაზე დაშვებას. ამას ხელს უწყობდა ჩუმი პროპაგანდა ძველი მეხილე ვაჭრების, რომლებიც ცდილობდენ ჩაეშალათ ამ ოპერაციის ჩატარება და აშინებდნენ გლეხობას სხვადასხვა ჭორებით. მაგრამ ბევრი ახსნა-განმარტების და რჩევა-დარიგების საშუალებით ჩვენ დავარწმუნეთ გლეხობა შეწამვლის უპირატესობაში და დღეს ისინი დარწმუნებული შეწამვლის საუკეთესო შედეგებით, სიხარულით გვეგებება და გვთხოვს არ მოვაკლოთ მათ ჩვენი ყურადღება მომავალში.

გარდა ზემო-აღნიშნულ გარემოებისა, მასიურ წამლობას წინ ელობებოდა შემდეგი დაბრკოლებანი: 1. თანხების გადადება-მოწოდება დაგვიანდა; 2, მუშაობაა დაიწყო გვიან უამინდობისა გამო; 3. ხეხილის ტანის გასაფხეკი, „ავტომაქსები" და „პომონების" აპარატები მოწოდებულ იქნა დაგვიანებით; მასთან ერთად ტრემასის ავტომაქსები და ვერმორელის აპარატები მუშაობაში ვერ აღმოჩნდნენ გამძლე, რისთვისაც საჭიროებდა ხშირ შეკეთებას.

4. ხეხილის შესაწამლავ სპეციალურ აპარატების ნაკლებობის გამო იძულებული ვიყავით გვეხმარა ნაწილობრივ ვერ-მორელის აპარატები ლერწმის მილებზე მოწყობილი.

5. ტეხნიკურ ხელმძღვანელობის წინასწარ მოუმზადებლობა და ბოლოს თვით აპარატზე მომუშავე ამხანაგების გაუცნობლობა წამლობისათვის. წამლობა ყველა რაიონებში მიმდინარეობდა ერთ და იმავე დროს და ყველა ზემოთ აღნიშნული დაბრკოლებანი დაძლეულია.

დღეს ყველა ნათლად ხედავს, თუ რა შედეგი მოგვცა მასიურ წამლობამ მეხილეობის რაიონებში. წამლობამ აშკარად დაანახა გლეხს, რომ მავნებლებისაგან მისი ბაღების გადარჩენა მარტო წამლობას შეუძლია. მხოლოდ შეწამლული და მოვლილი ხეხილი მისცემს გლეხს სუფთა და კარგი ხარისხის ხილს, გაახანგრძლივებს მცენარის სიცოცხლეს და მოამატებინებს მსხმოიარობას.

წამლობის ჩატარებაზე პასუხის მგებელი იყო მიწსახკომის წარმომადგენელნი, რომელთაც პირნათლად შეასრულეს თავიანთ თავზე დაკისრებული მოვალეობანი. მათთან ერთად წამლობის ნაყოფიერად ჩატარებაში მხურვალე მონაწილეობას ღებულობენ რაიონის აგრონომები და დროებით მოწვეული აგრონომ-ინსტრუქტორები.

მასიურ წამლობის დამთავრების შემდეგ მიწსახკომის და მაზრის ალმასკომის ინიციატივით შესდგა სპეციალური კომისია ჩატარებულ მუშაობის შესამოწმებლად და შედეგების გამოსაკვლევად. კომისიამ სცნო ჩატარებული მუშაობა და მიღებული შედეგები ფრიად დამაკმაყოფილებლად; შეწამლული ხეხილის ბაღები გამოიყურებიან სალად, მთავარი მავნებლები; ჩრჩილი, ნაყოფის კოკრის ჭამია და სხვა მოსპობილია. შეუწამლავი რაიონები: წითელ ქალაქის, ატენის, ძეგვის და სხვა ჩრჩილის აბლაბუდაში გახვეული; სხვა მავნებლების მიერ მიყენებული ზიანი იმდენად დიდია, რომ ხეხილის ბაღები არამც თუ წელს, არამედ მომავალ წლებშიაც იქნებიან განადგურებული და თუ ამ რაიონებშიც მომავლიდან არ იქნა შემოღებული მასიური წამლობა უნდა ვიფიქროთ, რომ ხეხილის ბაღებს მოსპობა მოელით.

ამრიგათ მუშაობის პირველი ტემპი შესრულებულია: ახლა რიგი დამამზადებელ ორგანიზაციების უნარიანობაზეა. არის ბაღები რომლებიც ჯერ კიდევ არ არიან დაბევებულნი ორგანიზაციების მიერ, თუმცა ამ ბაღების შეწამვლა ჩატარებულია მათ ხარჯზე. იმედია ამ ბაღებსაც დამამზადებელი ორგანოები (ამიერ-კავკასიის, საქართველოს და თბილისის ვაჭრობა), არ ჩაუგდებენ ხელში კერძო ვაჭრებს და თვითონვე ისარგებლებენ თავისი ამაგით.

ამასთან ერთად აუცილებელ და გადაუდებელ საჭიროებას წარმოადგენს, რათა აღნიშნული ორგანიზაციები შემოდგომიდანვე შეუდგენ ბაღების შესაწამლავათ საჭირო თანხების გაღებას, რომ მომავალი წლისათვის მეტი და უკეთესი ხარისხის ხილი მივიღოთ ჩვენი ბაღებიდან საექსპორტოთ.

მეხილეობის განვითარებისათვის მაზრაში არის ხელ-შემწყობი ბუნებრივი კლიმატიური და ეკონომიური პირობები. ამისათვის დროა ცენტრალურმა ორგანიზაციებმა კიდევ უფრო მეტად იზრუნონ მეურნეობის ამ დარგის აღორძინებისათვის.

ლ. გოგოლაძე.

აგარაკი წყალტუბო

(წერილი წყალტუბოდან)



სასტუმროს ახალი შენობა წყალტუბოში

თანდათან პოპულიარული ხდება ეს აგარაკი, ვინ არ ეტანება მას. განსაკუთრებით წელს ბევრი ხალხი აწყდება წყალტუბოს და ეს არც გასაკვირია:

„ზაკავტოპრომტორგის" ქუთაისის განყოფილების მიერ საავტომობილო მიმოსვლა სათანადოთ მოწესრიგებულია, კურორტი პურით და იაფი სანოვაგით უზრუნველყოფილია, ბინები მრავლადაა და სუფთა, საექიმო დახმარება საჭირო სიმაღლეზე, ჟურნალ-გაზეთების მიწოდება კარგადაა, მდებარეობა ჭაობებისაგან გაწმენდილი და გამშრალი,—ასეთ პირობებში, ცხადია, კურორტზე ყოფნა ყველასათვის ხელმისაწვდომიცაა და სასიამოვნოც.

დღემდე ზაფხულის თვეებში მცირდებოდა ხოლმე მოაგარაკეთა რიცხვი, რადგან მალარიის ეშინოდათ. დღეს ეს საქმეც მოწესრიგებულია: კოღო აქ აღარაა, რადგან აღარაა ჭაობები და, მაშასადამე, მალარიიდანაც უზრუნველყოფილი არიან მოაგარაკენი. ამიტომ წელს აღარ ითქმის გაზაფხულ-შემოდგომის სეზონი, უკვე მთელი წლობით შეიძლება აწი აქ სეზონის განსაზღვრა.

აღარც ჟერის ქვეშ ღამის თევას აქვს ადგილი, როგორც წინა წლებში, რადგან აგარაკი მომარაგებულია სუფთა და კარგი ბინებით, რომლებიც, შედარებით, იაფია. ახალი სასტუმრო 200 კაცისათვის საკმაოდ კაპიტალური შენობაა. მოწყობის მხრივ წყალტუბომ ბევრი სხვა აგარაკი გაუსწრო წინ და ამის მიზეზიცაა, რომ შედარებით სხვა აგარაკებთან, წელს აქ ყველაზე მეტია მოაგარაკენი.

არის მხოლოდ ერთი უხერხულება:—დღემდე კურორტს არა აქვს წყალი, არაა კანალიზაცია. კურორტთა სამმართველომ ამ გარემოებას სათანადო ყურადღება უნდა მიაქციოს და ეს მოუგვარებელი საქმე, საჩქაროდ უნდა მოაგვაროს. წყალსადენის გაყვანა არც დიდ დროს მოითხოვს და არც დიდ ხარჯებს, მხედველობაში თუ იმ დახმარებასაც მივიღებთ, რომელსაც სამმართველოს ქუთაისის სამაზრო ალმასკომი პირდება წყალსადენისათვის. ასეთ პირობებში საკურორტო სამმართველოს სულ ახლო ხანში შეუძლია ამ დიდათ საჭირო საქმის მოგვარება და მოწესრიგება.

დღეს უკვე კურორტი იმდენად მოწესრიგებულია, რომ იგი ახლო - მახლო სოფელ-ქალაქებს დასასვენებელ ადგილად აქვს მიჩნეული და ყოველ კვირა-უქმე დღეებში აუარებელი ექსკურსანტი და სხვა გარეშე საზოგადოება აწყდება მას.

ოდნავ გაუგებრობას იწვევს ის გარემოებაც, რომ აქ დასასვენებელი სახლი აქვს დამზღვევ სალაროს, რომელიც საკურორტო მმართველობას არ ექვემდებარება. ეს გარემოება კი დასასვენებლად წამოსულ მუშებს ხელს უშლის, რადგან ფაქტიურად ამ სახლში დასასვენებლად არავინ არ მოდის, ყველა საექიმოთ მოემართება, რომელთაც ხშირად მოვლა ესაჭიროება, ხოლო დასასვენებლი სახლი კი, როგორც ასეთი, ყველა ამ მოვლელ პირობებს მოკლებულია. გაუგებრობათ მიგვაჩნია ამ სახლის დასასვენებელ სახლად წოდება, იქ უფრო სანატორიუმი უნდა იყოს, რომელიც დაემორჩილება საკურორტო რეჟიმს და, მაშასადამე, პირობებიც საერთო ექნება. დღეს ეს ასე არაა, რაც მრავალ გაუგებრობას იწვევს და ყველა ამ გაუგებრობათა თავიდან ასაცილებლად ჩვენ ვფიქრობთ, საჭიროა დამზღვევი სალარო შესცვლიდეს როგორც ამ სახლის სახელწოდებას, ისე მის დანიშნულებას, რეჟიმს და, თუ გნებავთ, საპატრონოთაც კურორტს გადასცემდეს მას. ვფიქრობთ ეს უფრო მიზანშეწონილიც იქნება.

იგივე.

ალაზანზე ახალი ხიდის აგების საჭიროება

სიღნაღის და თელავის მაზრების გაერთიანებასთან დაკავშირებით ჩვენს წინაშე იჭრება საკითხი მდ. ალაზანზე,—სოფ. ველისციხის ბოლოს, ახალ ხიდის აგების აუცილებლობის შესახებ. აღნიშნული ხიდი მოგვცემს შესაძლებლობას ნორმალურ და უმოკლეს მიმოსვლის დასამყარებლად ალაზნის გაღმა მდებარე მსხვილ სოფლებსა და კახეთის რკინის გზას შორის (სად. მუკუზანი).

დაწყებული მარტიდან თვით ივნისამდე—3—4 თვის განმავლობაში—წყალდიდობის გამო 20 სოფელზე მეტი თითქმის 70 ათას სულამდე საშუალებას მოკლებულია ისარგებლოს მოკლე სამიმოსვლო გზით კახ. რკინის გზ. სადგ. მუკუზანამდე და სოფ. ველისციხის, გურჯაანის, ყვარელის და ახალსოფლის მსხვილ ბაზრობით. ყოველწლიურად წყალდიდობის დროს ალაზანი მსხვერპლად იტაცებს როგორც ხალხს, ისე მუშა-საქონელს, სოფლის მეურნეობის სხვადასხვა ნაწარმოებს (ღვინო, არაყი, მატყლი, სიმინდი, ხორბალი და სხვა); აგრეთვე კოოპერატიულ საქონელს, სატრანსპორტო საშუალებებს და სხვ.

წყალდიდობის გამო 15—20 ვერსის ნაცვლად ხშირად საჭირო ხდება 35—65 ვერსით შემოვლა, ე. ი. იმის მაგივრად, რომ ისარგებლოთ 15—20 ვერსით დაშორებულ სადგ მუკუზანით. საჭირო ხდება 35—65 ვერსის გავლა თელავში ჩასასვლელად, რაც იწვევს ზედმეტ ხარჯებს და დროის დაკარგვას.

ახალ ხიდით ისარგებლებს 23 სოფელი, რომელთა მოსახლეობა უდრის არა ნაკლებ 70.000 სულს.

აღნიშნული ხიდი შეაერთებს ავარო-კახეთის გზას (რომელიც სტრატეგიულ მოსაზრებათა გამო გაყვანილ იქნა მსოფლიო ომის დაწყებამდე) კახეთის რკინის ხაზთან.

ამ ხიდით სად. მუკუზანამდე 15-20 ვერსის მანძილზე ათი ათასი ფუთობით გამოიზიდება მატყლი, ყველი, ერბო, ღვინო, არაყი, ხორბალი, სიმინდი, ტყავეულობა, ბეწვეული, დაღესტნის შალეულობა და ნაბდები, შეშა, ხე-ტყის მასალა, საზამთრო, ნესვი, კიტრი და სხვა. წყალდიდობის დროს კი ყველა ეს დიდის გაჭირვებით იზიდება სადგ. თელავში 35—65 ვერსის მანძილით.

აღნიშნული ხიდივე ხელს შეუწყობს ძველ გავაზის, ყვარელის და შილდის რაიონებში სამთო სიმდიდრეთა (სათუთიერო ფიქალი ფლორიდინი, სხვადასხვა საღებავები, ქვანახშირი, ხაპილენძი, ვერცხლი და სხვა) დამუშავებას.

საჭიროა აღინიშნოს, რომ ეს ხიდი კახეთის ახალ ცენტრს—გურჯაანს შეაერთებს ალაზნის გაღმა მდებარე მხარესთან უმოკლესი ხაზით, ვინაიდან ორ არსებულ —შაქრიანის და წნორის წყლის ხიდებ შორის გზატკეცილით დაახლოვებითი მანძილი არის 115 ვერსამდე. ახალ ხიდის ადგილი კი თითქმის შუაზე მდებარეობს და გურჯაანის გასწვრივ.

ჯერ კიდევ 20 წლით ადრე კახეთის გლეხობა ოცნებობდა ამ ხიდის აგებაზე და არა ერთხელ აღძრულა შუამდგომლობა მაშინდელ მთავრობის წინაშე ხიდის ასაგებად აღნიშნულ ადგილზე. მაგრამ, როგორც ვიცით, მეფის მთავრობა ანგარიშს არ უწევდა მოსახლეობის მდგომარეობას და მოთხოვნილებას და მის ნაცვლად აშენებდა სტრატეგიულ მნიშვნელობის გზებს და ხიდებს. რის გამო კახელ გლეხობის შუამდგომლობა რჩებოდა დაუკმაყოფილებელი.

მენშევიკურ მთავრობის დროსაც აღძრული იყო შუამდგომლობა ალაზანზე სოფ. ველისციხის ბოლოს ხიდის აგების შესახებ, მაგრამ ეს შუამდგომლობაც უშედეგოდ დარჩა.

საქართველოს საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ, 1924 წელს თელავისა და სიღნაღის მაზრების 18 სოფლის საერთო კრებაზე ერთხმად გამოიტანეს დადგენილება. რომელიც მიაქცევდა ხელისუფლების ყურადღებას ალაზანზე ახალ ხიდის აგების აუცილებლობას და რომლითაც ითხოვდენ მატერიალურ დახმარების აღმოჩენას, ტეხნიკურ ძალების მიშველებას ხელმძღვანელობის გასაწევად, ხოლო თვით გლეხობა მზად იყო გაეღო შრომის ბეგარა, სატრანსპორტო საშუალებანი, აგრეთვე გაეღო სახსრები თვითდაბეგვრის წესით.

ამ სტრიქონის ავტორის თაოსნობით შესდგა აღნიშნულ ხიდის ამგები მთავარი კომიტეტი—სოფ. ველისციხეში მოთავსებით. ყველა დაინტერესებულ სოფლებში დაარსებულ იქნა დახმარების აღმომჩენი უჯრედები, რომელნიც აწარმოებდნენ სახსრების ნებაყოფლობით შეგროვებას, საღამო-წარმოდგენების გამართვას და სხვა.

დაარსების პირველ თვეებში კომიტეტი მოქმედებდა დიდის ენერგიით, მოწვეულ იქნა ინჟ. ბარტი ყამისის დეტალურ გამოსაკვლევად და ახლად ასაგებ ხიდისთვის ადგილის ამოსარჩევად. აგრეთვე რკინა-ბეტონის ხიდის პროექტის და ხარჯთ-აღრიცხვის შესადგენად, რაც მის მიერ შესრულებულ იქნა სამი თვის განმავლობაში. პროექტი და ხარჯთ-აღრიცხვა საქ. ს. მ. უ. საბჭოს მეშვეობით წარედგინა განსახილველად და დასამტკიცებლად საქ. ეკონომიურ საბჭოსთან არსებულ ტეხნიკურ კომიტეტს.

1924 წლის დეკემბერში საქ. სახკომსაბჭომ მიზანშეწონილად სცნო აღნიშნულ ხიდის აგება და გამოყო სპეციალური კომისია ამხ. ჯულელისა, მათიკაშვილის და სალარიძის შემადგენლობით, რომელსაც ევალებოდა სახსრების გამოძებნა და მუშაობის დაწყება.

ახალ ხიდის ამგებ მთავარ კომიტეტის შეფის—ს. ქ. პ. ც. კ. ყოფ. მდივნის ამხ. ლომინაძის დახმარებით ს. მ. უ. საბჭოს მეშვეობით მიღებულ იქნა 200 კასრი [illegible]; ა.-კ. რკ. გზ. გამგეობამ უნდა მოეცა 60 ცალი [illegible]; სად. თელავიდან ხიდის აგების ადგილზე გადმოზიდულ იქნა რკინის ხიდის ნაწილები; დაწყებულ იქნა მუშებისათვის დროებით საცხოვრებელი ბინების აგება. სამწუხაროდ, ამზე შეჩერდა ასე კარგად დაწყებული ხიდის მშენებლობის საქმე.

ერთ-ერთი მთავარი ხელშემშლელი მიზეზთაგანი იყო თელავის მაზრის უარყოფითი დამოკიდებულება აღნიშნულ ხიდის აგებისადმი, ვინაიდან უკანასკნელი შიშობდა, რომ ალაზნის გაღმა მდებარე სოფლები ხიდის აგების შემდეგ ეკონომიურად ჩამოშორდებოდნენ თელავის მაზრას და დაუკავშირდებოდნენ სიღნაღის მაზრას, რაც ასეც მოხდებოდა.

ამასთან დაკავშირებით თელავის მაზრა სვამდა საკითხს სოფ. ველისციხის და სადგ. მუკუზანის თელავის მაზრასთან შემოერთებას, რაზედაც სიღნაღის მაზრა უარს აცხადებდა.

საბედნიეროდ, ეს ერთი მთავარი დაბრკოლებათაგანი ბუნებრივად თავიდან აცილებულია და უნდა ვიფიქროთ, რომ ალაზანზე ახალი ხიდის აგება გადაუდებელ ამოცანად გადაიქცევა.

ზ. სილიკაშვილი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ხელოვნება

სამზადისი ოპერის მომავალი სეზონისათვის

სახელმწიფო ოპერის დირექტორის მოადგილემ ამხ. ა. ხოფერიამ ჩვენს თანამშრომელს აცნობა:

მოსამზადებელი მუშაობა ოპერის მომავალ სეზონისათვის გაცხოველებით მიმდინარეობს. დადებულია ხელშეკრულება მთელ რიგ მომღერლებთან და გუნდთან; დაწყებულია მოლაპარაკება ორკესტრთან. ამავე დროს სწარმოებს ოპერების მომზადებაც.

წელს ოპერაში იქნება ორი გუნდი. ერთი—რომელშიაც შევა 33 კაცი. ძველი გუნდიდან და მეორე—ახალი გუნდი, რომელშიაც მოწვეულია კონსერვატორიის მოწაფეები და ნოტების მცოდნე ახალგაზრდები. რიცხვით 16 კაცი. ახალმა გუნდმა უკვე დაიწყო მუშაობა, ძველი მუშაობას შეუდგება პირველ სექტემბრიდან. გუნდების ხელმძღვანელობა დაკისრებული აქვს ბელსკის. ახალი გუნდი ამჟამად ამზადებს ქართულ ოპერებს, „აიდა“-ს, „კარმენს“ და სხვა ოპერებს. წელს ოპერები დაიდგმება გაძლიერებული გუნდით.

ორკესტრში მოწვეული იქნება 42 კაცი. დირიჟორებად, როგორც წინეთაც იყო გამოცხადებული, მოწვეული არიან მოსკოვის დიდი თეატრის დირიჟორი პაზოვსკი და ი. ფალიაშვილი.

მომავალ სეზონში ოპერაში სტაჟიორებათ დაშვებული იქნებიან ჯამაგირზე 5—6 ახალგაზრდა მომღერალი (კონსერვატორიის კურს დამთავრებულები) და 3—4 კონცერტმეისტერი.

ადგილობრივი ძალებიდან ჯერ ჯერობით მოწვეულნი არიან ხ. ინაშვილი, ვ. ქაშაკაშვილი, ს. დოლიძე, ლ. კავსაძე, ახალგაზრდობიდან—შავერდოვი, სვანიძე, ოჟარენკო, შაპოშნიკოვი, ა. ხოფერია, ვლადისლავსკაია, მაზოვეცკაია, მრავალი და სხვები.

ბანებიდან მუდმივად იმღერებენ ისეცკი და ნიკოლსკი. ბალეტში მოწვეული არიან გვარამაძე, სეიმიონოვა, ქუონია, ბარხუდაროვი და დიმიტრიევი; ამას გარდა 10 მოცეკვავე მოწვეული იქნება მოსკოვიდან და ლენინგრადიდან. ბალეტმეისტერად მოწვეულია მოსკოვიდან ბალანჩივი.

დაწყებულია მუშაობა ოპერების მოსამზადე-

დაწყებულია მუშაობა ოპერების მოსამზადებლად. სეზონი გაიხსნება „აბესალომ და ეთერი“-თ. მზადდება ოპერა „ტურანდოტი“ (რომელიც ჯერ არ დადგმულა თბილისში) ნ. ბოგოლიუბოვის დადგმით; დაწყებულია მუშაობა კომპოზიტორ ქ. მელვინეთ-უხუცესის ახალი ქართული ოპერა „ამირანი“-ს მოსამზადებლად, რომელსაც დადგამს რეჟისორი ქ. მარჯანიშვილი. ოპერა წავა დაახლოვებით ნოემბერში, ამას გარდა ახალი ქართული ოპერებიდან დაიდგმება ვ. დოლიძის „ცისანა“, აღდგენილი იქნება დ. არაყიშვილის „თქმულება შოთა რუსთაველზე“ (ოპერა ავტორის მიერ გადაკეთებულია 4 მოქმედებად) და სხვა. „ცისანა“-ს სდგამს რეჟ. ა. წუწუნავა, „თქმულება“-ს—ალ. ახმეტელი.

ამას გარდა რეპერტუარში შეტანილია რამოდენიმე ახალი ოპერა და კლასიკური ოპერეტა.

თბილისის მუშათა თეატრი

ხელოვნების მუშაკთა კავშირის ცენტრალურ გამგეობის სხდომაზე მოსმენილ იქნა მოხსენება თბილისის მუშათა თეატრის შესახებ.

მოხსენებიდან გამოირკვა, რომ თეატრის ორგანიზაცია დაიწყო აპრილიდან. პირველ აგვისტოდან მოწვეულია ჯამაგირზე თეატრის ხელმძღვანელი ვლ. შვეიცერი (პესიმისტი), რეჟ. ტატიშჩევი და ადმინისტრატიულ-ტეხნიკური პერსონალი. გადაწყვეტილია მთელი საქმე გადაეცეს ერთ პასუხისმგებელ პირს, რომელიც გაუძღვება როგორც ფინანსიურ, ისე საერთო მუშაობას და პასუხისმგებელი იქნება პოლიტგანათლების მთავარ მმართველობის წინაშე.

თეატრთან მოეწყობა სამხატვრო საბჭო, რომელშიაც შევლენ კავშირების, პოლიტგანის და თეატრის ძირითად კადრების წარმომადგენლები. თეატრს დოტაციას მისცემს ქალაქის აღმასკომი 37.000 მანეთის რაოდენობით (შარშან ეძლეოდა 35.000 მანეთი).

კავშირის ცენტრალურ გამგეობასთან შეთანხმებით თეატრი წელს გამართავს 45 წარმოდგენას სპეციალურად კავშირებისა და ცალკე ორგანიზაციებისათვის. მხედველობაში მიიღო რა აღნიშნული გარემოება და აგრეთვე ის, რომ თეატრში შემოღებული იქნება მუშათა ზოლი, თეატრის ადმინისტრაციამ წელს უარი სთქვა საბონიმენტო სისტემაზე.

თეატრში ადგილების გასადიდებლად გამოყოფილი იყო ტეხნიკური კომისია, რომლის დასკვნის თანახმად ადგილების გადიდება შესაძლებელი იქნება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თ. ი. გადაკეთებული იქნება თეატრის შენობა. თეატრთან მოეწყობა სტუდია. მსახიობთა უმაღლეს განაკვეთად დაწესებულია—475 500 მანეთი, საშუალო—170 მან. დაბალი 70—80 მანეთი.

კავშირმა თეატრის მიერ ჩატარებული მოსამზადებელი მუშაობა დამაკმაყოფილებლად სცნო. ამავე დროს ცენტრალურმა გამგეობამ აღნიშნა, რომ სტუდიის მოწყობა თეატრთან დასაშვებია მხოლოდ შემდეგ აუცილებელ პირობებში: თუ თეატრს ეყოლება აქტიორთა მტკიცე შტატი, არა ნაკლებ 40 კაცისა. თუ წინასწარ იქნება გამომუშავებული სტუდიის სამოსწავლო გეგმა. სტუდიის მსმენელთა რიცხვი არ უნდა აღემატებოდეს 25—30 კაცს. სტუდიის ხარჯთაღრიცხვა არ უნდა იყოს 400—500 მანეთზე მეტი თვიურად. სამოსწავლო წელი არ უნდა იყოს რვა თვეზე ნაკლები. სწავლების დრო სტუდიაში განსაზღვრული უნდა იქნეს სამი წლით.

ხელოვნების ქრონიკა

თბილისის სატირის თეატრის გასტროლები

ახლად დაარსებული თბილისის სატირის თეატრი, რომელიც მუშაობს რეჟისორ ნ. კახიძის ხელმძღვანელობით, ივლისის პირველ რიცხვებში გაემგზავრა საგასტროლოდ დასავლეთ საქართველოში.

თეატრის პირველი გასტროლი შესდგა ქ. გორში. შემდეგ თეატრმა გამართა წარმოდგენები ხაშურში, ზესტაფონში, ჭიათურაში, საჩხერეში, ქუთაისში, აბაშაში, ფოთში, ბათომში.

თეატრს თან დააქვს საკუთარი დეკორაციები და კოსტიუმები.

დასავლეთ საქართველოს შემდეგ, თეატრი გამართავს გასტროლებს აღმოსავლეთ საქართველოს დაბა-ქალაქებში, გასტროლების უკანასკნელ პუნქტად დასახულია ბაქო, რის შემდეგაც თეატრი დაბრუნდება თბილისში და შეუდგება მუშაობას.

დღეს მუშათა კლუბებში

- ახალ მუშათა კლუბში. სიმფონიური კონცერტი დირიჟ. ხესინის ხელმძღვანელობით.
- მედსანშრომის კლუბში. მსახიობ არმენიანის ხელმძღვანელობით დაიდგმება პიესა „ყაჩაღები“.
- ცენტრ. მუშათა კლუბში. ვერა მაის სახელობის ცეკვისა და ხელოვნების საღამო.
- საბჭოთა და სავაჭ. მუშაკთა კლუბში. ჭიათურის მუშათა სატირის გასტროლები.
- აღმშ. მუშათა კლუბში. საღამო-კონცერტი.

დღეს კინოებში

- განთიადში—„დიდ ქალაქში“.
- ეთერში—„მიმავალი აჩრდილები“.
- პალასში—„ვინ არის დამნაშავე“.
- პროლეტარში—„რობინზონ კრუზო“.

შორეული ექსკურსიები

საქართველოს პროფსაბჭოს კულტგანყოფილებას გადაწყვეტილი აქვს მოაწყოს შორეული ექსკურსიები შემდეგი მარშრუტებით:

პირველი: თბილისი-ბაქო-ცარიცინი—შემდეგ მდინარე ვოლგით ნიჟნი-ნოვგოროდამდე — მოსკოვი-როსტოვი-ბაქო-თბილისი.

ექსკურსიაში მონაწილეობას მიიღებს 30 კაცი. სამგზავრო გადასახადი (კვების გარდა) 70 მან., გამგზავრება თბილისიდან აგვისტოს 25-ს, ექსკურსია გასტანს 1 თვეს.

მეორე: თბილისი—საქართველოს სამხედრო გზით კავკავამდე—პროხლადნაია-როსტოვი-მოსკოვი-ლენინგრადი-ბაქო-თბილისი. ექსკურსიაში მონაწილეობას მიიღებს 30 კაცი. სამგზავრო გადასახადი (კვების გარდა) 50 მანეთი. თბილისიდან გასვლა სექტემბრის 1-ლს. ექსკურსია გასტანს 3 კვირას.

ორივე ექსკურსიაში ჩაწერა სწარმოებს კულტგანყოფილებაში ამთავითვე. ჩაწერის უკანასკნელი ვადაა პირველი ექსკურსიისათვის აგვისტოს 20, მეორისათვის—აგვისტოს 25. ლიტერები ექსკურსანტებს მიეცემათ კავშირების ფონდის ხარჯზე.

ავიაქიმში

საქ. ავიაქიმის გამოცემები

საქართველოს თავდაცვა-ავიაქიმის მიერ გამოცემულია შემდეგი მხატვრული-საჩვენებელი პლაკატები რუსულ და ქართულ ენაზე: თვითმფრინავის მოწყობილობა, სამგზავრო თვითმფრინავი და ვაზის ავადმყოფობანი.

პლაკატების შეძენა შეიძლება თავდაცვა-ავიაქიმის ყველა ორგანიზაციებში.

ავიაქიმის საზღვაო სექცია

საბჭოთა კავშირის თავდაცვა-ავიაქიმის პრეზიდიუმის დადგენილებით, თავდაცვა-ავიაქიმთან მოეწყო საზღვაო სექცია, რომლის მიზანია საზღვაო საქმის შესწავლის პროპაგანდა და ხელის შეწყობა ჩვენი საზღვაო ფლოტისათვის.

მოკლე ხანში ადგილებს დაეგზავნებათ სექციის მიერ შედგენილი საზღვაო წრეების პროგრამა.

ავიაქიმი და მორიგი გაწვევა წითელ ჯარში

თავდაცვა-ავიაქიმი შეუდგა მუშაობას წითელ ჯარში მორიგ გაწვევისათვის ხელისშესაწყობად.

ავიაქიმის ადგილობრივი ორგანიზაციები მიიღებენ მონაწილეობას საგიტაციო კამპანიაში გასაწვევ ახალგაზრდობას შორის. ადგილობრივი ორგანიზაციების მიერ მოწყობილი იქნება აგიტპუნქტები, სადაც იწარმოებს სცენობო მუშაობა გაწვევის ირგვლივ.

სასამართლო

გახურებული შანთით დადაღეს „კუდიანი“ ქალი

ეს ამბავი საინტერესოა, როგორც ცრურწმენების ნიმუში. საქმე შემდეგშია: ამას წინად სოფ. ილემის (შორაპნის მაზრა) მოსახლეობის ერთ ნაწილში ჭორიკანა დედაკაცებმა ხმა გაავრცელეს, რომ ადგილობრივი მოხუცი ქალი სურბულა შავიძე „კუდიანი“ არისო.

ამის გამო შეიქნა დიდი მითქმა-მოთქმა. თუ რომელიმე ოჯახში, რაიმე უბედურობა მოხდებოდა, მას შავიძის ქალს აწერდნენ. ერთი სიტყვით, უვიც ხალხს სწამდა შავიძის „კუდიანობა“.

საქმე იქამდი მივიდა, რომ პანტელეიმონ შავიძემ, რომელიც 9 წლის განმავლობაში ავადმყოფობდა, ერთ დღეს დაიბარა თავისი ნათესავები და განუცხადა:

— წუხელ სიზმარში ანგელოზი გამომეცხადა და მითხრა—შენი ავადმყოფობა და მოსალოდნელი სიკვდილი შავიძის კუდიანობის ბრალია. თუ შავიძის ქალს არ ჩააძაღლებთ, კიდევ ბევრ უბედურებას დაატეხს თავზე სოფელს.

პ. შავიძის ნათესავებმა იმდენი ისინდისეს რომ ზოგიერთი გულუბრყვილო მეზობლებიც დაარწმუნეს ს. შავიძის „კუდიანობაში“.

პ. შავიძე ურჩევდა ნათესავებს, რომ შავიძის ქალისათვის გახურებული შანთით ამოეწვათ კუდი და ისე ეწამებიათ.

პ. შავიძის ინიციატივით მოწვეულ იქნა სასწრაფო თათბირი, რომელზედაც გადაწყდა მოეშორებინათ სოფლისათვის „კუდიანი ქალი“.

ერთ დღეს პ. შავიძის ნათესავებმა გავარვარებულ ნალით დადაღეს უდანაშაულო მოხუცი ქალი.

ეს ამბავი მივიდა ადგილობრივი ხელისუფლების ყურამდე. ამ საქმეზე პასუხისგებაში მისცეს: პოლიკარპე, სერგო, ამბროსი, შუშანა, ოლღა, აპექსი, ალმასხან, ანნა, ტერეზა და ერმალო შავიძეები და მართა სხილაძე.

საქმე ამ დღეებში გაირჩა საჯაროთ შორაპნის სამაზრო სასამართლოში.

სასამართლოს შემადგენლობა: —თავმჯდომარე ამხ. ნაკაიძე, სახალხო მსაჯულები: ფერაძე და გვენეტაძე, პროკურორი ლ. ჯანჯღავა, საზოგადო ბრალმდებლები: ზვიადაძე და ქ. არდიშვილი.

სასამართლოს პროცესზე გამოწვეულ იქნა თვით სურბულა შავიძე, რომელმაც დაწვრილებით მოუთხრო სასამართლოს, თუ როგორ აწამეს იგი შავიძეებმა.

სასამართლოს კვლევა-ძიების დროს საექიმო შემოწმებით გამოირკვა, რომ სურბულა შავიძეს აქვს კუდის ნიშნები. სიმახინჯის ასეთი შემთხვევები ცნობილია მედიცინაში. ასეთ შემთხვევას არავითარი დამოკიდებულება არ აქვს „კუდიანობასთან“.

სასამართლომ პოლიკარპე, სერგო, ამბროსი და შუშანა შავიძეებს მიუსაჯა ხუთ-ხუთი წლით თავისუფლების აღკვეთა. ხოლო ბრალდებულებს: ოლღა, აპექსი, ალმასხან, ანნა, ტერეზა და ერმალო შავიძეებს და მართა სხილაძეს სამ-სამი წლით თავისუფლების აღკვეთა.

სასამართლომ მხედველობაში მიიღო მსჯავრდადებულთა სოციალური მდგომარეობა და გაუნათლებლობა და სასჯელი შეუცვალა პირობით.

—:—

ინჟინერი — კომბინატორი

გაგაცნობთ ერთ დიდ „სპეცს“ ინჟინერ ვლადიმერ ივანეს ძეს შაპოშნიკოვს „მოღვაწეობას“.

წარსული წლის დეკემბერში დაარსდა ტეხნიკური კომისია კავკასიის წითელდროშოვან არმიის ზოგიერთ შენობების შესაკეთებლად. კომისიის წევრათ და სამუშაოთა მწარმოებლად მოწვეული იყო ინჟ. შაპოშნიკოვი.

სამუშაოების იჯარით გაცემა, ხელშეკრულებების დადება, სააღმშენებლო მასალის შეძენა უნდა მოეგვარებია ინჟინერს.

მაგრამ ინჟინერი თავისი ჯიბის გასქელებაზე უფრო ზრუნავდა, ვინემ დაკისრებულ მოვალეობის შესრულებაზე.

ერთ დღეს მან დაიბარა ნაცნობი ვაჭრები და უთხრა:

— მეგობრებო! ჩვენთვის საჭიროა სააღმშენებლო მასალა. თქვენც იხეირეთ და ცოტა მეც მახეირეთ.

დაიწერა ხელშეკრულება, რომელიც შევიდა ძალაში. მოიჯარადრეებმა დაიწყეს მუშაობა.

— მუშაობა უნდა აწარმოოთ ჩქარი ტემპით. არ უნდა იქნას დარღვეული ხელშეკრულების არც ერთი მუხლი.

შაპოშნიკოვს აინტერესებს „გამოსარჩენი“ და არა სამუშაოს შესრულება.

გადის ხანი. „გამორჩენილ“ ფულებს ინჟინერი ილაგებს ჯიბეში.

მაგრამ გამოაშკარავდა შაპოშნიკოვის „სპეც-მექრთამეობა“.

სამხედრო ორგანოების წარმომადგენლებმა მხედველობაში მიიღეს ინჟინერის გადაჭარბებული „ჭამის მადა“ და „დიეტაზე“ გადაიყვანეს გამასწორებელ სახლში.

პასუხისგებაში მისცეს აგრეთვე მოიჯარადრეები და მექრთამე ოსტატები.

სასამართლოში შაპოშნიკოვი გადაჭრით უარჰყოფდა ბრალდებას.

მეთუნუქეები—ზაპოროჟესკი და ზოლოტარევი კი გამოტყდენ დანაშაულში და განაცხადეს, რომ შაპოშნიკოვი სისტემატიურად ღებულობდა ქრთამს.

სასამართლოს კვლევა-ძიებით გამოირკვა რომ შაპოშნიკოვმა შესანსლა—710 მანეთი.

სამხედრო ტრიბუნალმა შაპოშნიკოვს მიუსაჯა სამი წლით თავისუფლების აღკვეთა, სასტიკი იზოლიაციით და ორი წლით სამოქალაქო უფლებების აყრა.

ზოლოტარევს და ზაპოროჟესკის მიესაჯა ექვს-ექვსი თვით პირობით სასჯელი.

მოქ. ბუდიონის მიესაჯა ნახევარი წლით თავისუფლების აღკვეთა, ხოლო მოიჯარადრეებს—ძმებს: ზიტაძეებს ექვს-ექვსი თვით დაპატიმრება.

თ.

პროფკავშირებში

მეტყევეთ კავშ. თბილისის საქალაქო კონფერენცია

მეტყევეთა კავშ. ც. გამგეობამ გადასწყვიტა ამა წ. 25 აგვისტოს მოიწვიოს თბილისის საქალაქო კონფერენცია.

დღის წესრიგში სდგას ც. გ. მუშაობის ანგარიში და საკითხი მასიური მუშაობის შესახებ.

საბჭოთა და სავაჭრო მუშაკთა კავშ. მე-7 ყრილობა

სრულიად საქართველოს საბჭოთა და სავაჭრო მუშაკთა კავშ. მე-7 ყრილობის მოწვევა განზრახულია 1-ლ ნოემბრისათვის.

ხეზე მომუშავეთა პრ. კავშ. მე-7 ყრილობა

თანახმად ხის დამმუშავებელთა კავშ. ც. გ. პლენუმის დადგენილებისა, ხის დამმუშავებელთა პროფკავშირის სრულიად საქართველოს მე-7 ყრილობა მოწვეული იქნება ამა წლის სექტემბრის ბოლო რიცხვებში შემდეგი დღის წესრიგით: კავშირის ცეკას მოხსენება, კავშ. ცენტრ. გამგ. მოხსენება, საქართველოს ტყის მრეწვ. ტრესტის მოხსენება, თეზისების გამომუშავება მომავალ მუშაობისათვის, ც. გ. და სარევ. კომისიის არჩევა.

გაფლანგვა საფეიქრო სინდიკატის ადგილკომში

საბჭოთა და სავაჭრო მუშაკთა კავშ. ც. გ. კომისიამ გამოიკვლია საფეიქრო სინდიკატის ადგილკომის ფინანსიური მდგომარეობა. აღმოჩნდა, რომ ადგილკომის თავმჯდომარეს მოქ. პაპავას კავ. საწევრო ანარიცხებიდან და სხვა საკავშირო თანხებიდან გაუფლანგავს 450. მანეთი.

ც. გ. დადგენილებით, მოქ. პაპავა გამორიცხეს კავშირიდან და საქმე პასუხისგებაში მისაცემად გადაეცა სასამართლოს.

აგრეთვე გამოეცხადა საყვედური ადგილკომის სარევიზიო კომისიას უმოქმედობისათვის. ც. გამგეობამ საჭიროთ სცნო ახლო მომავალში სარევიზიო კომისიის თათბირის მოწვევა ხელმეორედ ინსტრუქციების მისაცემად.

ქუთაისის დაზარალებულთა სასარგებლოთ

შორაპნის სამაზრო პროფბიუროდან ქუთაისის დაზარალებულთა სასარგებლოდ შემოვიდა 913 მან. 30 კაპ., ამავე მიზნით აზერბეიჯანის პ. ქ. საბჭოდან მიღებულია 583 მანეთი, ლენინაკანის სამაზრო პროფბიუროდან 200 მანეთი.

სასპორტო დარბაზის მოწყობა

პროფსაბჭოს კულტგანყ. გადასწყვიტა ახლო ხანში შეუდგეს სასპორტო დარბაზის მოწყობას ამიერ-კავკ. კომუნისტურ უნივერსიტეტში.

შემთხვევები

დაჯახება

გუშინ, დღისით, ავტო-მანქანა, რომელსაც მართავდა შოფერი ვახტანგ მეთეშაშვილი, რუსთაველის პროსპექტზე დაეჯახა ენოკ მარქარისძე ოგანეზოვს და მსუბუქად დააშავა. დაშავებულს აღმოუჩინეს სასწრაფო საექიმო დახმარება და გაგზავნეს ქალაქის პირველ საავადმყოფოში.

თავდასხმა

კვირას, 12 აგვისტოს, ღამის 10 საათზე მოქ. სატო ისმაილ-ოღლის ფუნიკულიორზე თავს დაესხა ვიღაც უცნობი კაცი, რომელმაც ისმაილ-ოღლის დანით მიაყენა 14 ჭრილობა. დაჭრილი მოთავსებულია ქალაქის მეორე საავადმყოფოში.

როგორც გამოირკვა, თავდამსხმელმა მოქ. ისმაილ-ოღლის წაართვა 216 მანეთი. მიღებულია ზომები თავდამსხმელის დასაპატიმრებლად.

დაჭრა

მოქ. ამაიაკ აკოფისძე მკრტიჩიანცმა (მცხ. ტიგრანოვის ქ. № 6) ჩხუბის დროს ჩანგლით მსუბუქად დასჭრა ტელმაკ კირაკოზოვი (მცხ. კალიაევის აღმართი № 6) მკრტიჩიანცი დაპატიმრებულია.

4 კაცის დაკარგვა

პირველიდან 10 აგვისტომდე უგზო-უკვლოდ დაიკარგენ: ბაირამ ალი კული-ოღლი, 22 წლისა (მცხ. ბოტანიკური ქ. № 12), ევგენი დიმიტრისძე ტიმოფეევი, 16 წლისა, (მცხ. ლენინის ქ. № 60), პეტრე ლევანისძე მიხაილოვი, 14 წლისა (მცხ. ყვირილის ქუჩა № 5), გეორქ ნინიასძე გოგიანცი, 36 წ. (მცხ. ხევის შესახ. № 1).

ქურდობა

გაქურდეს ანტონ გრეცკის ბინა (ყოფ. ფოლდოსიევის ქუჩა № 18), წაიღეს სხვადასხვა ნივთები.—გაქურდეს გიორგი ციციშვილის ბინა (ბარათაშვილის ქუჩა № 13), მოპარულ ნივთების რაოდენობა ჯერ-ჯერობით გამოურკვეველია. ამ საქმეზე მილიციამ დააპატიმრა პეტრე მარმუხოვი.—გაქურდეს მარიამ არუთინოვას ბინა (რიყის ქუჩა № 55), წაიღეს სხვადასხვა საოჯახო ავეჯეულობა.—შალვა ჯღარკავას ბინის გაქურდვისათვის დააპატიმრეს ვასილ ძოძოლაძე.

ჯიბგირობა

მახმუდ ახუნდოვს ცენტრალურ ბაზარში ჯიბიდან ამოაცალეს ძვირფასი ნივთები და ფული.—დაპატიმრებულია ჯიბგირი სერგო სარქისისძე საფრინი. რომელმაც გორის მაზრიდან ჩამოსულ დიონის ერკანაშვილს ჯიბიდან ამოაცალა 21 მანეთი.—მარკოზ გლოველს კოოპერატიულ მაღაზიაში (საბჭოთა ქუჩა № 6) დახლიდან მოპარეს 70 მანეთი. ამ საქმის გამო მილიციამ დააპატიმრა მიხეილ ალექსანდრესძე იაროშევიჩი.

რკინისგზებზე

თბილისის მთავარი სახელოსნოები დამოუკიდებელ ბიუჯეტზე

მიმდინარე წლის პირველ ოქტომბრიდან თბილისის მთავარ სახელოსნოები გადაყვანილ იქნება დამოუკიდებელ ბიუჯეტზე; ამჟამად სწარმოებს მოსამზადებელი მუშაობა.

ნიაღვრის შემდეგ

ნიაღვარი ბათომის უბანზე შეწყდა 11 აგვისტოს ღამით.

ბათომ-მახინჯაურის გადასარბენზე ნიაღვარმა უმნიშვნელოთ დააზიანა რკინის გზის ხაზი, რომელიც შეკეთებულ იქნა 2 საათის განმავლობაში. ამჟამად მოძრაობა სავსებით აღდგენილია.

ლიანდაგიდან გადავარდნა

12 აგვისტოს, დილით სადგ. ფუთადან გასვლის დროს გასასვლელ ისრებთან ლიანდაგს ასცდა სამგზ. მატ. № 70-ის ოთხი ვაგონი. ჩავარდნილმა ვაგონებმა დაიკავეს სადგურის პირველი და მეორე ხაზი. მოძრაობა სწარმოებს მეოთხე ხაზით. შემთხვევის ადგილზე ბაქოდან გაიგზავნა დამხმარე მატარებელი.

დაჯახება

11 აგვისტოს დილით სადგ. შორაპნიდან გასვლის დროს ორთქლმავალი № 705 დაეჯახა რელსებით დატვირთულ ვაგონეტკას. ორთქლმავალი და ვაგონეტკა უმნიშვნელოდ დაზიანდა. ადამიანის მსხვერპლს ადგილი არ ჰქონია.

1.408.000 მან. საბინაო მშენებლობისათვის

მიმდინარე წელს ა. კ. რკინის გზებზე საბინაო მშენებლობისათვის დახარჯება 1.408.000 მან. აქედან გზათა სახ. კომისარიატი გაიღებს 650.000 მან. ხოლო დანარჩენი მიღებულ იქნება სესხის სახით ცენტრ. კომუნალურ ბანკიდან.

მატარებლის გადავარდნა

12 აგვისტოს სადგ. აჯიკაბულში მატ. № 112. მიღებულ იქნა დაზიანებულ ხაზზე, რის გამო ლიანდაგს ასცდა 5 დატვირთული ვაგონი. გზა დაზიანებულია 11 მეტრის სიგრძეზე. სწარმოებს კვლევა-ძიება.

დაწინაურება

რკინის გზების პროფკავშირმა და გზების გამგეობამ შეიმუშავა მუშა-მოსამსახურეთა დაწინაურების ახალი წესი მაღალი კვალიფიკაციის თანამდებობისათვის, მოწვეულ იქნებიან უკვე არსებულ კადრებიდან ის მუშა-მოსამსახურეები, რომელთაც ასეთი თანამდებობის დაჭერის უფლება აქვთ, ხოლო დაბალი კვალიფიკაციისათვის მუშა-ხელი გამოთხოვილი იქნება შრომის ბირჟიდან.

მაღალ თანამდებობაზე დასანიშნათ, რიგის დაცვის მიზნით, ადგილკომებთან ერთად, უკვე დაიწყო საკანდიდატო სიების შედგენა. თითოეულ თანამდებობაზე განსაზღვრულია 10 კანდიდატი.

ის მუშა-მოსამსახურეები, რომელთაც საყვედური აქვთ გამოცხადებული სამსახურის საქმეების გამო, 6 თვით ჰკარგავენ უფლებას რიგში ჩაწერისას.

რადიო-გადაცემა

სამშაბათი, 14 აგვისტო

დღეს, 14 აგვისტოს, თბილისის 4 კილოვატიან რადიო-სადგურიდან 1070 მეტრიან ტალღაზე გადაცემული იქნება:

მორზეს ანბანი—განმარტება ქართულ ენაზე.

საგლეხო რადიო-გაზეთი—ქართულ ენაზე.

კოოპერატიული კრედიტი და სას.-სამ. საკრედიტო ამხანაგობა—„სოფლის კავშირის“ მოხსენება ქართულ ენაზე.

ფინსახკომის მოხსენება სასოფლო-სამეურნეო გადასახადის შესახებ—რუსულ ენაზე.

ინდუსტრიალიზაციის მეორე სესხი—რუსულ ენაზე.

ტეხნიკური კონსულტაცია.

ტერიტორიალური შეკრების ამოცანები—მოხსენება რუსულ ენაზე.

გაზ. „პროლეტარი“—სომხურ ენაზე.

გეოფიზიკური ობსერვატორიის ცნობები—რუსულ და ქართულ ენებზე.

კონცერტი ან ტრანსლაცია.

ამიერ-კავკ. დეპეშათა სააგენტოს ინფორმაცია.

მოხსენებებს შუა—მუსიკალური ნომრები.

შრომის ბირჟაში

მოთხოვნილება მუშა-ხელზე

დღეს, 14 აგვისტოს, თბილისის შრომის ბირჟა სამუშაოზე გასაგზავნათ იწვევს შემდეგ უმუშევართ.

კვალიფიციურ მუშაკთა პირველ სექციიდან: თამარ გაგნიძე; ანასტასია ციციშვილი; გურგენ ნაზარეტიანი; სარა პალიგაშვილი; მარგო დანიელიანცი; ნატალია გაბრიელოვა; გაიანე გრიგორიანი; სოფიო გიორგაძე; ვარსენიკ თუმანოვა; სერგო შენგელია; ადოლფ ბაუერი; გოგიაშვილი; მარტიროსოვი; ივანე თევდორაშვილი; ნიკოლოზ ოგანოვი; გიორგი ხაჩატუროვი; დავით ჩიხლაძე და არჩილ ალხაზიშვილი.

გონებრივ მუშაკთა მეორე სექციიდან: ლიუბა სეგსუშევა; ნადეჟდა ქილიევა; პროკოფი რუხაძე; ნიკოლოზ ბეჟანიშვილი; ვალენტინ ჩიჩუა; ელისაბედ რუსიშვილი; რუბენ მარკოზოვი; ნიკოლოზ ილიაშვილი; გიორგი სტურუა; იაკობ კარტაშევი; პროკოფი ქარდავა, ივგენია ალიხანოვა; მარგარიტა ოსიპოვა; სარდიონ მეტრეველი; არჩილ სულაქველიძე; მარიამ ტატიშვილი; ნინო წინამძღვარიშვილი; ილია ბოჭორიშვილი; თამარ ხოსიტაშვილი; მარგალიტა ზარატაშვილი და სოფიო კაცაშვილი.

შავ მუშათა მესამე სექციიდან: ალექსი მარქაროვი; მელქონიანი; ხარიტონ ასატუროვი; ვასილ ურკოვი; გიორგი ლუკანცევი; რაფიელ ფარულავა და ვასილ მამულაშვილი.

მედსექციიდან: ნიკოლოზ ტიმოფეევი; გიორგი შანშიევი; ნადეჟდა ქაჯაია და ანნა დარიელაშვილი.

ოფიციალური განყოფილება

დადგენილება

საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოსი

საბაზრო კომიტეტის შესახებ

ბაზრის ტერიტორიის ფარგლებში ნორმალური სანიტარული პირობების დასაცავად და ყველა იმ სამეურნეო საკითხის სისწორით გადასაწყვეტად, რაც კი ბაზარში მოვაჭრე პირთა და დაწესებულებათა შორის ფულის მოგროვებას შეეხება ბაზრის დაცვისათვის და კომუნალურ მოთხოვნილებათა დაკმაყოფილებისათვის საჭირო ხარჯების დასაფარავად, საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

დამტკიცებულ და სამოქმედოდ შემოღებულ იქნეს ამასთანავე დართული დებულება საბაზრო კომიტეტების შესახებ.

საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარეს მოადგ. **ივანოვ-კავკასიელი.**

საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოს საქმეთა მმართველი **მებრელიშვილი.**

1928 წ. ივნისის 27.
თბილისი-სასახლე.

დებულება

საბაზრო კომიტეტების შესახებ

I. ქალაქის საბაზრო კომიტეტის ორგანიზაცია

1. ქალაქის საბაზრო კომიტეტი მოეწყობა როგორც სავაჭრო ორგანიზაციის შუამდგომლობით, ისე სახელმწიფო ორგანოების მოთხოვნით.

2. საბაზრო კომიტეტის ტერიტორიას, აგრეთვე საბაზრო კომიტეტის წევრებისა და მათი კანდიდატების რიცხვს განსაზღვრავს სათანადო სამაზრო და სამაზრო - საქალაქო აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმი—კუთვნილებისამებრ.

3. საბაზრო კომიტეტს აირჩევს საბაზრო ტერიტორიაზე მოვაჭრეთა საერთო კრება. საორგანიზაციო (პირველ) საერთო კრებას საბაზრო კომიტეტის პირველი შედგენილობის ამოსარჩევად მოიწვევენ ამა დებულების მე-2 მუხლში დასახელებული ხელისუფლების ორგანოები.

4. სამაზრო აღმასრულებელი კომიტეტის ან სამაზრო - საქალაქო აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმს — კუთვნილებისამებრ შეუძლიან ჩამოაცილოს საბაზრო კომიტეტში არჩეული პირი ორი კვირის განმავლობაში იმ დღიდან, რაც მას წარედგინება საბაზრო კომიტეტის ამრჩევ საერთო კრების ოქმი; ამ ვადის გასვლის შემდეგ ამორჩეული პირები დამტკიცებულად ჩაითვლებიან. უკეთუ საბაზრო კომიტეტში არჩეული პირები ჩამოცილებულ იქნენ, საბაზრო კომიტეტის ახალი შედგენილობის ან მისი ნაწილის ასარჩევად ერთი კვირის ვადაზე მოიწვევა ახალი კრება ამა დებულების მე-3 მუხ. აღნიშნული წესით.

5. საბაზრო კომიტეტს რეგისტრაცია გაუკეთდება სათანადო სამაზრო ან სამაზრო-საქალაქო აღმასრულებელ კომიტეტში — კუთვნილებისამებრ.

II. საბაზრო კომიტეტში იმ პირთა რეგისტრაცია, რომელნიც ვაჭრობას ან რეწვას ეწევიან

6. ყველა ის პირი და ორგანიზაცია (სახელმწიფო, კოოპერატიული და კერძო), რომელსაც ვაჭრობისა და რეწვისათვის უჭირავს ბაზარზე მისთვის მიჩენილი მუდმივი ადგილი, მოვალეა ათი დღის განმავლობაში დღიდან ამა დებულების გამოქვეყნებისა რეგისტრაცია გაიკეთოს საბაზრო კომიტეტში, რაზედაც საბაზრო კომიტეტი გამოაკრავს განცხადებას. ის პირი და ის ორგანიზაცია, რომელიც საბაზრო კომიტეტის მოწყობის შემდეგ გახსნის ბაზარზე საწარმოს, მოვალეა რეგისტრაცია გაიკეთოს არა უგვიანეს სამი დღისა იმ დღიდან, რაც ბაზარზე სავაჭრო ოპერაციებს დაიწყებს.

III. საბაზრო კომიტეტის უფლება-მოვალეობანი და მოქმედების წესი

7. საბაზრო კომიტეტი აირჩევა ერთი წლის ვადით. მას დაეკისრება:

ა) თვალყური ადევნოს, რათა შესრულებულ იქნეს ხელისუფლების ყველა მომქმედი განკარგულება ადმინისტრატიული მმართველობის საკითხების სფეროში;

ბ) თვალყური ადევნოს, რათა ბაზრის ტერიტორიის ფარგლებში არა სწარმოებდეს უპატენტო ვაჭრობა ან რეწვა და არ იყიდებოდეს უბანდეროლოდ ისეთი საქონელი. რაზედაც დადებულ უნდა იქნეს აქციზი, აგრეთვე თვალყური ადევნოს იმ პირთ, რომელთაც გადასახადების შეუტანლობის გამო ვაჭრობა აკრძალული აქვთ;

გ) მიიღოს ღონისძიება ბაზრის ტერიტორიისა და იმ ქონების დასაცავად, რაც ამ ტერიტორიაზეა, და აგრეთვე ბაზარზე ნორმალური სანიტარული პირობების უზრუნველსაყოფად;

დ) გაანაწილოს ბაზრის ტერიტორიაზე მოვაჭრე პირთა და ორგანიზაციათა შორის ის ხარჯები, რაც საჭირო იქნება ბაზრის ტერიტორიისა და ამ ტერიტორიაზე მდებარე ქონებისა და ბაზარზე ნორმალური სანიტარული პირობების დასაცავად, აგრეთვე ელექტრონსა, წყალსა და სხვ. შინაგანწესრიგების განხორციელებასთან დაკავშირებულ მოთხოვნილებათა დასაკმაყოფილებლად; საბაზრო კომიტეტს დაეკისრება აგრეთვე ფულის შეგროვება ყველა აღნიშნული საჭიროებისათვის.

8. შინაგანწესრიგების წესები სავალდებულოა ყველასათვის, ვინც კი მუდმივად ან დროებით ვაჭრობს თუ რეწაობს ბაზარზე. საბაზრო კომიტეტი მოვალეა შინაგანწესრიგების წესების ტექსტი დამტკიცებისთანავე გაუგზავნოს სათანადო პრეზიდიუმს.

9. საბაზრო კომიტეტში შეიძლება არჩეულ იქნეს ყველა, ვისაც კი უფლება აქვს მონაწილეობა მიიღოს საერთო კრებაზე.

10. საბაზრო კომიტეტის თავმჯდომარეს დანიშნავს სათანადო აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმი, ხოლო თავმჯდომარის მოადგილეს აირჩევენ კომიტეტის წევრები თავის შედგენილობიდან. ამასთანავე ისეთ ადგილებში, სადაც კერძო მოვაჭრეების გარდა ვაჭრობას ეწევიან აგრეთვე სახელმწიფო საწარმონი და კოოპერატიული ორგანიზაციები და რეწაობენ „თვითმშრომელთა“ კავშირის წევრები, საბაზრო კომიტეტი უნდა მოეწყოს პარიტეტული პრინციპით, ე. ი. კომიტეტის წევრთა რიცხვი კერძო მოვაჭრეთაგან ერთის მხრით, და სახელმწიფო საწარმოთა, საზოგადოებრივ ორგანიზაციათა და ხელოსანთა და შინამრეწველთაგან — მეორეს მხრით თანაბარი უნდა იყოს; კომიტეტი პარიტეტული პრინციპით უნდა მოეწყოს აგრეთვე იმ შემთხვევაშიაც, როდესაც თუმცა ბაზარზე სახელმწიფო საწარმო ან საზოგადოებრივი ორგანიზაცია არ ვაჭრობს, მაინც ხელოსანთა და შინამრეწველთა რიცხვი ბაზარზე მოვაჭრე პირთა საერთო რიცხვის ერთ მეხუთედზე ნაკლები არ არის. ხოლო, უკეთუ სახელმწიფო საწარმოთა და საზოგადოებრივ ორგანიზაციათა ვაჭრობა ბაზარზე სჭარბობს კერძო პირთა და კერძო ორგანიზაციათა ვაჭრობას, საბაზრო კომიტეტში ამ ორგანიზაციების წარმომადგენელთა რიცხვს განსაზღვრავს სათანადო აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმი.

11. კომიტეტის სხდომა შემდგარად ჩაითვლება, უკეთუ მას დაესწრო არა ნაკლებ, ვიდრე კომიტეტში არჩეულ პირთა ნახევარი. დადგენილება გამოიტანება ხმის მარტივი უმეტესობით. იგი აღინიშნება ოქმში, რომელსაც ხელს მოაწერს ყველა დამსწრე წევრი. კომიტეტის ისეთი დადგენილება, რასაც ბაზარზე მოვაჭრეთათვის უშუალო მნიშვნელობა აქვს, გამოიკიდება კომიტეტის სადგომში და ბაზარზე სპეციალურად ამისათვის ცალკე მიჩენილ ადგილებზე.

12. ყველა თავისი მოქმედებისა და გაწეული ხარჯების შესახებ კომიტეტი პერიოდულად შეადგენს ანგარიშს, რაც კომიტეტის სადგომში გამოიკიდება.

13. კომიტეტის წევრი მიიღებს გასამრჯელოს საერთო კრების მიერ განსაზღვრული რაოდენობით.

IV. საერთო კრება

14. საერთო კრება შესდგება იმ პირთაგან, ვისაც რეგისტრაცია გაკეთებული აქვს საბაზრო კომიტეტში.

15. საერთო კრებას, გარდა ამა დებულების მე-3 მუხლში აღნიშნული კრებისა, მოიწვევს საბაზრო კომიტეტი.

16. საერთო კრება შეიძლება იყოს ჩვეულებრივი, რომელსაც მოიწვევს კომიტეტი წელიწადში ორჯერ მაინც, და საგანგებო, რომელიც მოიწვევა კომიტეტის ინიციატივით ან ხელისუფლების ადგილობრივი ორგანოს მოთხოვნით.

17. საერთო კრების მოწვევის ადგილსა და დროს, აგრეთვე ყველა იმ საკითხს, რაც კრებას განსახილველად წარედგინება, კომიტეტი აცნობებს მოვაჭრეებს განცხადების გამოკვრით კრებამდე სამი დღით ადრე მაინც.

18. საერთო კრება შემდგარად ითვლება, უკეთუ მას დაესწრო იმ მოვაჭრეთა ერთ მესამედზე არა ნაკლები, რომელთაც უფლება აქვთ მონაწილეობა მიიღონ საერთო კრებაზე.

19. დაწესებულება და ორგანიზაცია საერთო კრებაზე მონაწილეობას მიიღებს თავისი წარმომადგენლის მეშვეობით. წარმომადგენელთა რიცხვს განსაზღვრავს ვაჭრობის სახალხო კომისარიატის რწმუნებული საქართველოს სსრ-ში დაწესებულებათა და ორგანიზაციათა რიცხვისა და აგრეთვე იმის მიხედვით, თუ რამდენად ძლიერია დაწესებულება ან ორგანიზაცია.

20. საერთო კრება აირჩევს დამსწრეთა შორის კრების თავმჯდომარეს და მდივანს.

21. საერთო კრებაზე საქმეები გადაწყდება ხმის მარტივი უმეტესობით.

22. საერთო კრების სხდომისათვის შედგენილ იქნება ოქმი, რომელსაც ხელს მოაწერენ კრების თავმჯდომარე და მდივანი.

23. საერთო კრება:

ა) აირჩევს კომიტეტის წევრებს და განსაზღვრავს არჩეულ პირთა გასამრჯელოს;

ბ) განსაზღვრავს პრინციპს, რომლითაც მოვაჭრე ორგანიზაციებსა და პირთა შორის განაწილებულ უნდა იქნეს საბაზრო კომიტეტის ხარჯების დასაფარავად შესაკრეფი საკომიტეტო გამოსაღები;

გ) განიხილავს საჩივრებს კომიტეტზე;

დ) გადააყენებს თანამდებობიდან კომიტეტის წევრებს უმართებულო საქციელისათვის.

შენიშვნა. საერთო კრების გადაწყვეტილება წარედგინება სათანადო აღმასრულებელ კომიტეტის პრეზიდიუმს, რომელსაც უფლება აქვს გააუქმოს იგი. საერთო კრების გადაწყვეტილების გაუქმება შეიძლება შვიდის დღის განმავლობაში ამ გადაწყვეტილების მიღების დღიდან; ამ ვადის გასვლის შემდეგ გადაწყვეტილება დამტკიცებულად ჩაითვლება. უკეთუ გადაწყვეტილება მეორეჯერაც არ იქნა დამტკიცებული, საერთო კრების მიერ გადაწყვეტილი საკითხი საბოლოოდ გადასაწყვეტად გადაიტანება შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატში.

V. კომიტეტის სახსარი

24. კომიტეტი თავისი მუშაობით გამოწვეული ხარჯების დასაფარავად ახდევინებს მოვაჭრეებს ერთდროულად და ყოველთვიურ საკომიტეტო გამოსაღებს, ყოველთვიური საკომიტეტო გამოსაღები გადახდება როგორც იმ პირს, ვინც რეგისტრაციაქმნილია კომიტეტში, ისე იმასაც, ვინც თუმცა რეგისტრაციაქმნილი არ არის, მაგრამ მუდმივად ვაჭრობს ბაზარზე.

25. ერთდროული საკომიტეტო გამოსაღებს გადახდება მხოლოდ იმას, ვინც რეგისტრაციაქმნილია კომიტეტში ამა დებულების მე-6 მუხლის წესით, ერთდროული გამოსაღები არ უნდა აღემატებოდეს უკანასკნელი თვის ყოველთვიურ საკომიტეტო გამოსაღებს.

26. მოვაჭრეთა საერთო კრება განსაზღვრავს პრინციპს, რითაც უნდა იხელმძღვანელოს საბაზრო კომიტეტმა საკომიტეტო გამოსაღების განსაზღვრის დროს იმ პირისათვის, რომელიც რეგისტრაციაქმნილია კომიტეტში (ბაზარზე დაჭერილი ადგილების რიცხვის ან საიჯარო სასყიდლის მიხედვით).

საკომიტეტო გამოსაღები იმ პირისათვის, რომელსაც იჯარით არ აღებია ადგილი ან შენობის ნაკვეთი, არ უნდა აღემატებოდეს იმ უმცირესი გამოსაღების ნახევარს, რაც გადაჰხდება კომიტეტში რეგისტრაციაქმნილ ორგანიზაციას ან პირს.

27. იმ პირს, ვინც ერთი თვის განმავლობაში არ გადაიხდის შეწერილ საკომიტეტო გამოსაღებს, საბაზრო კომიტეტი ამ გამოსაღებს სასამართლო წესით გადაახდევინებს.

28. საკომიტეტო გამოსაღების გადახდევინება დაწესებულია მხოლოდ იმ ხარჯების დასაფარავად, რასაც გამოიწვევს საბაზრო კომიტეტის ამა დებულების მე-7 მუხლში გათვალისწინებული მუშაობა. სპეციალური ხარჯი, რასაც საბაზრო კომიტეტი გასწევს ცალკე მოვაჭრისათვის, მასთანავე შეთანხმებით. როგორიც არის მაგალითად სადგომის განათება, სპეციალური დაცვა და სხვა. გადაჰხდება ყოველ ცალკე პირს ან ორგანიზაციას ფაქტიურად გაწეული ხარჯის მიხედვით.

პარტიული კალენდარი

ამხ. ფრუნზეს სახელობის მეორე ქართულ მსროლელ დივიზიის პოლიტგანყოფილება წინადადებას აძლევს ქვემო დასახელებულ ცვალებად პოლიტ-შემადგენლობის მუშაკებს გამოცხადდნენ დივიზიის შტაბში (ჯორჯიაშვილის ქ. № 10), ა. წ. 17 აგვისტოს შუადღის 12 საათზე საერთო ტერიტ. შეკრებაზე სამუშაოდ: კანდიდ ტარასისძე გოგეჯიშვილი, ვასილ ნიკოლოზისძე ბახტაძე, პოლიკარპე მეთოდესძე ტყაბლაძე, პარმენ გიორგისძე ბალათურია, გრიგოლ ერმილესძე სირაძე, ვ. ს. ქითია, მოსე როსტომისძე მეგრელიძე და პავლე ალექსანდრესძე მინდიაშვილი.

ღრმა მწუხარებაში მყოფნი ნატალია ილიას ასული შვილებით: ილიკო, გიორგი, რაჟდენი, ნინო და დარიკოთი, სოფიო ილიას ასული რობიტაშვილისა აუწყებენ ნათესავთ და მეგობართ მათი საყვარელი ქმრის, მამის და სიძის

გრიგოლ (გოგლო) გიორგის-ძე რუსიშვილის

გარდაცვალებას ა. წ. 12 აგვისტოს. გამოსვენება ბინიდან (ბელინსკის ქ. № 7), სამშაბათს. 14 აგვისტოს. 3 საათზე ვერის ახალ სასაფლაოზე. 3297

გულმოკლული მშობლები: ნინა და კოწია, ძმა ბიქტორ და ლუბა აუწყებენ მეგობრებს და ნათესავებს, რომ ა. წ. 11 აგვისტოს გარდაიცვალა მათი საყვარელი და ძვირფასი მასწავლებელი

მარია კოწიას ასული დუმბაძე

რომლის დასაფლავება მოხდება 14 აგვისტოს დღის 2 საათზე სოფ. ზენობანში (ოზ. მაზრა). 3301

კინო-პალასი
კინო-დარბაზი
მალე!
პრემიერა
ხატვრული სურათი
КРУЖЕВА
რეჟ. იუტკევიჩის
დადგმა
დუგლას
ფერბენქსი
საქვეყნოდ განთქმულ
სურათში
რობინ
გუდ
ამ დღეებში
კინო-ეთერში
რობინზონ კრუზო
ნ. 1491

სახკინმრეწველის კინოები

განთიადი	სეზონის საუკეთ. სურათი დიდ ქალაქში
საზაფხულო ეთერი	მხატვრული სურათი ტყის ზღაპარი
საზაფხულო დარბაზი	მიმავალი აჩრდილნი მოზჟუხინის, ლისენკოსა და კოლინის მონაწილეობით
საზაფხულო პალასი	ვინაა დამნაშავე (მეძვარი უალდ ვესტიდან) წუწუნავას დადგმა მთავ. როლებში: ნატა ვაჩნაძე, მიქაბერიძე და სხვ.
პროლეტარი ავლაბარი	რობინზონ კრუზო 5 და 6 სერია

0—12

ახალი მუშათა კლუბი
დღეს, 14 აგვისტოს
სიმფონიური კონცერტი
ცნობილი დირიჟორის ა. ბ. ხესსინის ხელმძღვანელობით
და მოსკოვის მუს. დრამის მსახიობ გრიბოვას მონაწილეობით
პროგრამა: ჩაიკოვსკის ნაწარმოებებიდან.
ბაღში — კინო. სიმფონიურ კონცერტზე აღებული ბილეთები გამოდგება კინოსთვისაც
ცუდი ამინდი კონცერტს ხელს არ შეუშლის. დასაწყისი საღამოს 9 საათზე.
შემდეგი კონცერტი ხვალ, 15 აგვისტოს, ნ 1490

გამოვიდა
ჟურნალი
„სოფლის კომუნისტი“
№ 7—8

შინაარსი:

მამია ორახელაშვილი—საქ. კომ. პარტიის ცეკას ივლისის პლენუმი.
ფ. მახარაძე—სოფლის მეურნეობის კოლექტივიზაცია.
მ. ძამანაშვილი—საშემოდგომო თესვის კამპანიის ძირითადი ამოცანები.
თენგიზ ჟღენტი—რუსეთის სოც.-დემ. მუშათა პარტიის მეორე ყრილობის იუბილე.
ქ. ხომერიკი—გლეხკომების მეორე ყრილობა
ვლ. ცაგარელი—კოლმეურნეობის ჯგუფებად გაერთიანება.

პარტიული ალმშენებლობა:

მესამე ინტერნაციონალის მეექვსე კონგრესი.
ს. მამულია—მასიური პოლიტგანათლება პარტიასა და კომკავშირში.
ს. ლომიძე—მუშაკების შერჩევის საკითხი.
ქ. მელიქაძე—პარტმუშაობა სეზონურ მუშებს შორის.
ა. დარახველიძე—ღარიბთა შორის მუშაობის საკითხები.
ა. აბესალაშვილი—მასწავლებელთა საზოგადოებრივი მუშაობა სოფლად.
ვ. ხატიაშვილი—პარტიის წევრთა მიღების საკითხი.

ადგილობრივი ცხოვრება:

ი. კოდუა—პოლიტსაგანმანათლებლო მუშაობა სოფლად.
პარ. ფრუიძე—კომუჯრედების კრებებზე მორიგეობითი თავმჯდომარეობის შესახებ.
ი. ჭოჭუა—ველისციხის თემკომი.
მ. ბარამია—კომუჯრედების ქსელის გაფართოება.
ალ. ბედიაშვილი—საგანმანათლებლო მუშაობა საგარეჯოს რაიონში.
ი. ველისციხელი—რას ვაკეთებთ კულტურულ რევოლუციისათვის.
ბიბლიოგრაფია

ჟურნალი დაურიგდება ხელისმომწერთ და გაიყიდება ყველგან.

ექიმი
ქ. ს. ფონ-ირტელი
სპეციალურად მკურნალობს საშარდე, სქესობრივ (სქესობრივი უძლურება) ვენერიულ (ტრიპერი) ავადმყოფობას, სიფილისს და მის შედეგებს, კანისა და ქირურგიულ ავადმყოფობას (სიმსივნე. ბუასილი) ელექტრო-მკურნალობა და ოპერაციები. ავადმყოფების მიღება დილ. 8 ს. დღის 12 საათამდე და საღ. 4 ნახ. საათ.—7 საათამდე. ქალების მიღება დღის 10—12 საათამდე.
პლეხანოვის პროსპ. № 10

თმის მკურნალობა
საექიმო-კოსმეტიკა, ელექტრო-სინათლით სამკურნალო კაბინეტი
ნ. გ. კანტოროვიჩისა
მიღებულია საზღვარგარეთიდან ახალი საშუალებები თმების სამკურნალოთ და ფერის მჭამელას, მუწუკების, ჭორფლის, ტალის, მეჭეჭის და სხვ. გასაქრობათ. ვაძლევ საექიმო რჩევა-დარიგებას პირის კანის მოვლისა და თვითმასაჟის შესახებ საზღვარ-გარეთის მეთოდების მიხედვით. ფრეილინის ქ. № 1. პაციენტების მიღება 11-დან 3-მდე და საღამოს 6-დან 8 საათამდე. 25—1

ქ. თბილისის შრომის სასამართლოს აღმასრულებელი
დიმ. სიხარულიძე

ამით აცხადებს, რომ ის 16 აგვისტოს 1928 წ. დღის 2 საათ. სახლში № 174 კლარა ცეტკინას ქუჩაზე **საჯარო ვაჭრობით** გაყიდის მოქ. მამულაშვილის მოძრავ ქონებას: მაგიდებს, სკამებს, სპილენძის ქვაბებს და სასადილოს მთლიან მოწყობილობას შეფასებულს 275 მანეთად, მეტრეველის და სხვების ვალის დასაკმაყოფილებლად თანახმად ქ. თბილისის შრომის სახალხო სასამართლოსაგან 20 ივნისის 1928 წ. თარიღით, № 2392 გაცემულ აღმასრულებელ ფურცლისა. 3307

ქ. თბილისის შრომის სასამართლოს აღმასრულებელი
დიმ. სიხარულიძე

ამით აცხადებს, რომ ის 16 აგვისტოს 1928 წ. დღის 4 საათზე სახლში № 113ა კამოს ქუჩაზე **საჯარო ვაჭრობით** გაყიდის მოქ. საბუჯიანცის მოძრავ ქონებას: ბუფეტის შკაფს და შიფონერკას შეფასებულს 73 მანეთად, მოქ. ავეტისიანის ვალის დასაკმაყოფილებლად თანახმად ქ. თბილისის შრომის სახალხო სასამართლოსაგან 20 ივლისის 1928 წ. თარიღით, № 2991 გაცემულ აღმასრულებელ ფურცლისა. 3308

თბილისის მე-2 რაიონ. სასამართლოს აღმასრულებელი
ა. ა. გეგეჭკორი

ამით აცხადებს, რომ ის 17 აგვისტოს 1928 წ. დღის 12 საათზე სახლში № 6 კომინტერნის (სასახლის) ქუჩაზე **საჯარო ვაჭრობით** გაყიდის კაროლინა ლოტის მოძრავ ქონებას: ხის ავეჯს, შეფასებულს 300 მანეთად, გრიგოლ ტერ-ვართანოვის ვალის დასაკმაყოფილებლად თანახმად ქ. თბილ. მე-3 სახ. სანოტარო კანტორისაგან 30 ივლისის 1928 წ. თარიღით, № 2058 გაცემულ აღმასრულებელ წარწერისა თამასუქზე. 3300

მიხეილ ბედევანიშვილის
სახელობის
სამკურნალო
საწოლებით
ელექტრონით და სინათლით
სამკურნალო კაბინეტი
ნერვიულ და აგრეთვე იმ ავადმყოფთათვის, რომელნიც ფიზიკურ მეთოდებით ექიმობას საჭიროებენ. მიღება 2—3 და 6—8 საათ. თბილისი, ყორღანოვის ქ., № 20 25—1

ექიმი
გ. ო. ზანდუკელი
შინაგანი და ნერვიული ავადმყოფობანი. ელექტრო-სინათლით სამკურნალო კაბინეტი.
ავადმყოფების მიღება გარდა შაბათისა და კვირა უქმე დღეებისა საღამოს 7-დან 8 საათამდე. ლენინის ქ. (ყოფილი ოლღას ქ.) № 11.
ტელ. 4—82. 25—1

ექიმი
ა. დ. კეკელია
სიფილისი, ვენერიული და კანის სნეულება
პლეხანოვის პროს. № 116. სასტუმრო „ნოე“-ს პირდაპირ. მიღება დილის 9—12—საღ. 7 ნახ.—8 ნახ. საათ. 25—1

ქუთაისში (დროებით)
მედიცინის დოქტორი
გ. ფ. მგალობელი
ქალური სნეულებანი (მხოლოთ) იღებს საღ. 6—7 ს. ჯაფარიძის ქ. (ყოფილი პოლიციის) № 18. 3212

ყოველდღე ნაშუადღევის 1 საათიდან საღამოს 5 სა-დე
სათვალეების შერჩევა
— და —
მათი სწორი დ ყენება
სპეციალისტ ექიმის მიერ
უფასოდ
სახმედვაჭრობის მაღაზიაში, პლეხანოვის პროსპექტი, № 106
მიღებულია ბევრი საქონელი შემდეგი სახის: სათვალეები, ჩარჩოები, კლიპსები, შუშები და ხელოვნური თვალები.
25—1

კბილის ექიმი
დ. ს. რიქინაშვილი
კბილების და პირის სნეულებათა მკურნალობა. პლომბები, კბილების უმტკივნეულოდ ამოღება, ყოველგვარი ხელოვნური კბილების ჩასმა. ავადმყოფთა მიღება: 10—3 საათად. 5—7 საათ. საღ.—მისამართი: გრიბოედოვის ქუჩა № 34 რუსთაველის გამზირის კუთხე

ლოგოპედი
ტ. კაიშაური
ყოფილი გამგე მოსკოვის მეორე უნივერსიტეტთან არსებულ ლოგოპედიის კაბინეტისა
ასწორებს
ლოგოპათებს: ენაბლუებს, ენაჩლუნგებს, აფატიკებს და მეტყველების ყოველგვარ დეფექტებს
იღებს: საღამოს, 5—7 საათ. მისამართი: კ. ცეტკინის ქუჩა № 123

ექიმი
ს. ა. გალუსტიანი
შინაგანი, კანის და ვენერიული სნეულებანი (მწვავე და ქრონიკული ტრიპერი. სიფილისის მუწუკები, ავადმყოფების მიღება დილის 9-დან ნაშუადღევის 1 საათამდე, ქალების დღის 11-დან 1 საათამდე და საღამოს 5—7-მდე. კლარა ცეტკინის ქ. № 77 (ყოფ. ელისაბედის ქ.) ფოსტის გვერდით. 25—1

ექიმი
ი. ი. ქეიშვილი
სიფილისი, ვენერიული და კანის სნეულ.
ავად. მიღება დილ. 8 ს. 10 საათ. და საღ. 6—8 საათ.
კამოს ქუჩა 72 (ყოფილი დიდი-მთავრის ქუჩა). 25—1

ექიმი
ი. ი. ბერიშვილი
ვენერიული, საშარდე — სასქესო ორგანოების, სიფილისი და კანის ავადმყოფობა
დილით 9—1 საათ. საღამოს 5—8 ს. ქალებისათვის ცალკე შესავალი, სასტუმრო „ევროპას“ (ყოფ. „ნოეს“), პირდაპირ ჩოდრიშვილის და პლეხანოვის შესახვევი № 8. 25—7

დავკარგე

შვილი **ვასილ გოგრიჭიანი**, ტანად საშუალო 16 წლისა, სულით ავადმყოფი. ტანზე აცვია წითელი ხალათი და შავი შარვალი, ფეხზე წაღები. მნახველი მიიღებს განსაკუთრებულ ჯილდოს და აცნობოს ჩერქეზიშვილის ქ. № 147. ხამხონ გოგრიჭიანს. 3302

დავკარგე: სამხედრო საარიცხო წიგნაკი № 315 გაცემული გარე-კახეთის სამხედრო მაგიდის გამგის მიერ ს. ანთოკში მცხოვრებ გიორგი იოსების-ძე მეკოკიშვილის სახელზე, ჩ. გ. 3300

დავკარგე: სიღარიბის მოწმობა № 669—23 მაისს 1928 წ. გაცემული ჩხოროწყუს თემაღმასკომიდან ძიკი ბერიას სახელზე, ჩ. გ. 3303

დავკარგე: პირადობის მოწმობა № 148, ზაქტპოს წიგნაკი № 29930, გლეხკომის წიგნაკი № 2197 სერაფიმა გვენცაძის სახელზე, ჩ. გ. 3303

დავკარგე: პარტ-ბილეთი № 0854170, კავშირის წიგნაკი კომმეურნეობის, ზაკცაკის ნიშანი, წიგნაკები წევრობის: წითელ ჯვრის, რემდასის, ავი ქიმის, ოზურგეთის პროფკლუბის და სხვადასხვა საბუთები ერასტი ჩიქოქიძის სახელზე, ჩ. გ. 3299

დავკარგე: დამზღვევ სალაროს წიგნაკი № 9415 სათინიკ მიხეილის ასულის მეჩიტოვის სახელზე, ჩ. გ. 3304

დავკარგე: რკინის გზის პროფკავშირის საწევრო წიგნაკი და თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტიდან მოცემული, სტუდენტის მოწმობა გრიგოლ ქრისტესაშვილის სახელზე, ჩ. გ. 3298

დავკარგე: მეტრიკული ამონაწერი № 5612 ქეთევან მიხეილის ასული გაბელაძის სახელზე, ჩ. გ. 3305

დავკარგე: ზესტაფონის ტეხნიკუმის დამთავრების მოწმობა № 302 თამარა ალექსანდრეს ასული ებანოიძის სახელზე, ჩ. გ. 3303

დავკარგე: ა.-კ. რკ. გზ. სამ—თველოს მიერ გაცემული პირადობის მოწმობა და რკინის გზის უფასო ბილეთი თბ. რკ. გზ. მე-8 შრომის სკოლის მასწავლებელ ლიდა ნიკოლოზის ასულ ჩხეიძის სახელზე, ჩ. გ. 3304

დავკარგე: განათლების მუშაკთა კავშირის წიგნაკი № 10841, ოზურგეთის მაზრის ჰუმანიტარული ტეხნიკუმის მიერ გაცემული 7 კლასის მოწმობა და სხვა საბუთები თინა ლუკას ასული დოლიძის სახელზე, ჩ. გ. 3306

პოლიგრაფტრესტის მე-5 სტამბა, კამოს ქუჩა № 68.
მთავლიტი № 904.